



178 / 3  
1981

# საქართველო საქართველო



1981



# საქმთა

N 5

# საქართველო

სამთავრო  
ოქტომბერი

1931 წელი

შუიწნალი ზამოღის 1926 წლის 1 მარტიდან

## საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

### ზ ი ნ ა ა რ ს ი

შევექმნათ ერთიანი ფრონტი უუაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ	3
<b>სპკ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები — ცხორებაში</b>	
ა. ბარაბაძე — მეთერთმეტე ხუთწლედს — მტკიცე მართლწესრიგი და კანონიერება	8
ე. ფუტყარაძე — სსრ კავშირის კონსტიტუციის 159-ე მუხლის ქართული ტექსტისათვის	16
<b>ჩვენი საღისეურო კლუბი</b>	
ა. ფალიაშვილი — პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებლის პროცესუალური მდგომარეობის შესახებ	26
<b>კანონის კომენტარი</b>	
ბ. უგრეხელიძე — სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კულტურის ძეგლების და ბუნების ობიექტების ხელყოფისათვის	38
<b>სასამართლო პრაქტიკის განვრცადება</b>	
ა. ვერსამია — მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის შესახებ	44
ა. ლუღუნიშვილი — ავამაღლოთ სასამართლოების როლი შრომის კანონმდებლობის დაცვასა და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში	52
ი. ღლონტი — იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას	58
თ. ლიქოკელი — პირშესამყრლო	66
<b>მ. ჯავახიშვილის დაბადების მასაე წლისთავისათვის</b>	
ვ. სიღამონიძე — მ. ჯავახიშვილის უცნობი წერილი	71
შ. მარკოზაშვილი — დანაშაული და სასჯელი მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში	74
ინფორმაცია	77

## СОДЕРЖАНИЕ



Создать единый фронт в борьбе с бесхозяйственностью и расточительством . . .	3
<b><u>РЕШЕНИЯ XXVI СЪЕЗДА КПСС — В ЖИЗНЬ</u></b>	
А. Барабадзе — Одинадцатой пятилетке — прочный правопорядок и законность	8
Я. Путкарадзе — О грузинском тексте ст. 159 Конституции СССР	16
<b><u>НАШ ДИСКУССИОННЫЙ КЛУБ</u></b>	
А. Палиашвили — О процессуальном положении государственного обвинителя в суде первой инстанций	26
<b><u>КОММЕНТАРИИ ЗАКОНА</u></b>	
М. Угрехелидзе — Уголовная ответственность за посягательство на памятники культуры и природные объекты	38
<b><u>ОБОБЩЕНИЕ СУДЕБНОЙ ПРАКТИКИ</u></b>	
Т. Герсамия — О судебной практике по делам о краже личного имущества граждан, грабеже и разбое	44
А. Гугунишвили — Повысить роль суда в охране трудового законодательства и в укреплении трудовой дисциплины	52
И. Глonti — Юридическая консультация населению	58
Т. Ликокели — Отступное	66
<b><u>К 100-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ М. ДЖАВАХИШВИЛИ</u></b>	
В. Сидамонидзе — Неизвестное письмо М. Джавахишвили	71
Т. Маркозашвили — Преступление и наказание в творчестве М. Джавахишвили	74
Информация	77



### სარედაქციო კოლეგია:

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,  
გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,  
მ. ლეკვეიშვილი, გ. ტყეშელიაძე, ვ. ქვაჩაზია, ა. შუშანაშვილი,  
ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი“, 1981 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი, კლესანოვის კვ. 108. ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაეცა ასაწყობად 30.X.81 წ. ხელმოწერილია დასაბუქდად 16.XII.81 წ.,  
ფორმატი 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
ფურცელი 7, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5

შეკვ. № 2733

ტირაჟი 15 100

უე 10 701

საქ. კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

# შეჯიბნათ ერთიანი ზრონგი უყაირათობისა და მულანგვალობის წინააღმდეგ

საბჭოთა ხალხი თავდადებით ზრონობს სკკ XXVI ყრილობის მიერ დასახული დიადი ამო-  
ვანების შესასრულებლად, ძალ-ღონეს არ იზურებს სამშობლოს ეკონომიკური პოტენციალის  
გასადიდებლად: სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გასავითარებლად, კომუნიზმის მატე-  
რიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმა, რომლის ძირითადი  
მიმართულებანი მოიწონეს ყრილობამ და ყველა მშრომელმა, ითვალისწინებს ხალხის კეთილ-  
დღეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ამოცანებისაკენ მკვეთრ შემობრუნებას, სამეურ-  
ნეო მექანიზმის შემდგომ სრულყოფას, მთელი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლე-  
ბას. „მეთერთმეტე ხუთწლიდის მთავარი ამოცანაა, — ნათქვამია „სსრ კავშირის ეკონომიკური  
და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მი-  
მართულებებში“ — კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა იმის სა-  
ფუძველზე, რომ მყარად, შეუწყვეტლად განვავითაროთ სახალხო მეურნეობა, დაჯაქართ მეც-  
ნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ეკონომიკის გადაყვანა ინტენსიური განვითარების გზაზე,  
უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ქვეყნის საწარმოო პოტენციალი, ყოველი ღონისძიებით  
დავზოგოთ ყველა სახეობის რესურსები და გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი“<sup>1</sup>.


პარტია მუდამ მოაგონებს სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამეურნეო ორგანოებს, საბ-  
ჭოთა ადამიანებს, რომ ეკონომიკა — ეს არის მთავარი პოლიტიკა, ასწავლის ხელმძღვანელ სა-  
მეურნეო კადრებს ეკონომიკის გაძლოლის მეცნიერებასა და ხელოვნებას.

„სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა, — თქვა პარტიის XXVI ყრილობაზე სკკ ცენ-  
ტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეუნემა, — პარტიისა  
და სახელმწიფოს მთელი საქმიანობის თავდათავია, სწორედ ეკონომიკის დარგში ეყრება სა-  
ფუძველი სოციალურ ამოცანათა გადაწყვეტას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას,  
აქტიურ საგარეო პოლიტიკას. სწორედ აქ იქმნება კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების  
წარმატებული წინსვლის საჭირაო წაწაძღვრები“<sup>2</sup>.

მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესრულება ბევრად არის დამო-  
კიდებული სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებაზე, მართვის სტრუქტურის  
სრულყოფაზე, მაღალ საშემსრულებლო დისციპლინაზე, მუშაობაში პრაქტიკულობისა და გერ-  
გილიანობის დანერგვაზე, ნაკლოვანებებისადმი კრიტიკული, შეურიგებელი დამოკიდებულების  
ვითარების შექმნაზე.

ყრილობაზე ლ. ი. ბრეუნევის მიერ წააოყენებული ლოზუნგი „ეკონომიკა ეკონომიური უნ-  
და იყოს“ გულისხმობს იმას, რომ ყაირათიანად გამოვიყენოთ საბჭოთა ხალხის მიერ შექმნილი  
უზარმაზარი პოტენციალი, უფრო ეკონომიურად და რაციონალურად ვხარჯოთ მადნეული,  
ხე-ტყე, საუნეი მასალა, სათბობი, ყოველი სხვა რესურსი. უამისოდ ამაჟამად წარმოუდგენელია  
სახალხო მეურნეობის განვითარება და შემდგომი წინსვლა. ახლო მომავალში ჩვენი ქვეყნის  
წინაშე მდგომი უდიდესი და ურთულესი ამოცანების გადაწყვეტა კიდევ უფრო მეტად იქნება  
დამოკიდებული სწორედ საზოგადოებრივი დოვლათისადმი ყაირათიან დამოკიდებულებაზე, ზრო-

1 სკკ XXVI ყრილობის მასალები, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981 წ., გვ. 203-209.  
2 იქვე, გვ. 48.



მის რესურსების, ნედლეულის, ძირითადი ფონდების, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მომჭირნობით ხარჯვაზე და ეფექტიანად გამოყენებაზე. „ეს ამოცანები, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკ XXVI ყრილობაზე, — იმიტომ არის აქტუალური, რომ საქმე ენება სიმდიდრეს, რომლის აღდგენა შეუძლებელია. მისი სწორად, ყაირათიანად გამოყენებისათვის ჩვენ პასუხისმგებელი ვართ არა მარტო ახლანდელი, არამედ მომავალი თაობების წინაშეც, და ამის დავიწყების უფლება არავის არა აქვს“<sup>3</sup>.

მომჭირნობა, მეურნეობის ყაირათიანი გაძღოლა, მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლა — ეს ერთდროულად არის მძლავრი რეზერვი და საშუალება იმისა, რომ გამოინახოს დამატებითი სახსრები, რომლებიც სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას მოხმარდება. მიღებული დანაწოგი გამოყენებული იქნება ახალი ტექნიკის შექმნისათვის, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვისათვის, მუშათა კლასის ახალი ცვლის მომზადებისათვის, სოფლის მეურნეობის დაფინანსების გადიდებისათვის. ერთი სიტყვით, მომჭირნობა და ყაირათიანობა — ეს არის დაგროვების მნიშვნელოვანი საშუალება.

უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ რესპუბლიკის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა. საქიროა მათი საქმიანობა ამ მხრივ უფრო შემტევი და ეფექტიანი გახდეს. ამის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს თანამდებობის პირების მიერ საბჭოთა კანონების, უპირველეს ყოვლისა, სამეურნეო კანონმდებლობის განუხრელი და უთუო შესრულება. აუცილებელია პროკურატურის ორგანოებმა, სასამართლოებმა გააძლიერონ ბრძოლა წამატებების, თვლისახვევის, უყაირათობის, მფლანგველობის ყოველგვარ გამოვლინებათა წინააღმდეგ, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული.

ბოლო ხანს რესპუბლიკის პროკურატურა და მისი ორგანოები ადგილებზე დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რამდენად სწორად იხარჯება მატერიალური და ფინანსური რესურსები სამრეწველო და სოფლის მეურნეობის საწარმოებში, როგორ ასრულებენ მათი ხელმძღვანელები კანონებს სოციალისტური ქონების დაცვის შესახებ. ფაქტები მოწმობენ, რომ ბევრი ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკი არ იცავს საბჭოთა კანონის მოთხოვნებს, უანგარიშოდ ფლანგავს მატერიალურ სახსრებს, ნედლეულს, არ ზრუნავს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, ენერგიულად არ იბრძვის უსტანდარტო და უხარისხო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ.

ამას წინათ რესპუბლიკის პროკურატურამ შეამოწმა, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 18 აგვისტოს დადგენილება — „პროდუქციის მიწოდების საკითხებზე კანონმდებლობის უხეშ დარღვევათა და მათი აღმოფხვრას ღონისძიებათა შესახებ“. ფაქტები მოწმობს, რომ ზოგიერთი სამინისტრო, უწყება, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომი შეუწყნარებელ დაუდევრობას იჩენს ამ მეტად მნიშვნელოვანი დადგენილების შესრულებისადმი. 1980 წელს გამოვლინდა საწარმოების მიერ პროდუქციის მოწოდების ხელშეკრულების დარღვევის 17.257 შემთხვევა, უფრო მეტი, ვიდრე 1979 წელს. პრეტენზიათა რაოდენობამ 13.924 ერთეული შეადგინა, ფულადმა თანხამ კი 64 მილიონ 479 ათასი მანეთი. მდგომარეობა არც წლეულს გამოსწორდა. მიმდინარე წელს გამოვლინდა ხელშეკრულების დარღვევის 6.237 შემთხვევა, რაც ფულადი გამოხატულებით შეადგენს 32 მილიონ 314 ათას მანეთს. 1979 წელს უკმარისობებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის ასორტიმენტის დარღვევისათვის გადახდილია ჯარიმა 4 მილიონ 682 ათასი მანეთი, შარშანს კი ეს თანხა 8 მილიონ 414 ათას მანეთამდე გაიზარდა. ცუდი მაჩვენებლებია მიმდინარე წელსაც. მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ სახელშეკრულებო პირობების დარღვევისათვის წლეულს გადაიხადა 4 მილიონ 072 ათასი მანეთი, საწარმოო გაერთიანება „სამ-

<sup>3</sup> სკკ XXVI ყრილობის მასალები, „საბჭოთა საქართველო“ თბ., 1981 წ. გვ. 63.



ტრესტმა“ მილიონ 812 ათასი მანეთი, ხოლო მთლიანად სამინისტროებმა და უწყებებმა 16 მილიონ 272 ათასი მანეთი ანუ თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე შარშან, გასულ წელს განსაკუთრებით დიდი თანხა გადაიხადა გორის ბამბეულის კომბინატმა — მილიონ 059 ათასი მანეთი, თბილისის ფხვსაცმლის გაერთიანებამ „ისანმა“ — მილიონ 313 ათასი მანეთი, შულავერის შალის პირველადი გადამუშავების ფაბრიკამ 822 ათასი მანეთი და სხვებმა.

ასეთი ცუდი მდგომარეობა მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ შესუსტდა მომთხოვნელობა წარმოების მეთაურთა მიმართ, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის დაძლეული ინერციის, უკვე ჩამოყალიბებული მავნე ტრადიციისა და ჩვევების ძალა. რაციონალურად არ არის გამოყენებული საწარმოო ძალები, უხეშად ირღვევა ტექნოლოგიური პროცესები, საგემო და შრომის დისციპლინა. საქმისადმი მატერიალური და საფინანსო რესურსებისადმი ასეთი დანაშაულებრივი დამოკიდებულება ყოველად შეუწყნარებელია და ძირშივე უნდა აღიკვეთოს.

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები მოვალენი არიან გამოიყენონ კანონით მათთვის მინიჭებული უფლება და ხელშეკრულების დარღვევისათვის, რამაც გამოიწვია ზარალი, თანამდებობის პირებს დააკისრონ მატერიალური პასუხისმგებლობა.


სახელმწიფო, საგემო და სახელშეკრულებო დისციპლინას უგულუბებლყოფენ, მაგალითად, თბილისის შამანური ღვინოების გაერთიანებაში. ამისათვის „სამტრესტის“ ხელმძღვანელობამ გაერთიანების გენერალური დირექტორი რ. ჯაოშვილი დასაჯა, საუვედური გამოუცხადა. 1980 წელს ამ გაერთიანებაში არამწარმოებლურმა ხარჯებმა მაინც შეადგინა ორი მილიონ 524 ათასი მანეთი, ანუ მთელი სისტემის ასეთი ხარჯების 72 პროცენტი. პროდუქციის მიუწოდებლობისათვის გაერთიანებამ 1980 წელს გადაიხადა ორი მილიონ 222 ათასი მანეთი, ხოლო მიმდინარე წლის 6 თვეში მილიონ 147 ათასი მანეთი.

სკკბ XXVI ყრილობაზე ითქვა, რომ სატრანსპორტო ხარჯების, ვაგონების მოცდენის შემცირება დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა. მომჭირნობის ფაქტორის გარდა ვაგონების დროულად დატვირთვას და გადმოტვირთვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის წინაშე მდგომი პრობლემების და სიძნელეების დაძლევისათვის, ტვირთის შეუფერხებელი გადაზიდვისათვის, ტვირთწაკადების ოპტიმალური სქემების განხორციელებისათვის. ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელი ამას არ ითვისებდა. 1980 წელს მთლიანად რესპუბლიკაში ნორმის გადანებებით მოცდენილია 141.087 ვაგონი, რამაც შეადგინა 1.376.985 ვაგონ-საათი. 1981 წლის ცხრა თვეში კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემიდან მარტო აგარის შაქრის კომბინატმა მოაცდინა 554 ვაგონი, რისთვისაც დაეკისრა ჯარიმა 10.144 მანეთი.

საშურის შუნის ქარხანამ 1981 წლის 9 თვეში ვერ უზრუნველყო 619 ვაგონის დატვირთვა, რის გამოც საწარმოს გადახდა ჯარიმა — 13.207 მანეთი. გურჯაანის საკონსერვო ქარხანამ დაგემილი 206 ვაგონიდან დროულად ვერ დატვირთა 94 ვაგონი, რისთვისაც ჯარიმის სახით დაეკისრა 4.333 მანეთის გადახდა.

პროკურატურის მაერ მოწუხობილი შემოწმების მასალები გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს სისტემის პურპროდუქტების და ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოებსა და ორგანიზაციებში უხეშად არღვევენ კანონებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დავის და შენახვის შესახებ. 1981 წლის ცხრა თვის მანძილზე მარტო სამ სადგურში — ხაშურში, მარნეულში და გორში შედგენილია 294 კომერციული აქტი 310.387 კილოგრამი ხორბლის დანაკლისისა და ამავე პროდუქტის 207.570 კილოგრამი ზედმეტობის შესახებ. ტვირთი განკუთვნილი იყო ამ რაიონების პურპროდუქტების საწარმოებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი, აგრეთვე საუწყებო არბიტრაჟები დავათა განხილვის დროს უოველთვის მკაცრად და პრინციპულად არ აფასებენ პროდუქციის მიწოდების კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს, არ იჩენენ გულწოდ-გინებას მათი თავიდან აცილებისათვის. კანონით კი არბიტრაჟის ორგანოები აღჭურვილი არიან



ისეთი უფლებებით, რომელთა გამოყენებასაც შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს საქმის ვითარების გაუმჯობესებაზე.

მომჭირნეობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი აკისრია რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებს. ისინი მოვალენი არიან დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ თანამდებობრივ დანაშაულში მხილებულ პირებს, რომელთა დაუდევრობით დიდი ზარალი ადგება სახელმწიფოს. ამ კატეგორიის დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის სწორად წარმართვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, როდესაც მომჭირნეობა, უაირათიანობა საერთო-სახალხო საქმედ, უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად იქცა.

აუცილებელია ასეთი საქმეები დროულად, ოპერატიულად იქნეს განხილული სასამართლოს გამსვლელ სესიებზე, მიეცეს მათ ფართო რეზონანსი და უდერაძობა. დამნაშავე პირები სამართლიანად და მკაცრად დაისაჯონ, ხოლო პროცესის მასალები დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში და რადიოთა. ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის ფაქტები, რომლებიც ჭერ კიდევ გვხვდება სასამართლოების საქმიანობაში, კიდევ უფრო შეუწყნარებელია იმ პირთა საქმეების განხილვისას, რომლებსაც ბრალი ედებათ უაირათობაში, დაუდევრობასა და სხვა თანამდებობრივ დანაშაულში, რომელთა შედეგად ზიანი მიადგა საწარმოების, სახელმწიფოს ინტერესებს. სასამართლოებმა ამასთან ერთად უნდა იზრუნონ, რომ მსჯავრდადებულმა პირებმა მთლიანად ანაწლად იმ მატერიალური ზარალი, რომელიც მათ სამრეწველო და სოფლის მეურნეობის საწარმოებს, ორგანიზაციებს მიაყენეს.

შრომის, ნედლეულის სათბომ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობით ხარჯვაში თავისი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საწარმოების იურიდიულ სამსახურს. ისინი აქტიურად უწყობენ ხელს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას, ახორციელებენ ღონისძიებებს უზარისხო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ.

მაგრამ სახალხო მეურნეობის ეურიდიული სამსახური ჭერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება იმ დიდ მოთხოვნებს, რომლებსაც მას დღევანდელი უყენებს. სამრეწველო და სოფლის მეურნეობის საწარმოთა იურისტების საქმიან თვისებებზე ბევრად არის დამოკიდებული მთელი სახალხო მეურნეობის რიბმული მუშაობა, სამეურნეო მექანიზმის გამართული საქმიანობა.

განა სახალხო მეურნეობის იურიდიული სამსახურის მუშაკთა განგაშს არ უნდა იწვევდეს ის, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში დებიტორულმა დავალიანებამ 1981 წლის პირველი ივლისისათვის შეადგინა 98 მილიონ 875 ათასი მანეთი. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გამოვლინდა სოციალისტური ქონების დატაცების და დანაკლისის ასობით შემთხვევა, ზარალმა 964 ათასი მანეთი შეადგინა. მრეწველობაში ამავე ხანს არამწარმოებლურმა ხარჯებმა შეადგინა 2 მილიონ 644 ათასი მანეთი, უნებართვოდ გაცდა 112.104 კაცდღე.

არასახარბიელო მდგომარეობაა ამ მხრივ სოფლის მეურნეობაშიც. დებიტორულმა დავალიანებამ 17 მილიონ 298 ათასი მანეთი შეადგინა, არამწარმოებლურმა ხარჯებმა 156 ათასი მანეთი, არასაპატიო მიზეზით გაცდინებმა 75.532 კაცდღე.

დანაშაულებრივ დაუდევრობას, სპეციალისტთა მიერ ელემენტარული ზოოვეტერინარული ღონისძიებების განუხორციელებლობას შედეგად მოჰყვა ცაგერის სამეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკაში ფრინველის მთელი სულადობის იძულებითი დაკვლა.

დაუდევრობის და უაირათობის ამგვარი ფაქტი მრავალია. აუცილებელია აქედან სათანადო დასკვნების გამოტანა და შესაბამისი კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელმა ბრძოლამ რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, ყოველგვარი ნეგატიური ნოვლებების ლიკვიდაციისათვის თავისი ნაყოფი გამოიღო. ახლა ხელმძღვანელი სამეურნეო კადრების უმრავლესობა არიან შემოწმებული, კომპეტენტური, საქმის ერთგული ადამიანები. მათ ძალუძთ საწარმოებში შრომის ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესება, სამეურნეო აპარა-



ტის სრულყოფა და გამართლება, მეურნეობის მართვა ახალი სამეურნეო რეფორმის მიხედვით. იურიდიული სამსახური მოვალეა მხარში ამოუდგეს უწყების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, დახმარება გაუწიოს მათ სწორი სამეურნეო პოლიტიკის განხორციელებაში.

ნეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმის შესრულებას დასჭირდება დიდი გარჯა, ძალებისა და ენერჯიის დაძაბვა, შთაგონებული შრომა, ორგანიზებულობა, მაღალი პოლიტიკური შეგნება. საბჭოთა ადამიანებს აქვთ უკვლე ეს თვისება. ამას უნდა მიემატოს დღევანდლობის მოთხოვნაც — მომჭირნობა და უაირათიანობა უკვლგან და უკვლაფერში.

რესპუბლიკის სასამართლო, პროკურატურის და არბიტრაჟის ორგანოები, უწყებების და საწარმოების იურიდიული სამსახური მოვალენი არიან თავისი საქმიანობით უზრუნველყონ ამ ლოზუნგის განუხრედად განხორციელება, შექმნან ერთიანი ფრონტი უუაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ, რაც უზრუნველყოფს სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

სტალინი  
ბრესკვილი  
სკკპ  
საბჭო  
სამართლო  
პროკურატურა  
არბიტრაჟი

## მეთერთმევა ხუთწლად — გვიცა მართლმადიდებელი და კანონიერება

ა. ბარბაქაძე,

საქართველოს სსრ პროკურორი, იუსტიციის II კლასის სახელმწიფო მრჩეველი

სკკ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა რესპუბლიკის მშრომელებმა მაისში დიდი ზემოთ აღნიშნეს ღირსსახსოვარი იუბილე — საბჭოთა საქართველოს, მისი კომუნისტური პარტიის სამოცი წლის თავი და შრომაში მიღწეული წარმატებების საყოველთაო აღიარებით ფრთაშესხმულებმა ახალი ენერგიით გააჩაღეს ბრძოლა პარტიის მიზანდასახულობათა განსახორციელებლად.

ამჟამად ყველა სახელმწიფო, პარტიული და საბჭოთა ორგანოს, მათ შორის პროკურატურის, თითოეული მუშაკის მეცადინეობა მიზნად ისახავს იმას, რომ როგორც ვ. ი. ლენინი მოითხოვდა „მუხლჩაუხრელად იმუშაოს დისციპლინისა და თვითდისციპლინის შესაქმნელად, ყველგან და ყველგან ორგანიზებულობის, წესრიგისა და საქმიანი ვითარების განსამტკიცებლად“<sup>1</sup>.

სკკ XXVI ყრილობის მიერ დასახული ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის დონის განუხრელი ამოღების გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის, შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, დამნაშავეობის, მფლანგველობისა და უყიარათობის წინააღმდეგ მუდმივ, უკომპრომიზო ბრძოლას.

„კანონიერება და მართლწესრიგი ჩვენი საზოგადოების, მისი მოქალაქეების ნორმალური ცხოვრების საფუძველია“, — თქვა სკკ გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა. ეს კი ნიშნავს, რომ უამპირობოდ წარმოუდგენელია წარმატებით გადაწყდეს ამოცანები, რომლებიც დღეს დგას სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

სახალხო მეურნეობისა და კულტურის სფეროში საბჭოთა საქართველოს შთამბეჭდავი და სტაბილური მიღწევები იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ბოლო ცხრა წელია შეურიგებელი ბრძოლა წარმოებს ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ხორციელდება გადამჭრელი ღონისძიებანი სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად.

მხოლოდ ამ ვითარებაში იყო შესაძლებელი, რომ პროკურატურის ორგანოებს გაეაქტიურებინათ თავიანთი საქმიანობა, გამოევიდნათ სოციალისტური საკუთრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების, მექრთამეობის ჩგუფური და ორგანიზებული დანაშაულობანი. მათს მხილებას დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა. დამნაშავეობასთან ბრძოლის ვამწვაგების ატმოსფეროს შექმნა, ისე როგორც დანაშაულობათა გახსნა, უწინარესად იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის პროკურატურა უკვე რამდენიმე წელია ახორციელებს სწორ საკადრო პოლიტიკას. არაერთი ავტორიტეტულსადაც და სა-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 80.

ეკვო რეპუტაციის მუშაკი დათხოვნილ იქნა პროკურატურიდან. ყველაფერი კეთდება პროკურატურის ორგანოების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფიანად და დახვეწისათვის, ჩვენი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ახალი, გაზრდილი ამოცანების შესაბამისად მთელი მუშაობის ვარაქმნისათვის. ამჟამად კეთილსინდისიერი, სამართლიანი და კომპეტენტური მუშაკებით პროკურატურის დაკომპლექტებისათვის მუშაობაში ახალი ფაზა დაიწყო. რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა თავისი ადგილობრივი ორგანოებიაგან მოითხოვს, რომ მათ ყოველდღიურად სრულყოფილ კავშირურთიერთობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, პარტიული ორგანოებისაგან ისწავლონ პრინციპულობა და თანამიმდევრულობა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლაში, არ ამოეფარონ საერთო წარმატებებს, გამოიჩინონ მიღწეული შედეგებით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა.

პროკურატურის ორგანოები მთელსაქმიანობას ახლა აქვს მკვეთრად გამხატული ორი მთავარი მიმართულება. პირველი ის არის, რომ ყოველმხრივ განმტკიცდეს მართლწესრიგი ქალაქებში, დაბებსა და დასახლებულ პუნქტებში, განსაკუთრებით გააქტიურდეს ბრძოლა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის, ქურდობისა და ხულიგნობის წინააღმდეგ. მშრომელებს ხუთწლედის დიად მიზანდასახულობათა შესასრულებლად უნდა შევუქმნათ შემოქმედებითი შრომიანობის საჭირო მშვიდი ვითარება. მეორე მიმართულება ის არის, რომ უზრუნველვყოფთ, რათა ყველა სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირმა განუხრელად შეასრულოს საბჭოთა კანონები. უპირველეს ყოვლისა კანონები სოციალისტური საკუთრების დაცვის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, აგრეთვე უყაირათობასთან და მფლანგველობასთან, უხარისხო პროდუქციის გამოშვებასთან და წამატებებთან ბრძოლის შესახებ, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არ შეიბღალოს საბჭოთა მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები.

ამის მიხედვით თუ შევაფასებთ გაწეულ მუშაობას, უნდა ვთქვათ, რომ მართლწესრიგის განმტკიცებისათვის არადაამაკმაყოფილებლად ზუსტად ამბროლაურის, ახალციხის, ბორჯომის, გორის, ზესტაფონის, მარნეულის, ცაგერის და მთელი რიგი სხვა რაიონების სამართალდამცველი, მათ შორის პროკურატურის ორგანოები. რესპუბლიკის ამ რეგიონებში დამნაშავეობის საერთო რაოდენობა ჯერ კიდევ დიდია. ბევრი საქმეა გაუხსნელი გარდაბნია, ხაშურის, მახარაძის რაიონებში, ქალაქებში ქუთაისში, ფოთში, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში, დუშეთის, ზესტაფონის, სავარჯოს, წითელწყაროს, სამტრედიის, მაიაკოვსკის რაიონებში, ვხვდებით ისეთ ააშიშ დანაშაულს, როგორიც არის განზრახ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა. ამ რაიონების ადმინისტრაციულ ორგანოებს მოუწევთ დაბაბული მუშაობა იმისათვის, რომ უმოკლეს დროში გამოასწორონ მდგომარეობა, უზრუნველყოფონ დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზაცია დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად უკანასკნელ წლებში გაცილებით გააქტიურდა და შემტვერი გახდა პროკურორების საქმიანობა საერთო ზედამხედველობის დარგში. ყოველწლიურად მატულობს გამოვლენილი დარღვევების გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა. ამ ხაზით მუშაობა ახლა რეალურ გავლენას ახდენს კანონიერების მდგომარეობაზე.

პროკურატურის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებისაგან ახლა მტკიცედ მოვითხოვთ არა მარტო იმას, რომ დროულად გამოავლინონ დატაცების, უყიარათობის, მფლანგველობის, კუთხურობის, სახელმწიფო დისციპლინისა და კანონის სხვა დარღვევების ფაქტები, აღკვეთონ ისინი, არამედ აღმოფხვრან მათი გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები.

ამის შესაბამისად ბოლო ხანს განსაკუთრებით გააქტიურდა საპროკურორო ზედამხედველობა სამეურნეო ორგანოების საქმიანობისადმი. ქალაქებისა და რაიონების პროკურორებმა შარშან გაცილებით მეტი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმო შეამოწმეს და კანონის დარღვევებიც მეტი გამოავლინეს, ვიდრე წინა წლებში.

უხარისხო პროდუქციის გამოშვების, წამატებებისა და უყიარათობის წინააღმდეგ ბრძოლაში პროკურორები ამჟამად უფრო ქმედითად იყენებენ სამოქალაქო სამართლებრივ საშუალებებს, მატერიალურ პასუხისმგებლობას აკიარებენ კანონის დამრღვევ თანამდებობის პირებს. ეს ქმნის სასჯელის გარდაუვალობის ვითარებას, განამტკიცებს დისციპლინას, აიძულებს ხელმძღვანელ მუშაკებს უფრო მომთხოვნი იყვნენ ხელქვეითთა მიმართ, საბოლოო ანგარიშით კი თავიდან გვაცილებს განმეორებით ამ უფრო სერიოზულ სამართალდარღვევებს.

ჩხოროწყუს რაიონის პროკურორის სარჩელით შარშან უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისრა ლესიკინეს ჩაის ფაბრიკის დირექტორს ხ. გახარას, ხოლო არამწარმოებლური ხარჯების გაწევისათვის ამავე რაიონის მეთაური ჩაის ფაბრიკის ტიტესტერს მ. თოდუას.

თელავის რაიონის პროკურორი აარჩელით მიწოდების ხელშეკრულების დარღვევისათვის გადახდილი ჯარიმების გამო, მატერიალური პასუხისმგებლობა დაეკისრა თელავის წინდების საქსოვი ფაბრიკის მომარაგება-გასაღების უფროს ეკონომისტს ზ. იავორაშვილს.

სახელმწიფო ვალდებულებებია ისტემატური შეუსრულებლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორი ი. დოლიძე და ქარხნის ზოგიერთი სხვა მუშაკი.

სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, რომ თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც უგულებელყოფენ სამეურნეო კანონმდებლობას, სისტემატურად და უხეზად არღვევენ მის ნორმებს, უფრო ხშირად გამოვიყენოთ სისხლის სამართლებრივი ღონისძიებანი.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები მარტლწესრიგის განმტკიცებისა და კანონიერების დაცვის ორგანიზაციაში. ბევრგან არ არის დამყარებული სანიმუშო წესრიგი, ზოგიერთ ადმინისტროსა და უწყებაში, საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში ვხვდებით მოქმედი კანონების, სახელმწიფო დისციპლინის უხეზი დარღვევის ფაქტებს. თანამდებობის ცალკეული პირები იჩენენ უმოქმედობას და უპააუხისმგებლობას, არის საქმია გაჭიანურებია და ბიუროკრატიზმის გამოვლინებები. ჯეროვნად არ სრულდება პარტიის მოთხოვნა, რომ კანონები უფრო ეფექტიანად ავამოქმედოთ სახელმწიფოს მოტყუებას, წამატებების, სოციალისტური საკუთრების დატაცებათა, კუთხურობის გამოვლენის და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.



ზემოაღნიშნული და მრავალი სხვა ნაკლოვანებების, საპროკურორო ზედამხედველობის ნაკლებ ეფექტიანობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებანი დაძლეული არ არის თვით ამ ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში.

რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობა ახორციელებს გეგმაზომიერ, მიზანსწრაფულ ღონისძიებათა კომპლექსს, რათა როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი აპარატის მუშაკებმა განუხრელად შეასრულონ „სახარბიელადმაცვ ორგანოებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებებთან ბრძოლის მდგომარეობისა და მისი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის 30 სექტემბრის დადგენილების მოთხოვნები. მკაცრად უნდა მოვკიბოთ თანამდებობის პირებს, რომლებიც დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების გამო სუსტად ებრძვიან დამნაშავეობას, სახალხო დოვლათის დამტაცებლებს, უგულვებელყოფენ საბჭოთა კანონის მოთხოვნებს, უხეშად არღვევენ მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს.

უყაირათობისა და სოციალისტური საკუთრების დატაცებების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე კანონების განუხრელი შესრულება იყო და კვლავ რჩება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.

ახალხო ქონების დატაცებებთან ბრძოლის მკვეთრად გაძლიერების მიუხედავად, ეს დანაშაული რესპუბლიკაში კვლავ გავრცელებულია. ეს განსაკუთრებით ითქმის სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, კაპრობის სამინისტროების, აგრეთვე ცეკავშირის და სამტრესტის სისტემის მიმართ.

უყაირათობის, მფლანგველობის და დატაცებების უპირველესი მიზეზი ის არის, რომ საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელები უგულვებელყოფენ სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონების დაცვის აუცილებლობას. დამაკმაყოფილებელი არ არის უწყებრივი სარევიზიო სამსახურის საქმიანობა, ეფექტიანად ვერ მუშაობს სახელმწიფო ქონების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახური, რაც, ცხადია, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ამ სფეროში არასაკმარისი საპროკურორო ზედამხედველობითაც.

მექრთამეობას, გამომძალველობას, დატაცებებს და სხვა ანგარებითი ხასიათის დანაშაულობებს სამინისტროები და უწყებები ისე არ უნდა ებრძოდნენ, როგორც ფინანსთა სამინისტროში, სადაც შემოსულ სიგნალებს ფაქტობრივად უურავებოდნენ ტოვებდნენ. ამ სამინისტროში მოკალათებული დამნაშავეთა ჯგუფი მხოლოდ მიმდინარე წელს გამოავლინა რესპუბლიკის პროკურატურამ.

სიგნალები კი მანამდე იყო. 1979 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველომ მიიღო ტურავას. გიცბას და ჯოხუას კოლექტიური განცხადება. რომელშიც ისინი ქ. სოხუმის ხელსაწყოების ქარხნის მუშათა სახელით ამხელდნენ აფხაზეთის ასსრ მთავარ კონტროლიორ-რევიზორის რევაზიშვილის უკანონო მოქმედებას.

განცხადებაში მითითებული იყო, რომ რევიზორი რევაზიშვილი სხვადასხვა ორგანიზაციის შემოწმებისას ეწეოდა ფულის გამოძალვას. სამმართველოს მუშაკებმა გულმოდგინედ იმუშავეს იმისათვის, რომ დაედგინათ, ანონიმურია თუ არა განცხადება და მუშაობდნენ თუ არა, მისი ავტორები ზემოაღნიშნულ ქარხანაში. განცხადებაში მოყვანილი ფაქტები კი სამმართველოს არ შეუწყვლია და არც აღმინისტრაციული ორგანოებისათვის გადაუგზავნია ზომების მისაღებად. მარტოდენ ამ ერთი განცხადების „გადაწყვეტის“ სტილიც ჰვენს ნათელს იმ დანაშაულობათა არსებობის ნამდვილ მიზეზებს, რომლებიც ამას წინაა: გამოვლინდა რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში.

ბიუროკრატიზმის, უკონტროლობისა და უპასუხისმგებლობის სწორედ ასეთმა ვითარებამ შექმნა ხელსაყრელი ატმოსფერო იმისათვის, რომ რესპუბლიკის ყოფილი ფინანსთა მინისტრი ფ. ანანიაშვილი, ამ სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს ყოფილი უფროსი ჭანუყვაძე და მთელი რიგი სხვა თანამდებობის პირები გადაგვარებულიყვნენ და დასდგომოდნენ ანგარების, ფულის ხვეჭისა და გამოძალვის, სისტემატური მექრთამეობის სამარცხვინო გზას, რისთვისაც ისინი მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაპატიმრებული არიან და დამსახურებულ სასჯელს ელიან.

ამ სამინისტროში, აგრეთვე სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებში გამოვლენილი დანაშაულობანი და კანონის სხვა დარღვევები არცთუ იშვიათად იმის შედეგია, რომ მათი ხელმძღვანელები და სხვა თანამდებობის პირები არ უჩვენებენ კოლექტივა კანონის დაცვისა და პატივისცემის მაგალითს. ისინი ტრიბუნლიდან ხშირად ლამაზი სიტყვებით და ლოზუნგებით გამოდიან, ქადაგებენ, რომ შეურიგებლად იბრძობლებენ უკანონობასთან, ყველა ნეგატიურ მოვლენასთან, საქმით კი ფვითონ არღვევენ კანონს, ხელყოფენ სახალხო დოვლათს, სჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულს.

ასეთ ვაი-ხელმძღვანელებს ავიწყდებათ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომ „კანონი... სავალდებულოა ყველასათვის, მას უნდა იცავდეს ყველა, გამოინაკლისის გარეშე, მდგომარეობის, წოდებისა და რანგის მიუხედავად“<sup>2</sup>. იმ კოლექტივებში მკვეთრად ქვეითდება კანონიერების დონე, კონტროლი მისი შესრულებისადმი, სადაც ე. ა. შევარდნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვეულებრივ საქმედ იქცა ანგარიშს არ უწევდნენ სოციალიატურ კანონიერებას“<sup>3</sup>.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ითქვა, რომ ლოზუნგი „ეფექტიანობა და ხარისხი“ ოთხმოციან წლებში კიდევ უფრო აქტუალური იქნება, ვიდრე წინა ხუთწლეულში. ეს ნაკარანახევია ახალი სახალხო-სამეურნეო ამოცანებით და იმით, რომ ყოველწლიურად უხარისხო პროდუქციის გამოშვებით გამოწვეული დანაკარგები რესპუბლიკაში მილიონობით მანეთს შეადგენს.

უხარისხო პროდუქციის გამოშვებას სისტემატური ხასიათი აქვს კვების და საკონსერვო მრეწველობის სისტემაში. განსაკუთრებით უხეში დარღვევები გამოვლინდა ბოლო ხანს სოხუმის მთავარ საკონსერვო ქარხანაში, აგარის საწარმოო გაერთიანებაში, ლანჩხუთის, ხობის, მარნეულის საკონსერვო ქარხნებში და სხვაგან.

მარშან აპრილში როსტოვის სავაჭრო ბაზამ ხობის საკონსერვო ქარხა-

2 ლ. ი. ბრეჟნევი, ლენინური კურსით, ტ. III, გვ. 49.

3 ე. ა. შევარდნაძე, „განამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა“, „პარტიული ეიზნი“, 1973 წ., № 8, გვ. 12.

ხას დაუბრუნა 27 ათას 452 ქილა უხარისხო მანდარინია წვენი, რომლის ღირებულება შეადგენდა 24 ათას 910 მანეთს. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ეს პროდუქცია ჯერ კიდევ 1973 წელა იყო დაწუნებული როგორც უხარისხო და ექვემდებარებოდა გადაუმავებას. მიუხედავად ამისა, წუნდებული პროდუქცია გადაუმავებელი ისევ მიაწოდეს მომხმარებელს.

შარშან ქ. სოხუმის პროკურატურამ გამოავლინა სოხუმის მთავარი საკონაერვო ქარხნის მიერ დიდძალი უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტი. სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 140 ათას მანეთზე მეტი. აღიძრა სიახლის სამართლის საქმე ქარხნის დირექტორის, მთავარი ინჟინრის და სხვათა მიმართ. წინასწარი გამოძიება გრძელდება.

ეს და მრავალი სხვა კონკრეტული ფაქტები დაუყოვნებლივ მოითხოვს სათანადო დასკვნების გამოტანას.

უხარისხო პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით რესპუბლიკის პროკურატურამ შეიმუშავა ღონისძიებათა პერსპექტიული გეგმა, რომელიც ითვალსწინება, რომ ყოველ კვარტალში გაანალიზდეს, თუ როგორ ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე კანონების შესრულებისადმი. ამ კატეგორიის თითოეულ სისხლის სამართლის საქმეს და მასალა დაუწესდა საგანგებო კონტროლი.

იმ ახალი, დიდი ამოცანების შესაბამისად, რომლებიც პარტიამ ამჟამად დასახა სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობა გაზრდისა და სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად და რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს ლ. ი. ბრეჟნევის მიერ საბჭოთა საქართველოს საიუბილეო ზეიმზე წარმოთქმული სიტყვიდან, რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა ეს სფერო თავისი ყურადღების ცენტრში მოაქციეს. ლ. ბრეჟნევის მითითებანი რესპუბლიკია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდის, ხორცისა და რძის წარმოებაში ჩამორჩენის დაძლევის თაობაზე, მრეწველობაში ადრების დენადობისა და სამუშაო დროის დანაკარგების შესახებ მოითხოვს გადაუდებლად განხორციელდეს ღონისძიებანი როგორც აოფლის მეურნეობაში, ასევე მრეწველობაში სოციალისტური კანონიერების, სახელმწიფო და შრომა დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ზემუშავებულია დამატებითი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სკუთრების დატაცებების, უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, სასურსათო პროგრამის შესრულების უზრუნველყოფა, ის. რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განკუთვნილი მსხვილი კაპიტალდაბანდებანი გამოყენებულ იქნეს პირდაპირი დანიშნულებით. ყოველი სიგნალი სოფლის მეურნეობის პროდუქტების, პირუტყვის, ფრინველის მოვლა-შენახვის არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ გულმოდგინედ უნდა შემოწმდეს და დაუყოვნებლივ განხორციელდეს ოპერატიული ღონისძიებანი, რათა ამოიქოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების დანაშაულებრივი ხელყოფის ყველა ხერელი, აღიკვეთოს მატერიალური დოვლათისა და ფასეულობის, დანაკლისებისა და პროდუქციის გაფუჭების გამომწვევი ყოველგვარი მიზეზი.

უკანასკნელ ხანს საპროკურორო ზედამხედველობის ხაზით მოწყობილი შემოწმებების, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მასალები გვიჩვენებს, რომ დატაცებები და უყაირათობა სოფლის მეურნეობაში,

როგორც წესი, იმით არის გამოწვეული, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო გაერთიანების ხელმძღვანელები დაუდევრად ეკიდებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას. უწესრიგობა და უკონტროლობა პირველადს საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებაში. სწორედ ამან და სარევიზიო აპარატის მუშაობაში არსებულმა ფორმალისმმა განაპირობა ადიგენის რაიონის სოფელ უდეს რუსთაველია სახელობის კოლმეურნეობის დამამზადებლის ა. თუმანიშვილის მიერ უსაქონლო ოპერაციების გაფორმების გზით 90.000 მანეთის მითვისება.

დატაცებები და უყაირათობა, როგორც ზემოთ ითქვა, მეტწილად განპირობებულია უწესიერობით აღრიცხვიანობაში და გავრცელებულია სხვა რაიონებშიც. სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი სპეციალური მსჯელობის საგნად აქცია საკითხი „ლაგოდნის რაიონის კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო გაერთიანებების სარევიზიო კომისიათა მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“. ამ საკითხზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილება, მართალია, ერთ რაიონს შეეხება, მაგრამ რამდენადაც გამოვლენილი დარღვევები და ნაკლოვანებანი მეტ-ნაკლებად ყველა რაიონისათვის არის დამახასიათებელი, მას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დარგის მუშაკებისათვის მთელი რესპუბლიკის მასშტაბით და მისი მოთხოვნების განხორციელება პროკურატურის ორგანოების სისტემატური ყურადღების არეში უნდა იყოს მოქცეული.

სოფლია მეურნეობაში დატაცებებთან, მფლანგველობასთან ბრძოლის ეფექტიანობას ხელს უშლის ის, რომ ბევრი თანამრეობის პირი არ ასრულება კანონის მოთხოვნას გამოვლენილი დატაცებებისა და დანაკლისების თაობაზე მასალების საგამოძიებო ორგანოებისათვის 5 დღის ვადაში გადაზავნის შეახებ. ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ამბროლაურის, გეგეჭკორის, გორიის, კასპის, ლანჩხუთის, ცხინვალის და ზოგიერთი სხვა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა შარშან გამოვლენილი დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ მასალები დროულად არ მიაწოდეს ადმინისტრაციულ ორგანოებს, არც დამნაშავეთა მიმართ მიიღეს კანონით გათვალისწინებული ზომები.

განსაკუთრებით შეუწყნარებელია უყაირათობისა და მფლანგველობის ფაქტები მეცხოველობაში. იმის გამო, რომ ბევრგან არ ხორციელდება კონტროლი ააქონლის მოძრაობისადმი, მისი შენახვისა და ხარჯვისადმი, ხდება მატერიალური ფასეულობის გაფლანგვა-ვანიავება. ზოგან პირუტყვის შემოსავალში გატარების აქტებში არ აჩვენებენ ყველა ნამატს. ხშირად ასეთი აქტები საერთოდ არ ხდება, პირუტყვი თუ ფრინველი იზრდება ფერმაში აღურიცხველად, რაც მათი დატაცების, პირუტყვის დანაკლისის ან გაწყდომის ფაქტების დაფარვის რეალურ შესაძლებლობას ქმნის.

1980 წელს ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში გამოვლინდა 1039 ბატკანი, რომლებიც შემოსავალში არ იყო გატარებული.

სამტრედიის რაიონის სოფელ ნაბაკევი ყალბი დოკუმენტების შედგენის გზით ოთხი წლის მანძილზე მალავდნენ 675 სული გოჭის გაწყდომას, რაც გამოწვეული იყო დაუდევრობით. მხოლოდ რაიონის პროკურატურის ჩარევით ანაზღაურეს 7.000 მანეთამდე ზარალი დამნაშავე პირებმა.



საკვ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობათა გადაწყვეტილებებს წითელ ზოლად გასდევს ზრუნვა საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის, მისი კანონიერი ინტერესების განუხრელი დაცვისათვის, ამან თავისი გამოხატულება უნდა პოვოს სამართალდამცველ ორგანოთა საქმიანობაშიც. პროკურატურის ყველა მუშაკი მტკიცედ უნდა იცავდეს საბჭოთა მოქალაქეების კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდეს მათს შრომითს უფლებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანს მეტი ყურადღება ექცევა შრომის კანონმდებლობის შესრულებას და რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა მუშა-მოსამსახურეთა უკანონო დათხოვნების შემთხვევები, მდგომარეობა ამ სფეროში კვლავ დამაფიქრებელია. ჩვენ უფლება არა გვაქვს შეგუროვდეთ იმას, რომ საწარმოს, დაწესებულების ხელმძღვანელები ანგარიშს არ უწყევენ შრომის სამართლის ნორმებს. ამაჲ მოწმობს ის, რომ შარშან მუშაკთა დიდი ნაწილი დათხოვნილია შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევით. და ეს ხდება იმ დროს, როცა ესოდენ გაზრდილია თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა მშრომელთა კანონიერი უფლებების დაცვისათვის.

პროკურატურის მიერ მოწყობილი შემოწმებით გამოვლინდა, რომ დმანისის კავშირგაბმულობის კვანძის უფროსმა დემიანოვმა ტელეფონის დადგმაზე უარი უთხრა სამამულო ომის აქტიურ მონაწილეს ბ. ზიბროვს და უკანონოდ, რიგითობის დარღვევით დაუდგა ტელეფონი მალაზიის მუშაკს ტ. ბაირამოვს.

კავშირგაბმულობას მცხეთის რაიკვანძში ტელეფონის დადგმა რიგში იყენენ სამამულო ომის I, II და III ჯგუფის 30 ინვალიდი და სხვა დამსახურებული ადამიანები. მაგრამ უკანონოდ, ურიგოდ ტელეფონი დაუდგეს რაიუნ-ვერმალის დირექტორს დ. ოდიშვილს, რაიონის სამომხმარებლო კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს ე. ბარძემაშვილს და სხვებს.

ერთი შეხედვით, ეს თითქოს არ არის განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტები, მაგრამ მათ, როგორც აშკარა უკანონობას, არ შეიძლებოდა თავისი კვალი არ დაეტოვებინა ომის მონაწილეთა რწმენაზე. იგი კანონის უგულებელყოფის ცოცხალი მაგალითია ყველა იმ პირისათვის, რომლებმაც იცოდნენ ამ უკანონობის ამბავი, რომ აღარაფერი ვთქვათ უსამართლობასა და ომის მონაწილეთა დაუფაებლობაზე.

უკანონობის ასეთი ცალკეული ფაქტებიც კი საგრძნობ ზიანს აყენებს სოციალისტურ კანონიერებას. მოქალაქეთა მართლშეგნებას, რადგანაც ამ საქმეში წვრილმანები არ არსებობს. ამიტომ არის, რომ სიატემის ყველა მუშაკი ანაგან ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ ყოველთვის პრინციპულად, კეთალსინდისიერად, მახვილი კლასობრივა სიფხიზლით იცავდნენ საბჭოთა ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. კანონის დარღვევის, დანაშაულის თითოეულ ფაქტს, მისცენ არა მარტო სამართლებრივი, არამედ ღრმა პოლიტიკური და სოციალური შეფასება.

მეთერთმეტე ხუთწლედს — მტკიცე მართლწესრიგი და კანონიერება! — ასეთია ამჟამად რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებია მუშაკთა საბრძოლო ამოცანა, რომლის წარმატებით განხორციელებისათვის ისინი არ დაზოგავენ თავიანთ ძალ-ღონესა და ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას.

## სსრ კავშირის კონსტიტუციის 159-ე მუხლის ქართული გაქსვისათვის

ი. ფურცაბაძე

საბჭოთა საკავშირო სახელმწიფოს ძალი ძირითადი კანონის 159-ე მუხლში ჩამოყალიბებულია სამართალწარმოების ეროვნული ენის ინსტიტუტის ფუძემდებელი ნორმები. სწორედ ამ მუხლით არის დაკანონებული სამართლის წარმოება მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ენაზე ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. ამასთანავე, უკეთეს საქმეში მონაწილემ არ იცის ენა, რომელზეც სამართალწარმოება მიმდინარეობს, მას უზრუნველყოფილი აქვს თარგმანის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობის უფლება და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობა. აგრეთვე სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება.

ეროვნულ ენაზე სამართლის წარმოება სოციალისტური მართლმსაჯულების ერთ-ერთი დემოკრატიული საფუძველია. იგი ემსახურება მოსახლეობის ფართო მათთან სახელმწიფო აპარატის ისეთი მნიშვნელოვანი რგოლის მიხედობას, როგორც არის სასამართლო ორგანოები. სამართალწარმოების ეროვნული ენის პრინციპი ხელს უწყობს მართლმსაჯულების მაღალხარისხობიანად განხორციელებას, უზღვილობრივ თავისებურებათა მცოდნე მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ეროვნული კადრების ფართოდ გამოყენებას, ამოღებს სასამართლო საქმიანობის აღმზრდელობითს როლს. ამასთანავე, იგი განაპირობებს ეროვნული იურიდიული ტერმინოლოგიის შემუშავება-სრულყოფასა და დამკვიდრებას, ვითარცა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის წარმოების ძირითადი ფაქტორი.

სამართალწარმოებას ეროვნული ენის პრინციპის აღიარება აუცილებლობით გამომდინარეობს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერნაციონალური ბუნებიდან. მიაი ცხოვრებაში დამკვიდრება კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამოვლინებას, ენათა თანაფრობის პრინციპის პრაქტიკული განხორციელების მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს.

ეროვნულ ენაზე მართლმსაჯულების განხორციელება ბუნებრივი და დამახასიათებელია აგრეთვე საზღვარგარეთთა სოციალისტური ქვეყნებისათვის. ცხადია, ეროვნულად ერთგვაროვან სახელმწიფოში. როგორცაა, ვთქვათ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (აქ მოსახლეობის 99 პროცენტზე მეტი გერმანელია), დაკანონებულია სამართალწარმოების ერთი ენა. ამასთანავე, გდრ-ის სასამართლო წყობილების 1974 წლის კანონის თანახმად<sup>1</sup>, იმათ, ვინც გერმანული არ იცის, შეუძლიათ ილაპარკონ თავიანთ ენაზე ან, სასამართლოს თანხმობით, სხვა რომელიმე ენაზე, თუკი ეს გააადვილებს გაგებას. ასეთ პირ-

<sup>1</sup> Германская Демократическая Республика. Конституция и законодательные акты, М., 1979, стр. 214—215.



ათვის სასამართლო უზრუნველყოფს უსასყიდლო თარჯიმნია დახმარებას. გდრ-ის ერთადერთ ეროვნულ უმცირესობას — სორბებს თავიანთ მკვიდრ ააცხოვრებელ რაიონებში<sup>2</sup> უფლება აქვთ ილაპარაკონ სასამართლოში სორბულად.

აბჭოთა ქვეყანაში სამართალწარმოების ეროვნული ენის ინსტიტუტის რაობა, მისი კონსტრუქცია სოციალისტური ფედერალიზმის პრინციპის საფუძველზე შექმნილი ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოს არსებობით, სარ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკებია ეროვნულ-სახელმწიფო წყობილებით განისაზღვრება. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის რუსეთის ფედერაცია შემდეგ საქართველოს ასრ ყველაზე მეტ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთეულს მოიცავს და სამართალწარმოების ეროვნული ენის პრინციპი მიაი კონსტიტუციითაც სრული მოცულობით არის განმტკიცებული.

17/35


ეროვნულ ენაზე სამართლის წარმოება კონსტიტუციური დანაწესია და მის პრაქტიკულ განხორციელებას შეუწელებელი ყურადღება ექცევა აბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონის რეალიზაციის პროცესში. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პლენუმმა 1978 წლის თებერვალში მიიღო დადგენილება ახალი საკავშირო კონსტიტუციის შესაბამისად სასამართლო აქტებისა და მისი შემდგომი სრულყოფის შესახებ, ხოლო იენისში განიხილა საკითხი, აუ როგორ იყენებენ სასამართლოები კანონებს, რომლებითაც ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვა უფლება. ამ მიმართულებით პლენუმზე სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება სამართალწარმოების ეროვნული ენის ნორმების დაცვაზეც გამახვილდა და დაისახა მათი განუხრელად განხორციელების უზრუნველსაყოფი ღონისძიებანი<sup>3</sup>.

სამართალწარმოების ეროვნული ენის მრავალმხრივი და რთული ინსტიტუტიდან წინამდებარე სტატიაში მაჯელობია საგანია სსრ კავშირის კონსტიტუციის 159-ე მუხლის ქართული ტექსტი. საერთო-საკავშირო ძირითადი კანონის ქართული ტექსტის ხსენებულ მუხლთან ერთად, მის გვერდითა და კვალდაკვალ, ბუნებრივია, მასზე დაფუძნებული და სხვა საკანონმდებლო აქტებში შესული ერთგვაროვანი ტექსტებიც განიხილება. მხედველობაშია, სახელდობრ, არ კავშირის კონსტიტუციის 159-ე მუხლის შესატყვისი ადგილები სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საერთო-საკავშირო საფუძვლების, საქართველოს სსრ, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ძირითად კანონთა ქართულ ტექსტებში.

საკითხის ამნაირად დაამა, საკვლევაძიებო თემის ასე თავისებურად შემოფარგვლას განაპირობებს სსრ კავშირის კონსტიტუციის 159-ე და, მისვან გამომდინარე, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 171-ე, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 150-ე, აჭარის ასსრ კონსტიტუციის 150-ე და „სსრ კავშირში სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების“ მე-11 მუხლების ქართული ტექსტების მეორე, ბოლო ნაწილების ფორმულირება. ქვემოთ წარმოდგენილი

<sup>2</sup> სორბები ანუ სლავურენოვანი ლუიციელები — ლუიციელი სერბელები (დაახლოებით 100 ათასი კაცი) ცხოვრობენ კობუსისა და დრეზდენის ოლქების (ცენტრი — ქ. ბაუტენი) 12 რაიონში (ლუიციელებით დასახლებული ტერიტორია X საუკუნეში დაიპყრეს გერმანელმა ფეოდალებმა).

<sup>3</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1978, № 4, стр. 4—5, 10—11.



განხილვით გამოჩნდება, რომ ისინი შეაბამის რუსულ ტექსტებთან შედარებით მართებულად ჩამოყალიბებულად ვერ ჩაითვლება.<sup>4</sup>

ამასთანავე, მითითებული, მსჯელობის ძირითად საგნად დასახული, ტექსტების გარდა დაზუსტების თვალსაზრისით განიხილება აგრეთვე საქართველოს სსრ, აფხაზეთის ააარ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების შემოხსენებული მუხლების დასაწყისი ნაწილები.

საქმე ეხება, სახელდობრ, სიტყვებს — „სამართალწარმოება ხორციელდება“: „სამართალწარმოება საქართველოს სს რესპუბლიკაში<sup>4</sup> ხორციელდება ქართულ ენაზე ან...“ (ანალოგიურია აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ძირითად კანონთა ტექსტები). აქ „ხორციელდება“ უმართებულად არის ნახმარო<sup>5</sup> და იგი „მიმდინარეობს“ სიტყვით უნდა შეიცვალოს<sup>6</sup>.

სსრ კავშირის კონსტიტუციის რუსული ტექსტის 159-ე მუხლში და, მისგან გამომდინარე, რესპუბლიკური ძირითადი კანონებია შეაბამის ტექსტებშიც განსახილველი ადგილი ვაღმოცემულია სიტყვებით — «Судопроизводство ведется». ამ უკანასკნელ სიტყვას ზედძიწევებით „წარმოებს“ შეესატყვისება. მაგრამ იგი „სამართალწარმოებაში“ უკვე არის, — გამოვიდოდა „სამართალწარმოება წარმოებს“. სწორი შესატყვისი — „სამართალწარმოება მიმდინარეობს“ — გამოყენებულია ასრ კავშირის კონსტიტუციისა და „სსრ კავშირში სასამართლო წყობილებიც“ შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების<sup>7</sup> (მუხ. 11) ქართულ ტექსტებში<sup>7</sup>.

„ხორციელდება“ «осуществляется» სიტყვის სოული შესატყვისია და მართებულადაც არის გამოყენებული, კერძოდ, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 163-ე და 168-ე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების 142-ე და 147-ე მუხლების ქართულ ტექსტებში („მართლმსაჯულებას... ახორციელებს...“; „...მართლმსაჯულება ხორციელდება...“). ამის გათვალისწინებით, „ხორციელდება“ სიტყვის შეუსაბამო ხმარება იმ უმართებულობასაც იწვევს, რომ, ერთი მხრივ, აქ დასახელებული და, მეორე მხრივ, განხილვის საგნად დასახული მუხლების ქართულ ტექსტებში იკარგება მათ შორის არსებული ის განსხვავება თუ თავისებურება, რომელიც რუსული ტექსტების «осуществляется» და «ведется» ფორმებით არის გამოხატული.

წინამდებარე სტატიაში უმთავრესად, როგორც უკვე ითქვა, სსრ კავშირის კონსტიტუციის ქართული ტექსტის 159-ე მუხლის მეორე ნაწილი, აგრეთვე მის შესატყვისად სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საერთო-საკავშირო საფუძვლებში, საქართველოს სსრ-ისა და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების ძირითად კანონებში წარმოდგენილი ტექსტები განიხილება.

საქმე შეეხება, სახელდობრ, დანაწესს მიმდინარე სამართალწარმოების ენის არამცოდნე პირთა პროცესუალური მდგომარეობის შესახებ, რომელიც ხსენებული აქტების ქართულ ტექსტებში ასეა ჩამოყალიბებული: „საქმია მო-

<sup>4</sup> მოუხერხებელია „საქართველოს სს რესპუბლიკაში“ (ისევე, როგორც „აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში“, „აჭარის ასს რესპუბლიკაში“) და სხვა მსგავსი ფორმები (მეტადრე „საქართველოს სს რესპუბლიკა“ — იხ. საქართველოს სსრ კონსტიტუცია, მუხ. 28). უფრო სწორი იქნება დაიწეროს „საქართველოს სსრ-ში“ (აფხაზეთისა თუ აჭარის „ასსრ-ში“) და სხვ. მისთ.

<sup>5</sup> ასევე იყო საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციაში (მუხ. 124).

<sup>6</sup> უზუსტობათა გასწორების პროცედურული საკითხები ქვემოთ იქნება განხილული.

<sup>7</sup> იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“. 1977. № 41. მუხ. 617; 1980. № 27. მუხ. 545.

ნაწილედ პირებისათვის, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება, სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება“. ამისი ამოსავალი რუსული ტექსტი შემოაღნიშნულ ძირითად კანონებსა და, საერთოდ, ამჟამად მოქმედ ყველა საბჭოთა კონსტიტუციაში, ისევე როგორც სასამართლო წყობილების კანონმდებლობის ხსენებულ საფუძველებში, ასეა წარმოდგენილი: «Участвующим в деле лицам, не владеющим языком, на котором ведется судопроизводство, обеспечивается право полного ознакомления с материалами дела, участие в судебных действиях через переводчика и право выступать в суде на родном языке».

ციტირებული ტექსტი შეიცავს სამ ნორმას, რომლებიც თანამიმდევრობით შეეხება საქმის მასალების გაცნობას, სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობასა და სასამართლოში დედაენაზე გამოსვლას. ამათ შორის მნიშვნელოვანად, შინაარსობრივად განსხვავებული სახითაა მოცემული ქართულსა და რუსულ ტექსტებში სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის განმსაზღვრელი ნორმა.

რუსული ტექსტის მიხედვით საქმის მონაწილე პირებს, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია აქვთ მონაწილეობა სასამართლო მოქმედებაში თარჯიმნის მეშვეობით. აქ „მონაწილეობა“ ზოგადად არის ნათქვამი — იმის განუტყვევებლად, უფლებას გულიახმობს თუ მოვალეობას. მაშასადამე, რუსული რედაქციით სასამართლო მოქმედებაში შემოაღნიშნული სახით მონაწილეობა უფლება-მოვალეობად განიხილება. ქართულ ტექსტში კი იგი მარტოდენ უფლებად არის წარმოდგენილი: „საქმის მონაწილე პირებისათვის, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარჯიმნის მეშვეობით... სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება“.

აეთი გაგების საფუძველად რუსული ტექსტი არ იძლევა, რაც სინტაქსურ წყობაზე თუნდაც უბრალო დაკვირვებითაც ჩანს, უფრო თვალნათლივ კი გრამატიკულ-ლოგიკური განმარტების გზით ირკვევა.

სამივე ნორმას აქვს საერთო ჰიპოთეზა. იგი გამოხატულია სიტყვებით: „საქმის მონაწილე პირებს, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა“. ამ საერთო ჰიპოთეზას მიესადაგება თითოეული ნორმის დისპოზიცია — ასეთ პირებს უზრუნველყოფილი აქვთ: 1. თარჯიმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობის უფლება; 2. თარჯიმნის მეშვეობით სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობა; 3. სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება. სადისპოზიციო ნაწილის დასაწყისში ნახმარი სიტყვა „право“ მარტო პირველი ნორმის დისპოზიციას მიეკუთვნება. ეს აშკარად ჩანს იქიდან, რომ მეორე ნორმის დისპოზიციაში სიტყვა «участие», სახელობით ბრუნვითა და არა ნათესაობითში. სწორედ ამ გარემოების უგულებელყოფის შედეგია ქართულსა და რუსულ ტექსტებს შორის არსებული განსხვავება, რომელიც შემოთავაზებულია.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ისიც, რომ რუსულ ტექსტში პირველი და მეორე ნორმის დისპოზიციები, რომლებიც ათვი-

საც საერთოა სიტყვები „თარჯიმნის მეშვეობით“, ერთმანეთისაგან მძიმით განი-  
 ყოფება, ორივე ერთად კი მესამეს „და“-თი უკავშირდება. სფპირისპირო ვითა-  
 რებაა ქართულ ტექსტში. აქ, რუსულთან მიმართებით, ხსენებული სასვენი  
 ნიშანი (მძიმე) და კავშირი („და“) ერთიმეორის ადგილზეა, ურთიერთშენაც-  
 ლებულია.

სავსებით ურთიერთშესატყვისად ვერ ჩაითვლება აგრეთვე «УЧАСТВУЮЩИМ  
 В ДЕЛЕ ЛИЦАМ» და „საქმის მონაწილე პირებისათვის“. ქართული ტექსტი ასე უნ-  
 და იყოს—„საქმის მონაწილე\* პირებს“, „-თვის“ თანდებულიანი ფორმის გამო-  
 ყენებაში ასრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციის 110-ე და საქართველოს  
 სსრ 1937 წლის კონსტიტუციის 124-ე მუხლების ქართული ტექსტების გავ-  
 ლენე იგრძნობა. მაგრამ საქმე ის არის, რომ მათი რუსული შესატყვისობანი  
 სხვანაირად იყო ჩამოყალიბებული («...ДЛЯ ЛИЦ» და არა «...ЛИЦАМ», როგორც  
 ახლანდელ ტექსტებშია).

ამგვარად, ვლინდება სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ  
 და აჭარის ასსრ კონსტიტუციებისა და სასამართლო წყობილების კანონმდებ-  
 ლობის საერთო-საკავშირო საფუძვლების განსახილველი ქართული და რუ-  
 სული ტექსტების რამდენიმე სხვაობა, რომელთაგან ერთი მაინც მეტად მნიშ-  
 ვნელოვანია.

ახლა გასარკვევია ზემოთ გამოვლენილი არსებითი განსხვავებისა და მოქ-  
 მედი საპროცესო კანონმდებლობის ურთიერთმიმართების საკითხი.

ირკვევა, რომ ქართულ რედაქციასა და სათანადო საპროცესო ნორმათა  
 მოთხოვნებს შორის შეუსაბამობაა, უფრო მეტიც, პირდაპირი წინააღმდეგობაა.  
 რუსული ტექსტი და პროცესუალური სამართლის შესაბამისი ნორმები კი, პი-  
 რიქით, ურთიერთშეწყობილია.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, საქმის მონაწილე ცალკეული პი-  
 რის სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობა არა მარტო უფლების, არმედ  
 აგრეთვე მოვალეობის სახით არის განმტკიცებული.

კერძოდ, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამარ-  
 თალწარმოების საფუძვლების 39-ე და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის  
 საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლებით დაკანონებულია სამართალში მიცე-  
 მულის — განსასჯელის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში. ამ მუხლების  
 ძალით, საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამსჯავრო  
 სხდომაზე წარმოებს სამართალში მიცემულის მონაწილეობით; მისი გამოც-  
 ხადება სასამართლოში სავალდებულოა. სამსჯავრო სხდომაში განსაჯელია მო-  
 ნაწილეობის აუცილებლობა სასამართლო გარჩევის უშუალოების პრინციპის  
 ერთ-ერთ გამოხატულებასა და მართლმსაჯულების სწორად განხორციელების  
 მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. საქმის განხილვა სამართალში მიცე-  
 მულის დაუსწრებლად დაშვებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში: 1.  
 როდესაც სამართალში მიცემული იმყოფება სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ  
 და თავა არიდებს სასამართლოში გამოცხადებას; 2. როცა სამართალში მიცე-  
 მული შუამდგომლობს მის დაუსწრებლად გაიჩიეს ისეთი დანაშაულის საქმე,  
 რომლისთვისაც არ შეიძლება სასჯელად დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა.

\* ეს კია, რომ რესპუბლიკის საპროცესო კანონმდებლობაში მტკიცედაა დამკვიდრებული  
 „საქმეში მონაწილე“ (იხ. კერძოდ; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 15, 52;  
 საოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 9, 29-30, 161-164).

ამ უკანააქნელ ვითარებაში სასამართლოს მაინც უფლება აქვს სავალდებულოდ ცნოს სამართალში მიცემულია გამოცხადება. იმ შემთხვევაში, როდესაც განსასჯელის მონაწილეობა საქმის განხილვაში აუცილებელია, ხოლო მან არ იცის მიმდინარე სამართალწარმოების ენა, სასამართლო სავალდებულო წესით ნიშნავს თარჯიმანს.

ამგვარად, მოყვანილი მასალის მიხედვით თვალსაჩინო ხდება, რომ ზემოხსენებული კონსტიტუციებისა და სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლებია ქართული ტექსტებისაგან განსხვავებით საქმის მონაწილე პირისათვის, რომელმაც არ იცის მიმდინარე სამართალწარმოების ენა, სასამართლო მოქმედებაში თარჯიმნის მეშვეობით მონაწილეობა მარტოოდენ უფლება კი არა, განსაზღვრული პროცესუალური მოვალეობაც არის. საკავშირო და რესპუბლიკური ძირითადი კანონებისა და სასამართლო წყობილებია კანონმდებლობის საფუძვლების სათანადო რუსულ ტექსტებში, ქართულის საპირისპიროდ, სწორედ ასეთი მდგომარეობა იგულისხმება.

შექმნილ ვითარებაში ბუნებრივად წამოიჭრება განსახილველი ქართული ტექსტებია იურიდიული ძალის საკითხი.

რასაკვირველია, განსაკუთრებულ ყურადღებას თავია მნიშვნელობის გამო სსრ კავშირის კონსტიტუციის ქართული ტექსტი იქცევს, რამდენადაც სწორედ მისგან მომდინარეობს დანარჩენი საცილობელი ტექსტები.

საკავშირო ძირითადი კანონის 116-ე მუხლის ძალით, სსრ კავშირის კანონები მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე ქვეყნდება. ეს განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა საბჭოთა ფედერაციული სახელმწიფოს დემოკრატიული ბუნება, ერთა თანასწორუფლებიანობა, კანონის ცოდნის პრეზუმფცია და კანონიერების განმტკიცების აუცილებლობა. ასეთი წესი ქმნის ნიადაგს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სამართალწარმოების ეროვნული ენის კონსტიტუციური პრინციპი. სხვადასხვა ენებზე გამოქვეყნებული ტექსტები ავთენტიკური, ტოლფასი და თანაბარი იურიდიული ძალისაა<sup>9</sup>. ცხადია, რომ ისინი ყოველმხრივ, როგორც შინაარაობრივად, ისე ტექსტუალურად, ზუსტად უნდა შეესაბამებოდნენ ერთმანეთს. დაუშვებელია მცირეოდენი განსხვავებაც კი, რამაც შეიძლება ერთი და იმავე კანონის სხვადასხვაგვარი გაგება გამოიწვიოს. აღნიშნული პირობების დაცვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში. რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებული სიფრთხილე და აიზუსტება საჭირო, როცა საქმე კონსტიტუცია ეხება. აქ სულ მცირეოდენი, ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო განსხვავება-უზუსტობაც კი ადვილად შეიძლება დიდი გაუგებრობის მიზეზად იქცეს, რამდენადაც კონსტიტუცია ქვეყნის ძირითადი კანონი, მთელი დარგობრივი და მიმდინარე კანონმდებლობის საფუძველია.

1980 წლის 6 მაისს საკავშირო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ახალი ბრძანებულება „სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და ახვა აქტების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“. ამ ბრძანებულების თანახმად, ხსენებული აქტების ოფიციალურად გამოქვეყნების სპეციალური ორგანოს „სსრ კავშირის

<sup>9</sup> იმაზე იხ. მონოგრაფია «Опубликование нормативных актов», М., 1978, стр. 61, 109, 111, 115—18, 125.

უმალღესი საბჭოს უწყებები“, რომლებიც გამოდის მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე; ამ გამოცემაში კანონისა თუ სხვა სათანადო აქტის მოთავსება „არის ოფიციალური გამოქვეყნება“<sup>10</sup>.

ამგვარად, ქართული ენა საერთო-საკავშირო კანონთა ოფიციალური გამოქვეყნების ენაა. სსრ კავშირის კონსტიტუციის ქართული ტექსტი, რომელიც გამოქვეყნებულია დადგენილი წესების დაცვით, ავთენტიკურია, იგი სრული იურიდიული ძალის მქონეა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე. საკავშირო კონსტიტუციის საცილობელი ადგილიც სწორედ საქირო წესის დაცვით გამოქვეყნებული ტექსტისეულია<sup>11</sup> და, მასასაღამე, მისი იურიდიული ძალის ექვეყნება გამოირიცხებულია.

ზუსტად იგივე ითქმის „სსრ კავშირში სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების“ ქართული ტექსტის მე-11 მუხლზეც, რომელიც განსახილველ ადგილს შეიცავს<sup>12</sup>.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 110-ე მუხლის თანახმად, რესპუბლიკის კანონები ქვეყნდება ქართულ და რუსულ ენებზე<sup>13</sup> (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქისათვის — აგრეთვე შესაბამისი ერთეულის ენაზე). „საქართველო სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებებისა გამოსაქვეყნებლად მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 29 ივლისის დადგენილება<sup>14</sup>, ნორმატიული აქტების ქართულ ენაზე დამტიკების წესიდან გამომდინარე, განსაზღვრავს, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის აქტების ოფიციალურ თარგმანს რუსულ ენაზე ახორციელებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობის გამოქვეყნებისა და თარგმნის ჯგუფი.

ქართული ენა, რესპუბლიკის ძირითადი კანონია 75-ე მუხლის ძალით, საქართველოს სსრ სახელმწიფო ენაა. ამის გათვალისწინებით ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სრული იურიდიული ძალის მქონეა რესპუბლიკის კონსტიტუციის მთელი ქართული ტექსტი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესითაა გამოქვეყნებული. საქართველოს სსრ კონსტიტუციის ქართული ტექსტის განააიღველი ადგილიც სწორედ ასეთია. — დედნისეულია: მას შეიცავს საქართველოს სსრ ძირითადი კანონის ტექსტი, რომელიც სათანადო წესების დაცვით გამოქვეყნებულია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს „უწყებებში“<sup>15</sup>. ამ სპეციალურ გამოცემაში რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს აქტების მოთავსება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

<sup>10</sup> იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1980, № 20, მუხ. 374 (დანართი).

<sup>11</sup> იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1977, № 41, მუხ. 616-617.

<sup>12</sup> იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1980, № 27, მუხ. 545.

<sup>13</sup> შტ. პონოგრაფია «Опубликование нормативных актов». М., 1978, გვ. 119-120. სადაც მკვლევარობიდანაა გაშვებული ის, რომ საქართველოს სსრ კანონები, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები რუსულ ენაზეცაა ქვეყნდება.

<sup>14</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1980, № 7, მუხ. 220 (იხ. ამ დადგენილების მე-5 პუნქტი).

<sup>15</sup> იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1978, № 4, მუხ. 75.

პრეზიდიუმის 1980 წლის 29 ივლისის ბრძანებულების თანახმად<sup>16</sup>, „ოფიციალური გამოქვეყნება“.

უდავოდ ასევე დადებითად უნდა გადაწყდეს აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ძირითადი კანონების საცილობელი ქართული ტექსტების იურიდიული ძალის საკითხი. ქართული ენა არის აფხაზეთის ასრ ერთ-ერთი ახელმწიფო ენა, აჭარის ასრ სახელმწიფო ენა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონთა ოფიციალური გამოქვეყნების ერთ-ერთი ენა<sup>17</sup>. სადავოდ ქცეულ ადგილებს შეიცავენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების ქართული ტექსტები, რომლებიც გამოქვეყნებულია შეაბამის საოლქო გაზეთებში — „საბჭოთა აფხაზეთსა“<sup>18</sup> და „საბჭოთა აჭარაში“<sup>19</sup>. ამ ტიპის გაზეთში ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების ტექსტის მოთავსება კი მათი გამოქვეყნების ძირითად ფორმად არის მიჩნეული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>20</sup>.

ასე და ამრიგად, გამოდის, რომ განსახილველი ქართული ტექსტები არაუბოთად მცდარია, ხოლო სამართლებრივი თვალსაზრისით კი ავთენტიკური, იურიდიული ძალის მქონეა.

ამგვარი ვითარების მიუხედავად, აეთი ტექსტი, ვითარცა კანონით განსაზღვრულ სპეციალურ ოფიციალურ გამოცემაში საჭირო ფორმალური ატრიბუტების თანდართვით მოთავსებული ახალმიღებული აქტის ორგანული შემადგენელი ნაწილი, ამართლებრივი თვალსაზრისით „ორიგინალს იდენტურია, მასზე შეიძლება მითითება, იგი უცილობელია მანამ, სანამ ოფიციალურ გამოცემაში არ იქნება აღნიშნული ტექსტის უზუსტობანი და შეცდომები“. ამიტომ, საერთოდ, „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გულდასმით შემოწმდეს გამოსაქვეყნებელი აქტის ტექსტის ნამდვილობა, სიზუსტე. უკეთუ ოფიციალურ ტექსტში არის უზუსტობანი, ხარვეზები და სხვა გადახვევები, ამან შეიძლება სერიოზული შედეგები გამოიწვიოს“<sup>21</sup>.

განხილვის საგნად ქცეულ ქართულ ტექსტებში არსებულ შეცდომათა უზუსტობათა გასწორება, რაღა თქმა უნდა, აუცილებელია. შესწორება სსრ კავშირის კონსტიტუციის რუსული ტექსტია საფუძველზე უნდა განხორციელდეს. საქმე ის არის, რომ იგი წარმოადგენს ყველა სხვა სათანადო ტექსტის ამოსავალს. საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, ვითარცა საერთო-საკავშირო ძირი-

<sup>16</sup> იხ. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1980, № 7, მუხ. 219 („საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“).

<sup>17</sup> იხ. აფხაზეთის ასრ კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), სტუმში, 1979, მუხ. 70, 99, აჭარის ასრ კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), ბათუმი, 1978, მუხ. 70, 99.

<sup>18</sup> გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1978 წლის 7 ივნისი, № 109, გვ. 1-5.

<sup>19</sup> გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1978 წლის 29 მაისი, № 103, გვ. 1, 3-6.

<sup>20</sup> «Опубликование нормативных актов», М., 1978, стр. 92—3.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 12-13, 22 ზემოთქმული გავეჯილვისწინებით გასაგებია, სპეციალისტთა ყუთადღების გამავეჯილება საკანონმდებლო აქტების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საკითხებისადმი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთის ევროპის სოციალისტური ქვეყნების კანონმდებლობით განსაზღვრულია გამოქვეყნებულ ტექსტებში დაშვებული შეცდომების გასწორების წესები (იხ. დაახ. ნაშრ., გვ. 53, 69, 87, 91, 117-118, 124-128, 135-138).

თად კანონს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მხოლოდ რუსული ტექსტის სახით ამტკიცებს. მოკავშირე რესპუბლიკების (ცხადია, რსფსრ-ის გამოკლებით) ენებზე კი იგი თუმცა ოფიციალურად, მაგრამ მაინც მიღება-გამოცხადებას შემდეგ ითარგმნება და უმაღლეს საბჭოში განხილვა-დამტკიცების ვარჯიშზე ქვეყნდება. ეს წესი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხვა აქტებზედაც ვრცელდება. ასევეა მიღებული და გამოქვეყნებული სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საერთო-საკავშირო საფუძვლები და მისი ქართული ტექსტის საცილობელი ადგილი ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა შესწორდეს.

მცდარი ტექსტი, ცხადია, თვით მისმა მიმღებმა სამართალ შემოქმედებითა და სხვა უფლებამოსილმა ორგანომ უნდა შეასწოროს. ამასთან ერთად საჭიროა, რომ შესწორება აღნიშნული ორგანოს მითითებითა და სახელით მოთავსდეს სათანადო ოფიციალურ გამოცემაში, — იმაშივე, რომელშიც შესასწორებელი ტექსტის შემცველი ახალმიღებული აქტი გამოქვეყნდა.

საკავშირო კონსტიტუციის, ისევე როგორც სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლების ქართული ტექსტი „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებიდან“ მომდინარეობს და განსახილველი ტექსტების შესწორება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოსა და მისი სპეციალური აპარატი კომპეტენციას მიეკუთვნება. ეს გამომდინარეობს საკავშირო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 6 მაისის დადგენილებიდან „სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნების ხაზით მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნულ მუშაობას ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი. მუშაობის ორგანიზაცია, კონკრეტული აქტების გამოქვეყნების აისწორისადმი ეკუთრება პრეზიდიუმის სამდივნოს. „უწყებების“ გამოშვებასა და აქტების ოფიციალურ თარგმანს მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე ახორციელებს საკავშირო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოსთან არსებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს აქტების გამოქვეყნების განყოფილება. „უწყებების“ რედაქციაში შექმნილია თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე საკანონმდებლო აქტების თარგმანის სპეციალური ჯგუფები. თითოეულ ჯგუფში არის რედაქტორი (იგივე ჯგუფის ხელმძღვანელი), რომელიც პასუხს აგებს თარგმანის ხარისხისათვის. თარგმანის რედაქტირებასა და ვიზირებას ახორციელებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხიამგებელი მუშაკები. თითოეული მოკავშირე რესპუბლიკისთვისა ყოველკვირულად გამოიცემა „უწყებების“ სპეციალური ნაკვეთები, სადაც საკანონმდებლო აქტები იბეჭდება მოცემული რესპუბლიკისა და რუსულ ენებზე. ისინი სავალდებულო წესით ეგზავნება შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებსა და სხვა სათანადო ორგანოებს<sup>22</sup>.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის განსახილველი ტექსტის შესწორებისა და ოფიციალურ გამოცემაში მოთავსების პროცედურა ამ აქტის მიღება-გამოქვეყნების წესით განისაზღვრება. რესპუბლიკის ძირითადი კანონის ქართული ტექსტი საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო. ოფიციალური ტექსტი

<sup>22</sup> იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1980, № 20, მუხ. 375; «Опубликование нормативных актов», М., 1978, стр. 69, 118, 125.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებსა“ და რესპუბლიკურ კაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა. საზოგადოდ, „საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოსაქვეყნებლად მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 29 ივლისის დადგენილებით<sup>23</sup>, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის აქტების გამოქვეყნების საქმეს ხელმძღვანელობს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი. აქტების გამოსაქვეყნებლად მუშაობის ორგანიზაცია და მათი გამოქვეყნების სისწორის კონტროლი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობას ეკისრება.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების დასაზუსტებელი ქართული ტექსტებია შესწორება და შესაბამის საოლქო გაზეთებში გამოქვეყნება ამ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების კომპეტენციაა განეკუთვნება.

დასასრულ, რაც შეეხება თვით შესწორების ფორმულირებას, იგი მართებულად, — საერთო-საკავშირო ძირითადი კანონის რუსული ტექსტია 159-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად და ზემოთ წარმოდგენილი განხილვის კათეგორიზაციებით, ამ სახით უნდა ჩამოყალიბდეს:

„საქმის მონაწილე პირებს, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილი აქვთ საქმის მასალების სრული გაცნობის უფლება, სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობა თარგმანის მეშვეობით და სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება“.

ასეთნაირად უნდა შეიცვალოს სსრ კავშირის კონსტიტუციის 159-ე მუხლის ქართული ტექსტის ბოლო ნაწილი. ამნაირადვე უნდა შეაწოდეს შესაბამისი ადგილები საქართველოს სსრ კონსტიტუციას (მუხ. 171). აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის (მუხ. 150), აჭარის ასსრ კონსტიტუციის (მუხ. 150) და „სსრ კავშირში სასამართლო წყობილების შესახებ ასრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების“ (მუხ. 11) ქართულ ტექსტებში.

<sup>23</sup> „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1980, № 7, მუხ. 220.

# პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებლის პროცესუალური მდგომარეობის შესახებ\*

პროფ. ა. ფალიაშვილი

თანამედროვე პირობებში დიდი ყურადღება ექცევა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, თანამდებობის პირის და მოქალაქის მიერ საბჭოთა კანონების ზუსტ და განუხრელ დაცვას.

ჩვენს ქვეყანაში ყველა სახელმწიფო ორგანო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია მოვალეა იდგეს სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე, მაგრამ განსაკუთრებული როლი და პასუხისმგებლობა ამ საქმეში აკისრია სპეციალურად მოწოდებულ სამართალდამცველ ორგანოებს, კერძოდ კი პროკურატურას, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციის 164-ე მუხლით ახორციელებს კანონთა ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი უმაღლეს ზედამხედველობას. სსრ კავშირის პროკურატურის მიზანია ყოველმხრივ განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება და მართლწესრიგი. პროკურატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყოს სათანადო ზედამხედველობა სასამართლო ორგანოებისადმი. რათა ისინი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის დროს ზუსტად და ერთგვაროვნად იცავდნენ და ასრულებდნენ კანონებს.

პროკურატურის ზედამხედველობამ ამ დარგში ხელი უნდა შეუწყოს მართლმსაჯულების მიზნებისა და სასამართლოს ამოცანების განხორციელებას, ამასთან არ შეილახოს და ზუსტად იქნეს დაცული ის პრინციპები, რომ მოსამართლენი და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში არის აზრთა სხვადასხვაობა პირველი ინსტანციის სასამართლოში პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალდებლის, პროცესუალური მდგომარეობის შესახებ. ეს თავისთავად არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც უარყოფითი მოვლენა. სადავო საკითხებზე პრაქტიკოსთა და სწავლულ იურისტთა დასაბუთებული და არგუმენტირებული მოსაზრებები ხშირად ხელს უწყობს ჭეშმარიტების დადგენას, პრაქტიკის გაუმჯობესებას და კანონმდებლობის სრულყოფას. მაგრამ ზოგჯერ სახელმწიფო ბრალდების არსისა და ფუნქციების თაობაზე ლიტერატურაში გამოთქმულია ისეთი მოსაზრებები, რომელთა მიღება და გაზიარება, ჩვენი აზრით, ხელს არ შეუწყობს პრაქტიკისა და კანონმდებლობის სრულყოფას. წინამდებარე სტატიის მიზანია ამ სადავო პრობლემებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

1. საპროკურორო ზედამხედველობის ერთ-ერთი ცენტრალური და აქტუალური პრობლემაა პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს პროკურორის პროცესუალური მდგომარეობის განსაზღვრა. ლიტერატურაში დავას იწვევს ის, შეუძლია თუ არა პროკურორს,

\* შეკლება განხილვის წესით.

რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს, კანონების შესრულების გამო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გამოძიების დროს, ამჟამად დროს სასამართლოში გამოვიდეს სახელმწიფო ბრალმდებლის როლში.

ამ საკითხზე ი. პეტრუხინი გამოთქვამს უარყოფით მოსაზრებას: ვინაიდან პროკურორი ახორციელებს ზედამხედველობას კანონების დაცვისადმი გამოძიების პროცესში, ხელმძღვანელობს გამოძიებას და ამტკიცებს საბრალდებო დასკვნას, საექვეთნო იგი იყოს ობიექტური, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლოში. ამიტომ პროკურორი უნდა განთავისუფლდეს სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლის მოვალეობისაგან<sup>1</sup>.

მართალია, პროკურორი პროცესუალურ ხელმძღვანელობას უწევს გამოძიებას, ამტკიცებს საბრალდებო დასკვნას, ახორციელებს ზედამხედველობას კანონთა დაცვისადმი, როგორც გამოძიების პროცესში, ისე სასამართლოში საქმის განხილვის დროს, მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ გვაძლევს საფუძველს პროკურორის ობიექტურობა წინასწარ და ყველა შემთხვევაში საექვეთნო გავხადოთ და ავუკრძალოთ მას სახელმწიფო ბრალმდებლად სასამართლოში გამოსვლა.

ჯერ ერთი, პროკურორი ყველგან და ყოველთვის მოვალეა ზედამხედველობა გაუწიოს კანონების დაცვას, უპირველეს ყოვლისა, თვითონ იცავდეს კანონის მოთხოვნას. პროკურორი არ უნდა იყოს შეზღუდული იმით, რომ მან დაამტკიცა საბრალდებო დასკვნა და საქმე წარმართა სასამართლოში. სასამართლოში შეიძლება თავი იჩინოს ახალმა გარემოებებმა, რომლებიც დაამტკიცებს სამართალში მიცემულის უდანაშაულობას ან სხვა შემამსუბუქებელ გარემოებებს. თუკი პროკურორი თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მივა იმ დასკვნამდე, რომ სასამართლოში სწორად და საფუძვლიანად დადგინდა სამართალში მიცემულის უდანაშაულობა, მას კანონის ძალით, არ შეუძლია ჯიუტად ამტკიცოს სამართალში მიცემულის ბრალეულობა. ეს პროკურორის უკანონო მოქმედება იქნებოდა.

პროკურორის საბრალდებო სიტყვა და მისი მოსაზრება სამართალში მიცემულის დასჯის შესახებ სრულიადაც არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის. სასამართლო არ ემორჩილება პროკურორს, იგი კრიტიკულად აფასებს ყველა დამამტკიცებელ საბუთს, სამართალში მიცემულ პიროვნებას, დანაშაულის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებას და შინაგანი რწმენის საფუძველზე წყვეტს ყველა წამოჭრილ საკითხს. ამიტომ, თუ პროკურორი, სახელმწიფო ბრალმდებელი გამოიჩენს ტენდენციურობას და სუბიექტურობას, სასამართლო არ დაეთანხმება მას და საკითხს გადაწყვეტს კანონის შესაბამისად.

მიგვაჩნია, რომ საერთოდ არ შეიძლება საკითხის დაყენება პროკურორის არაობიექტურობის შესახებ იმ მოტივით, რომ მან დაამტკიცა საბრალდებო დასკვნა. თუ ასე ვიმსჯელებთ, მაშინ არც სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე, ვინაიდან საქმის სამსჯავრო სხდომაზე განხილვამდე სასამართლო სამართალში აძლევს ბრალდებულს და ამით ადასტურებს, რომ საქმისათვის მასალები შეგროვილია სრულყოფილად და ობიექტურად.

გ. კოლბაია, იზიარებს რა ი. პეტრუხინის მოსაზრებას, მიდის იმ დასკვნამდე, რომ სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქცია უმჯობესია შეას-

<sup>1</sup> იხ. И. Л. Петрухин. Об эффективности прокурорского надзора в суде. «Социалистическая законность», 1969, № 6, стр. 35—37.

რულოს იმ გამომძიებელმა, რომელმაც საქმე გამოიძია.<sup>2</sup> ეს მოსაზრება დაუ-  
საბუთებელი და მცდარია. გამომძიებლის მოწოდებაა საქმის გამოძიება. მას არ  
ევალება და არც შეუძლია განახორციელოს კანონების შესრულებისადმი ზე-  
დამხედველობა. ერთ პიროვნებას არ შეუძლია შეითავსოს გამოძიების უშუ-  
ალო წარმოება, კანონების დაცვასადმი ზედამხედველობა და სასამართლოში  
სახელმწიფო ბრალდებისათვის მხარის დაჭერა. სულ სხვა მდგომარეობა უკა-  
ვია პროკურორს. მას კანონი ანიჭებს უფლებას განახორციელოს სასამართ-  
ლოში ზედამხედველობა კანონების შესრულებისადმი და მხარი დაუჭიროს  
ბრალდებას.

ამიტომ არ არის არავითარი საფუძველი, რომ პროკურორი გავათავისუფ-  
ლოთ სახელმწიფო ბრალმდებლის მოვალეობიდან და ეს ფუნქცია დავაკისროთ  
გამომძიებელს. ჩვენ სწორად მიგვაჩნია იმ ავტორთა პოზიცია, რომლებიც არ  
ეთანხმებიან ი. პუტრუხინს და გ. კოლბაის მოსაზრებებს, როგორც საბჭოთა  
სისხლის სამართლის პროცესისა და საპროკურორო ზედამხედველობისათვის  
მიუღებელს.<sup>3</sup>

ამრიგად, პროკურორის პროცესუალური მდგომარეობა პირველი ინსტან-  
ციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს შემდეგ-  
ნაირად უნდა განისაზღვროს: პროკურორი პირველი ინსტანციის სასამართლო-  
ში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს ახორციელებს უმაღლეს ზე-  
დამხედველობას კანონთა ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადმი და ამავე  
დროს გამოდის როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა გან-  
ხილვის კანონიერების უზრუნველყოფის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს  
სახელმწიფო ბრალმდებლის სუბიექტისა და იმ საქმეთა კატეგორიის საკითხი,  
რომელთა განხილვის დროსაც პროკურორმა მხარი უნდა დაუჭიროს სახელმწი-  
ფო ბრალდებას.

სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ორი ფორმა არსე-  
ბობს: სავალდებულო და არასავალდებულო (პროკურორის ინიციატივით). სა-  
სამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლად პროკურორის მონაწილეობა სავალ-  
დებულოა, როდესაც ამას სისხლის სამართლის საპროცესო კანონი მოითხოვს.  
მაგალითად, საქართველოს სსრ სსსკ 332-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო-  
ში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა ისეთ პირთა საქმეების გამო,  
რომელთაც უნდა შეეფარდოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიე-  
ბანი.

სასამართლოში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა აგრეთვე იმ  
დროს, როდესაც ამას საჭიროდ მიიჩნევს სასამართლო ბრალდებულის სამარ-  
თალოში მიცემის დროს ან საქმის სასამართლოში განხილვისას. სასამართლოს ამ  
შემთხვევაში გამოჰქვს განჩინება (მოსამართლეს — დადგენილება), რომლის

<sup>2</sup> იხ. Г. Н. Колбая, Эффективность прокурорского надзора за соблюде-  
нием законности в суде, «Советское государство и право», 1970, № 8, стр. 121.

<sup>3</sup> იხ. М. С. Строгович, Курс советского уголовного процесса, т. II, М.,  
1970, стр. 236; В. М. Савицкий, Государственное обвинение в суде, 1971,  
стр. 127—144; П. И. Кудрявцев, Участие прокурора в судебном следствии,  
«Социалистическая законность», 1972, № 6, стр. 3—9; В. И. Басков, О про-  
цессуальном положении прокурора в суде, «Правоведение», 1975, № 1, стр.  
51—59.

შესრულება სავალდებულო პროკურორისათვის. ლიტერატურაში და პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი: აქვს თუ არა სასამართლოს უფლება თავისი განჩინებით დაავალდებულოს კონკრეტულად ესა თუ ის პროკურორი, რომ იგი პირადად და უშუალოდ გამოვიდეს სახელმწიფო ბრალდებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს.

ვინაიდან პროკურატურის ორგანოები წარმოადგენენ ცენტრალიზებულ და ერთიან ორგანოს, საკითხს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელმა პროკურორმა დაუჭიროს ბრალდებას მხარი სასამართლოში, წყვეტს უშუალოდ პროკურატურის ორგანო. ერთი პროკურორი ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს მეორე პროკურორით, ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს იკისროს ქვემდგომი პროკურორის ყველა ფუნქციის შესრულება. ამრიგად, სასამართლოს განჩინება სასამართლოში პროკურორის მონაწილეობის შესახებ სავალდებულოა პროკურატურის ორგანოსათვის. მაგრამ კონკრეტულად რომელმა პროკურორმა ძიების სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობა, ამ საკითხის გადაწყვეტა შედის არა სასამართლოს, არამედ პროკურატურის ორგანოს კომპეტენციასში.

სასამართლოში პროკურორის მონაწილეობა, სავალდებულოა აგრეთვე ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ზემდგომი პროკურორი ავალდებულებს ქვემდგომ პროკურორს, რათა მან მხარი დაუჭიროს სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში ამა თუ იმ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. ზემდგომი პროკურორის მითითება სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერის თაობაზე ყოველთვის სავალდებულოა ქვემდგომი პროკურორისათვის.

პროკურორის სასამართლოში მონაწილეობის მეოთხე სავალდებულო შემთხვევაა, როდესაც პროკურორს სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას ავალდებულებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანება (ინსტრუქცია, მითითება). ამ საკითხს ამჟამად აწესრიგებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1967 წლის 25 აგვისტოს № 78 ბრძანება, რომლის თანახმადაც პროკურორი ვალდებულია მხარი დაუჭიროს სახელმწიფო ბრალდებას: ყველა იმ საქმეზე, რომელზედაც სამართალში მიცემულის მიმართ შეიძლება გამოტანილ იქნეს განაჩენი სასჯელის უმაღლესი ზომის — დახვრეტის გამოყენების სახით: განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულის საქმეებზე; არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებზე; სასამართლოს გამსვლელ სესიებზე განსახილველ საქმეებზე. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1966 წლის 30 ივლისის № 75 ბრძანების საფუძველზე პროკურორმა მხარი უნდა დაუჭიროს აგრეთვე ბრალდებას ბოროტი ხულიგნობის საქმეების განხილვის დროს.

ლიტერატურაში სამართლიანად არის დაყენებული საკითხი, რომ სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების სავალდებულო მხარდაჭერას უნდა აწესრიგებდეს არა უწყებრივი აქტი, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონი. ეს უფრო საჯარო ხასიათს მინიჭებდა პროკურორის მონაწილეობას სასამართლოში, ამასთანავე პროცესის სხვა მონაწილეებს თავიდანვე ეცოდინებოდათ იმ საქმეთა ნუსხა, რომლებზეც პროკურორი გამოვა სახელმწიფო ბრალდებლის როლში, რაც დამატებით გარანტიას შექმნის საქმის სასამართლოში ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვისათვის.

გარდა იმ კატეგორიის საქმეებისა, რომელთა შესახებ ზემოთ იყო ლაპარაკი, სასურველია, კანონმა გაითვალისწინოს პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების სავალდებულო მხარდაჭერა შემდეგი კატეგორიის საქმეებზე: სა-

საქართველო  
საბჭოთაო

ხელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობის გატაცების, მკვლელობის, გაუპატიურების, მექრათამეობის, მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ ყველა დანაშაულზე.

ამ კატეგორიის საქმეების გარდა ვ. სავიციის მიაჩნია, რომ კანონში აისახოს ის, რომ პროკურორმა მხარი უნდა დაუჭიროს ბრალდებას ყველა საქმეზე, რომელზეც გამოძიების დროს ბრალდებულს შეფარდებული ჰქონდა აღკვეთის ღონისძიების სახით — წინასწარი პატიმრობა.<sup>4</sup> ამ უკანასკნელი შემთხვევის ასახვა კანონში სავალდებულო არ არის. წინასწარი პატიმრობა ზოგჯერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არამძიმე დანაშაულთა საქმეებზე იმ მოტივით, რომ ბრალდებული შეიძლება დაემალოს გამოძიებას. ხელი შეუშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და განაგრძოს დანაშაულის ჩადენა. ასეთ შემთხვევაში პროკურორის მონაწილეობა სასამართლოში სავალდებულო კი არ უნდა იყოს, არამედ თვით პროკურორის ინიციატივით გადაწყდეს.

ზემოაღნიშნული ოთხი შემთხვევის გარდა პროკურორის მონაწილეობა სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებლის სახით სავალდებულო არ არის, მაგრამ პროკურორს თავისი ინიციატივით შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში სახელმწიფო ბრალდებლის როლში ყველა საქმეზე. აქ იგი არაფრით არ არის შეზღუდული და საკითხის გადაწყვეტა მისი უფლებამოსილებაა. ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1967 წლის 25 აგვისტოს № 78 ბოიანებით, რომლის მე-4 პუნქტში ნათქვამია, რომ დანარჩენ საქმეებზე პროკურორმა მხარი უნდა დაუჭიროს ბრალდებას სისხლის სამართლის საქმის საზოგადოებრივი მნიშვნელობის, სირთულის, საქმის მოცულობის, დანაშაულის საშიშროების ხასიათის, აგრეთვე ქალაქში ან რაიონში გავალისწინებული დანაშაულის მხედველობაში მიღებით.

პროკურორს შეუძლია სახელმწიფო ბრალდების მხარის დაჭერის სურვილი გამოთქვას პირის სამართალში მიცემის, საბრალდებო დასკვნის დამტკიცების დროს, წერილობით აცნობოს სასამართლოს ეს, ან უშუალოდ გამოცხადდეს სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებისას. როდესაც პროკურორი გამოთქვამს სურვილს მხარი დაუჭიროს სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში, სასამართლოს უფლება არა აქვს დაიწყოს საქმის განხილვა უპროკუროროდ. თუ პროკურორი არ გამოცხადდა, სასამართლო ვალდებულია გაარკვიოს ამის მიზეზი და მიიღოს ზომები მის გამოსაცხადებლად. თუ ამის შემდეგაც პროკურორი არ გამოცხადდება, სასამართლოს შეუძლია შეუდგეს საქმის განხილვას.

სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს სახელმწიფო ბრალდებლის როლში გამოდის პროკურორი. მისი მოადგილე ან თანაშემწე პროკურორის მოადგილეც და თანაშემწეც პროცესში სარგებლობენ პროკურორის ყველა უფლებით. მათ აქვთ უფლება პირადად გააპროტესტონ სასამართლოს განაჩენი, განხილება ან დადგენილება.

კანონი სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ (მუხლი 33-ე) ითვალისწინებს მხოლოდ ერთ შეზღუდვას პროკურორის თანაშემწის, სამმართველოებისა და განყოფილებათა პროკურორების მიმართ. საკასაციო და კერძო პროტესტის შეტანის უფლება მათ აქვთ მხოლოდ იმ საქმეზე, რომლის განხილვაშიც მონაწილეობდნენ.

<sup>4</sup> В. М. Савицкий. Очерк теории прокурорского надзора. М., 1975. стр. 278.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება: შეიძლება თუ არა სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლად სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს გამოვიდეს გამოძიებელი, უფროსი გამოძიებელი ან განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელი. საკითხი დადებითად წყდება ერთ შემთხვევაში, კერძოდ: გამოძიებელს უფლება აქვს მხარი დაუჭიროს სახელმწიფო ბრალმდებას სასამართლოში, თუ იგი ბრალებით ასრულებს პროკურორის, მისი მოადგილის ან თანაშემწის მოვალეობას. ასეთ ვითარებაში გამოძიებელი მთელი მოცულობით ახორციელებს პროკურორის უფლებამოსილებას, კერძოდ, სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქციას. ეს საკითხი დავას არ იწვევს. თეორიაში და პრაქტიკაში ზოგჯერ ის არის სადავო, შეუძლია თუ არა გამოძიებელს, თუ იგი ასრულებს პროკურორის, მისი მოადგილის ან თანაშემწის მოვალეობას, გამოვიდეს სახელმწიფო ბრალმდებლად იმ კონკრეტულ საქმეზე, რომელიც მან უშუალოდ გამოიძია.

ვ. სავიციის აზრით, თუ გამოძიებელი დანიშნული იყო პროკურორად, მას არ შეუძლია სახელმწიფო ბრალმდებას მხარი დაუჭიროს მის მიერ გამოძიებულ საქმეზე, რადგან კანონით არ შეიძლება ერთი პიროვნება ათავსებდეს გამოძიებლისა და სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქციას. ეს არის აწოლი დებულება და ჩვენ მას ვეთანხმებით. სადავოა ვ. სავიციის მეორე მოსაზრება. კერძოდ ის, რომ თუ გამოძიებელი საქმის გამოძიების დროს ასრულებდა პროკურორის (მისი მოადგილის, თანაშემწის) მოვალეობას, მას უფლება აქვს გამოვიდეს სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლად.

ამ ორ მოსაზრებას შორის არის წინააღმდეგობა მიგვაჩნია. რომ არც ერთ შემთხვევაში ერთ პიროვნებაში არ შეიძლება შეითავსოს გამოძიებლისა და სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქცია. საერთოდ, როდესაც ერთი და იგივე პირი ჯერ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, ხოლო შემდეგ სასამართლოში ბრალმდებას უჭერს მხარს თავისისავე გამოძიებულ საქმეზე, ჯერ ერთი, ეს უაღყოფთის გავლენას ახდენს სასამართლოში დამსწრე საზოგადოებაზე და პროცესის მონაწილეებზე, მეორეც, სახელმწიფო ბრალმდებლის ობიექტურობა მის მიერ გამოძიებულ საქმეზე საეჭვო ხდება. იგი, როგორც წესი, ეცდება დაიცვას თავისი გამოძიებული საქმე, რომლის ხარისხისათვის იგი პერსონალურად პასუხისმგებელია.

სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლის დანიშვნის დროს, როგორც წესი, იცავენ ინსტანციურობას. ეს იმას ნიშნავს, რომ რაიონის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლად გამოდის რაიონის პროკურორი, ოლქის სასამართლოში — ოლქის პროკურორი და ა. შ. მაგრამ, ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს სახელმწიფო ბრალმდებლად დანიშნოს უფრო მეტი რანგის პროკურორი, თუ ამას მოითხოვს საქმის ინტერესები. საზოგადოებრივი რეზონანსი ან სახელმწიფო ბრალმდების მხარდაჭერის ობიექტურობა. ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია მოიქცეს პირიქითადაც, ე. ი. სახელმწიფო ბრალმდებლად დანიშნოს ქვემდგომი პროკურორი. მაგალითად, ოლქის პროკურორს შეუძლია, როდესაც ოლქის სასამართლო რომელიმე რაიონში (ქალაქში) გამსვლელ სესიაზე იხილავს სისხლის სამართლის საქმეს, სახელმწიფო ბრალმდებლად დანიშნოს ამ რაიონის (ქალაქის) პროკურორი. საკითხის ასეთი გადაწყვეტა გამო-

მდინარეობს პროკურატურის ორგანოების ცენტრალიზაციისა და ერთიანობის პრინციპიდან, რომლის თანახმადაც ზემდგომ პროკურორს უფლება აქვს ზოგიერთი თავისი ფუნქციის განხორციელება დაავალოს ქვემდგომ პროკურორს და ქვემდგომი პროკურორის ფუნქციის შესრულება თვითონ იკისროს.

ორივე შემთხვევაში პროკურორი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას, არავითარი ფორმალური მოტივით არ არის შეზღუდული და იგი სასამართლოში ახორციელებს სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქციებს მთელი მოცულობით. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ვ. ბასკოვის მოსაზრებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ოლქის (მხარის) სასამართლოში ზემდგომ პროკურორს არ უნდა ჰქონდეს უფლება სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა დაავალოს ქალაქის (რაიონის) პროკურორს.<sup>6</sup>

3. სამსჯავრო გამოძიების დროს სასამართლოში წამოიჭრება ბევრი საკითხი. ყველას აქ ვერ განვიხილავთ. შევჩერდებით მხოლოდ რამოდენიმეზე, რომლებიც დავას იწვევს თეორიასა და პრაქტიკაში.

დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევის წესის მართებულად განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს სამსჯავრო გამოძიების სწორი წარმართვისათვის. მას კანონი არ აწესრიგებს, იგი ტაქტიკურ საკითხად ითვლება და წყდება ყოველი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს. ამ საკითხის გადასაწყვეტად სასამართლო პირველად ისმენს სახელმწიფო ბრალმდებლის მოსაზრებას (იხ. საქართველოს სსრ სსსკ 281-ე მუხლი). ამიტომ სახელმწიფო ბრალმდებლის მოფიქრებულ და დასაბუთებულ მოსაზრებას გარკვეული როლი ენიჭება.

პრაქტიკაში ეს საკითხი ხშირად ტრადიციულად წყდება, საქმის კონკრეტული ვითარების გაუთვალისწინებლად, რაც იმით გამოიხატება, რომ დაკითხვები იწყება იმ თანამიმდევრობით, როგორც ეს საბრალდებო დასკვნაშია მოცემული, კერძოდ, სამართალში მიცემულის დაკითხვით. ლიტერატურაშიც გამოთქმულია ისეთი მოსაზრება, რომ სამსჯავრო გამოძიება ყოველთვის უმჯობესია დაიწყოს სამართალში მიცემულის დაკითხვით იმისდამიუხედავად, თუ როგორ დამოკიდებულებაშია იგი ბრალდების საგანთან.<sup>7</sup>

ჩვენი აზრით, ეს არ არის სწორი. პროკურორი ამ საკითხზე თავისი მოსაზრების გამოთქმის დროს უნდა ხელმძღვანელობდეს საქმის კონკრეტული მასალებით და სამართალში მიცემულია პოზიციით. მაგალითად, თუ სამართალში მიცემული უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე, პროკურორმა უნდა დააყენოს საკითხი, რათა პირველად დაკითხონ დაზარალებული, ის მოწმეები, რომლებიც ამხელენ სამართალში მიცემულს დანაშაულის ჩადენაში. ასევე უნდა მოიქცეს პროკურორი, როდესაც ცნობილია, რომ სამართალში მიცემულმა გამოძიების დროს მისცა ცრუ ჩვენება, ან როდესაც იგი თავს არ ცნობს დანაშაუდ წაყენებულ ბრალდებაში. ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს სამართალში მიცემულზე და ზემდგომ მისცეს სწორი ჩვენება.

ამგვარად დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევის წესის განსაზღვრის დროს სახელმწიფო ბრალმდებელმა თავისი მოსაზრება უნდა გამოთქვას საქმის

<sup>6</sup> იხ. В. И. Басков. Прокурор в суде первой инстанции. М., 1968. стр. 11.

<sup>7</sup> იხ. ბ. ზ. ფურცხვანიძე. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი. თბილისი, 1963. გვ. 375; П. И. Кудрявцев. Участие прокурора в судебном следствии, «Социалистическая законность». 1972, № 6. стр. 12.

კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით და ყოველთვის დაასაბუთოს, თუ რატომ სთავაზობს იგი სასამართლოს დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევის გარკვეულ წესს.

სამსჯავრო გამოძიების ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს დაკითხვები, რომელთა წარმოების თანამიმდევრობას კანონი აწესებს. მოკავშირე რესპუბლიკების საპროცესო კანონმდებლობა, ძირითადად, ადგენს დაკითხვათა თანამიმდევრობის ორ წესს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის უმრავლესობის მიხედვით ჩვენების მიცემის შემდეგ პირს დაჰკითხავენ ჯერ სასამართლო, შემდეგ სახელმწიფო ბრალმდებელი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩლე, სამოქალაქო მოპასუხე ან მათი წარმომადგენლები, დამცველი, საზოგადოებრივი დამცველი და სამართალში მიცემული სხვა პირები (რსფსრ-ს სსსკ 280-ე, 283-ე მუხლები). საქართველოს სსრ სსსკ 282-ე და 285-ე მუხლებით ჩვენების მიცემის შემდეგ პირის დაკითხვას პირველად იწყებს პროკურორი და შემდგომ პროცესის სხვა მონაწილენი იმ თანამიმდევრობით, როგორც ზემოთ არის მითითებული. მოსამართლეს უფლება აქვს დაჰკითხოს პირი სამსჯავრო გამოძიების ყოველ მომენტში.

ჩვენი მოსაზრებით, უმჯობესია, თუ დაკითხვას დაიწყებს სახელმწიფო ბრალმდებელი. პროკურორი ბრალს სდებს სამართალში მიცემულს, ამიტომ მან უნდა დაარწმუნოს სასამართლო, თუ რა გარემოებანი და ფაქტები მოწმობს სამართალში მიცემულის ბრალეულობას. ამის გასარკვევად კი დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურორის მიერ შემუშავებულ დაკითხვის ტაქტიკას, გარემოებათა ზუსტ და ობიექტურ გარკვევას. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ზოგიერთი ავტორი.<sup>8</sup>

სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს ცალკეულ წამოჭრილ საკითხებზე თავის მოსაზრებას გამოხატავს სხვადასხვა ფორმით. თეორიამ და პრაქტიკამ, აგრეთვე საპროცესო კანონმდებლობამ განსაზღვრა ფორმები, რომლითაც პროკურორი რეაგირებს სასამართლოში წამოჭრილ საკითხებზე. კერძოდ, ამ ფორმებს განეკუთვნება პროკურორის განცხადება, შუამდგომლობა, დასკვნა და მოსაზრება.

სახელმწიფო ბრალმდებელმა განცხადებით უნდა მიმართოს სასამართლოს ყოველთვის, როდესაც ხდება კანონის დარღვევის ფაქტი, პროცესის მონაწილეთა უფლებათა შეზღუდვა. პროკურორმა ამ დროს კონკრეტულად უნდა აღნიშნოს, თუ რით გამოიხატება კანონის დარღვევა ან პროცესის მონაწილეთა უფლების შეზღუდვა და კატეგორიულად მოითხოვოს დარღვეული კანონის აღდგენა, აგრეთვე ის, რომ მისი განცხადება აისახოს სამსჯავრო სხდომის ოქმში. ამ უკანასკნელს ის მნიშვნელობა აქვს, რომ, თუ სასამართლომ არ გაიზიარა პროკურორის განცხადება, შემდგომში პროკურორს საფუძველი ჰქონდეს საკასაციო წესით გააპროტესტოს სასამართლოს უკანონო მოქმედება.

სახელმწიფო ბრალმდებელმა შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასამართლოს ყოველთვის, როდესაც იგი აყენებს საკითხს საქმის გარემოებათა გამოკვლევის, სასამართლო მოქმედებათა ჩატარების აუცილებლობის შესახებ. მაგალითად, პროკურორი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს ექსპერტი-

<sup>8</sup> იხ. მაგალითად: «Прокурорский надзор в суде первой инстанции по уголовным делам», под ред. П. И. Кудрявцева, М., 1978, стр. 54; В. М. Савицкий. Очерк теории прокурорского надзора. М., 1975. стр. 325.

ზის დანიშვნის, ექსპერტიზის დაკითხვის, დოკუმენტების გამოთხოვის, გამოქვეყნების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების და სხვა საკითხებზე. სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა ყოველთვის უნდა იყოს კონკრეტული და დასაბუთებული.

სახელმწიფო ბრალმდებელი იძლევა დასკვნას სასამართლო განხილვის დროს წამოჭრილი საკითხების გამო და პროცესის სხვა მონაწილეთა შუამდგომლობის შესახებ, მაგალითად, საქმის განხილვის შესაძლებლობაზე, როდესაც სასამართლოში არ გამოცხადდა გამოძახებული პირი (სამართალში მიცემული, დამცველი, სამოქალაქო მოსარჩლე და ა. შ.). სახელმწიფო ბრალმდებლის დასკვნა უნდა იყოს მოკლე, ნათელი, და დასაბუთებული. პროკურორის მოსაზრება სასჯელის სახეობის, ზომის გამოყენების შესახებ, არც ერთ შემთხვევაში არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის, მაგრამ იგი მაინც ყოველთვის დასაბუთებული უნდა იყოს და ეყრდნობოდეს საქმის მასალებს.<sup>9</sup>

4. სასამართლო კამათის ცენტრალური ნაწილია პროკურორის მიერ საბრალდებო სიტყვის წარმოთქმა ან სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაზე უარის თქმა.

სასამართლოში პროკურორი მხარს უჭერს ბრალდებას მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმის მასალების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების საფუძველზე დასტურდება პირისათვის წაყენებული ბრალი, საქმეზე გამოძიება ჩატარებულია სრულად და ობიექტურად.

პროკურორი სასამართლო კამათის დროს საბრალდებო სიტყვას პირველი წარმოთქვამს. პროკურორის საბრალდებო სიტყვა უნდა იყოს კონკრეტული, ნათელი, დასაბუთებული და დამაჯერებელი. იგი არ უნდა იყოს ფანტაზიის ნაყოფი, უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ იმ მასალებს, რომლებიც შემოწმებული და შეფასებული იყო სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პროკურორმა თავის საბრალდებო სიტყვაში არ უნდა გამოთქვას მოსაზრება სასჯელის ზომის შესახებ, რომ მას შეუძლია გამოთქვას თავისი მოსაზრება მხოლოდ სასჯელის სახეობის თაობაზე. საკითხის ასეთ გადაწყვეტას ზოგიერთი ავტორი შემდეგი მოსაზრებით ასაბუთებს: 1) კანონი არ ავალდებულებს სახელმწიფო ბრალმდებელს გამოთქვას თავისი მოსაზრება სასჯელის ზომის შესახებ; 2) სასჯელის ზომის განსაზღვრა მთლიანად შედის სასამართლოს კომპეტენციაში და იგი ამ საკითხს წყვეტს დამოუკიდებლად; 3) სახელმწიფო ბრალმდებლის მოსაზრება სასჯელის ზომის შესახებ კი არ აადვილებს სასამართლოს ამოცანას, არამედ უარყოფით გავლენას ახდენს მოქალაქეთა სამართლებრივ შეგნებაზე. თუ პროკურორის მოსაზრება სასჯელის ზომის შესახებ დაემთხვა სასამართლოს მიერ განაჩენში განსაზღვრულ სასჯელის-ზომას, ეს ბადებს ეჭვს, რომ სასამართლო მოქმედებს სახელმწიფო ბრალმდებლის მითითებით, რომ პროკურორი ბრძანებლობს სასამართლოს მიმართ.<sup>10</sup>

<sup>9</sup> იხ. ა. ი. ფალიაშვილი, საპროკურორო ზედამხედველობა სსრ კავშირში, თბ., 1971, გვ. 190-191.

<sup>10</sup> იხ. მაგალითად: Л. Черкезия. Судья о речи государственного обвинителя. «Социалистическая законность», 1970, № 3; стр. 53; А. Либман. Речь государственного обвинителя. «Социалистическая законность», 1970, № 8, стр. 68; В. Савицкий. Очерк теории прокурорского надзора. М., 1975, стр. 346—347.

საკითხის ამგვარი დაყენება სწორი არ არის. ჯერ ერთი, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლები ავალდებულებს პროკურორს, რომ მან თავისი საბრალდებო სიტყვაში გამოთქვას მოსაზრება არა მარტო სასჯელის სახეობის, არამედ სასჯელის ზომის შესახებ. მაგალითად, კანონში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ „პროკურორი... წარუდგენს სასამართლოს თავის მოსაზრებას სამართალში მიცემულის ბრალეულობის და მის მიმართ სისხლის სამართლის კანონისა და სასჯელის ზომის გამოყენების შესახებ“ (იხ. საქართველოს სსრ სსსკ 248-ე მუხლი).

შეიძლება, რომ პროკურორის მოსაზრება სასჯელის ზომის შესახებ დამთხვევს სასამართლოს მიერ განაჩენაში განსაზღვრულ სასჯელს. ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურორმა და სასამართლომ ერთგვაროვნად შეაფასეს საქმის მასალები, სამართალში მიცემულის პიროვნება, გამამართლებელი და გამამტყუნებელი დამამტყიცებელი საბუთები და სხვა გარემოებანი, რაც გავლენას ახდენს სასჯელის ზომაზე. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს სასამართლო მოქმედებდეს პროკურორის მითითებით, თითქოს სახელმწიფო ბრალმდებელი ბრძანებლობდეს სასამართლოს მიმართ.

ჩვენ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს პროკურორი უფლებამოსილი და ვალდებულია თავის საბრალდებო სიტყვაში გამოთქვას მოსაზრება სასჯელის ზომის შესახებ. ამ დასკვნას საფუძვლად უდევს ის, რომ პროკურორი საბრალდებო სიტყვაში ანალიზებს საქმის ყველა მასალას, შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, გამამართლებელ და გამამტყუნებელ დამამტყიცებელ საბუთებს, სამართალში მიცემულის პიროვნებას, ყველა იმ გარემოებასა და ფაქტს, რომლებიც გავლენას ახდენს სასჯელის ზომაზე. ყოველივე ამის შეჯამების ლოგიკური დაბოლოებაა პროკურორის მოსაზრება სასჯელის ზომის შესახებ.<sup>11</sup>

პროკურორი, მხარს უჭერს რა ბრალდებას, ხელმძღვანელობს კანონის მოთხოვნით და შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება საქმის ყველა გარემოებათა განხილვას. თუ პროკურორი, მივა რა დასკვნამდე, რომ სამსჯავრო გამოძიების მონაცემები არ ადასტურებს სამართალში მიცემულისადმი წაყენებულ ბრალდებას, ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე და წარუდგინოს სასამართლოს უარის თქმის მოტივები. (იხ. კანონი სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ, მუხლი 32-ე, აგრეთვე საქართველოს სსრ სსსკ 248-ე მუხლი).

პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა არ იწვევს დავას თეორიაში. სადავო მხოლოდ ის არის, თუ რა შედეგები უნდა მოჰყვეს ამას. ვ. სავიციის აზრით, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმამ უნდა გამოიწვიოს სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა ან განჩინების გამოტანა

<sup>11</sup> აღნიშნულ საკითხზე ლიტერატურაში ავტორთა უმრავლესობას გამოთქმული აქვს სწორი მოსაზრება იხ. მაგალითად: ა. ი. ფალიაშვილი, საპროკურორო ზედამხედველობა სსრ კავშირში, თბილისი, 1970 წ., გვ. 196; Поддержание государственного обвинения в суде. Под редакцией М. Малярова. М., 1970, стр. 17. Прокурорский надзор в суде первой инстанции по уголовным делам, по редакции П. Кудрявцева. М., 1978, стр. 124.

სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ; ასეთ ვითარებაში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა სასამართლოს აყენებს ბრალმდებლისა და საბრალდებო ფუნქციის განმხორციელებლის როლში.<sup>12</sup> ეს მოსაზრება არა მართო ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას, არამედ არსებითად მცდარია.

პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმდებელი და სასამართლოში საქმის განხილვის ერთ-ერთი მონაწილე. ყველა საკითხს სასამართლოში იხილავს და არსებითად წყვეტს მხოლოდ სასამართლო. პროცესის არც ერთი მონაწილის და, მათ შორის, სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა სასამართლოსათვის არ არის სავალდებულო. სასამართლო მოვალეა გადაწყვიტოს საქმე მხოლოდ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე (და არა პროკურორის მოთხოვნის შესაბამისად). სასამართლო და სახალხო მსაჯულები ემორჩილებიან მხოლოდ კანონს და არავითარი ფორმალური მოტივებით არ არიან შეზღუდული.

შესაძლებელია, პროკურორის უარის თქმამ ბრალდებაზე მართლაც გამოიწვიოს გამამართლებელი განაჩენის გამოტანა ან სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა, მაგრამ ამას სასამართლო აკეთებს არა სახელმწიფო ბრალმდებლის მოსაზრების გამო, არამედ თავისი შინაგანი რწმენით, სასამართლო ამის შემდეგაც განაგრძობს საქმის განხილვას ჩვეულებრივი წესით და საქმეს წყვეტს არსებითად მხოლოდ თავისი შეხედულებისამებრ, რაც უნდა ემყარებოდეს საქმის მასალების კრიტიკულ შეფასებას მათს ერთობლიობაში.

დაუსაბუთებელია ვ. სავიციის მეორე მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, თუ პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ახორციელებს ბრალდების ფუნქციას.

კანონით ბრალდების ფუნქციას სასამართლოში ყველა შემთხვევაში ახორციელებენ სახელმწიფო ბრალმდებელი და დაზარალებული კერძო ბრალდების საქმეებზე. სასამართლოს აკისრია საქმის განხილვისა და არსებითად მისი გადაწყვეტის პროცესუალური ფუნქცია. ამ ფუნქციის განხორციელების შედეგად სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი განაჩენი, ე. ი. დაადგინოს საქმეზე ჭეშმარიტება. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, თუ სასამართლო გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს, ეს ნიშნავს, რომ ორგანომ, რომელიც მოწოდებულია არსებითად გადაწყვიტოს საქმე, სხვაგვარი შეფასება მისცა სისხლის სამართლის საქმის მასალებს, არ დაეთანხმა პროკურორის მოსაზრებას და მოიქცა ისე, როგორც მას მიაჩნია კანონიერად და დასაბუთებულად. სასამართლოს ამის უფლება აქვს და ვალდებულიც არის ასე მოიქცეს. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა სასამართლოს ვერ გარდაქმნის ბრალდების ფუნქციის განმხორციელებელს.

<sup>12</sup> იხ. В. Савицкий. Отказ прокурора от обвинения, «Советское государство и право», 1971, № 5, стр. 103—108; В. Савицкий. Процессуальные последствия отказа прокурора от обвинения, «Правоведение», 1972, № 1, стр. 70—79; В. Савицкий. Очерк теории прокурорского надзора. М., 1975, стр. 367.

ბელ ორგანოდ. იგი ყოველთვის არის საქმის განმხილავი და გადაწყვეტი ფუნქციის განმხორციელებელი ორგანო.<sup>13</sup>

სახელმწიფო ბრალდებაზე უარის თქმა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს გამონაკლისი შემთხვევაა, მაგრამ იგი აბსოლუტურად აუცილებელია, როდესაც ბრალდება არ დასტურდება სასამართლოში, არ არის მოპოვებული საქმარისი მტკიცებულებანი, ვერ დგინდება პირის ბრალეულობა ან დგინდება პირის ისეთი ბრალი, რომელიც არსებითად განსხვავდება წაყენებული ბრალდებისაგან, ანდა როდესაც არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძველი სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისათვის.

პროკურორი ამ ვითარებაში ვალდებულია უარი თქვას ბრალდების მხარდაჭერაზე და წამოაყენოს თავისი დასაბუთებული მოსაზრება საქმის ბედის შესახებ. ყოველად დაუშვებელია და უკანონოც პრაქტიკაში ჯერ კიდევ არსებული ფაქტები, როდესაც პროკურორი ჭიუტობს სასამართლოში, დაუსაბუთებლად იცავს გამოძიების მასალებს, საბრალდებო დასკვნას იმ ფორმალური მოტივით, რომ მას შეიძლება პასუხი მოეთხოვოს გამოძიების უხარისხო ჩატარებისათვის, საკითხისადმი ასეთი უწყებრივი მიდგომა ხელს უშლის კუმშარტების დადგენას, ვნებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, პიროვნების უფლებებსა და ინტერესებს.

---

აქტი  
 აქტი  
 ნ.ბ.  
 ბ

306  
 299

<sup>13</sup> ვ. სავიციის მოსაზრება სამართლიანად არის გაკრიტიკებული სპეციალურ ლიტერატურაში. იხ. მაგალითად: В. Афанасьев, рецензия на книгу В. Савицкого «Очерк теории прокурорского надзора», «Социалистическая законность», 1976, № 5, стр. 93; А. Зазулинский. Отказ прокурора от обвинения и его правовые последствия. «Советское государство и право», 1978, № 7, стр. 137—140.

## სისხლისაგარეშე პასუხისმგებლობა კულტურის ძეგლების და ბუნების ხელყოფისათვის

მ. უგრახელიძე

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლის მიხედვით:

კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების შეზღუდვა ან თვითნებური გამოყენება —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ან მანეთამდე, ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განადგურება, დანგრევა ან დაზიანება, თუ იგი ჩადენილია ფეთქებადი ნივთიერების ან მომეტებული საფრთხის წყაროს გაუფრთხილებელი გამოყენებით, აგრეთვე ამ ძეგლებისა და ობიექტების გაუფრთხილებლობით განადგურება, დანგრევა, ან დაზიანება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ორას მანეთამდე.

კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განზრახ განადგურება, დანგრევა ან დაზიანება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით სამას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლებისა თუ ობიექტების მიმართ, აგრეთვე ჩადენილი ფეთქებადი ნივთიერების ან მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე<sup>1</sup>.

254-ე მუხლის განმარტებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ წესებით, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის 1977 წლის კანონით „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“<sup>2</sup> და საქართველოს სსრ 1978 წლის კანონით „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“<sup>3</sup>. გასათვალისწინებელია აგრეთვე საერთაშორისო შეთანხმებანი და ხელშეკრულებანი, რომელთა მონაწილე არის სსრ კავშირი (მაგ., ჰააგის 1954 წლის კონვენცია „შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ“<sup>4</sup>).

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1972 წ., № 9, მუხ. 188.

<sup>2</sup> შემდგომ შემოკლებით მოიხსენიება როგორც „საკავშირო კანონი“.

<sup>3</sup> შემდგომ შემოკლებით მოიხსენიება როგორც „საქართველოს კანონი“.

<sup>4</sup> შემდგომ შემოკლებით მოიხსენიება როგორც „ჰააგის კონვენცია“.

მართალია, 254-ე მუხლი გამოცალკევებით არ იხსენიებს ისტორიის ძეგლთა ხელყოფას (ეს ნაკლი უთუოდ გამოსასწორებელია საკანონმდებლო წესით), მაგრამ ვინაიდან კანონმდებელი „კულტურის ძეგლების“ ცნებაში ისტორიის ძეგლებსაც აშკარად გულისხმობდა, ამიტომ კულტურის ძეგლების ცნებას უნდა მიეცეს გავრცობითი განმარტება და მასში ისტორიული ძეგლებიც უნდა ვიგულისხმოთ. საკითხის ასეთი გადაწყვეტა სრულად შეესაბამება „კულტურულ ფასეულობათა“ და „კულტურული მემკვიდრეობის“ გავრცობით გაგებას, რომელიც ჩამოყალიბებულია პააგის ზემოთ ხსენებულ კონვენციაში (მუხ. 1), პარიზის 1972 წლის 16 ნოემბრის კონვენციაში „მსოფლიოს კულტურული და ბუნებისმომკვრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ (მუხ. 1) და პარიზის 1970 წლის 14 ნოემბრის კონვენციაში „იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც კრძალავენ და ხელს უშლიან კულტურულ ფასეულობათა უკანონო შემოტანას, გატანასა და მათი საკუთრების უფლების გადაცემას“ (ლიტერა ხ), მუხლი 1).

„ბუნების ობიექტების“ ცნება გულისხმობს ფიზიკურ, ბოტანიკურ, ბიოლოგიურ, გეოლოგიურ, ფიზიოგრაფიულ წარმონაქმნებს და ბუნებრივ ღირსშესანიშნავ ადგილებსა თუ ზონებს, რომლებსაც მეცნიერული ან ესთეტიკური ღირებულება აქვთ. ასეთი ობიექტები შეიძლება იყოს კარსტული გამოქვაბულები, მღვიმეები, ჩანჩქერები, ნაკრძალები, ბუნებრივი პარკები, მცენარეთა იშვიათი ნაირსახეობანი და სხვ.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ ისეთი „ბუნების ობიექტების“ ხელყოფისათვის, რომლებსაც სახელმწიფო იცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ობიექტები სათანადო წესით აქვთ აღრიცხული მთავრობის შესაბამის ორგანოებს, რომლებიც განსაზღვრავენ მათს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ რეჟიმს და ახორციელებენ კონტროლს მათდამი.

254-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს კულტურის ძეგლების ან სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების **შეზღვევით** ან მათი **თვითნებური გამოყენებით**.

„**შეზღვევა**“ ნიშნავს ძეგლის გაბინძურებას, წარყვანას, მასზე უწყალოდ ან უხამსი სიტყვების, გამოთქმებისა თუ გამოსახულებების ამოკვეთას ან წარწერას.

254-ე მუხლის მიხედვით, „შეზღვევის“ ცნება გაცილებით უფრო ვიწროა, ვიდრე იგი 237-ე მუხლშია ნახმარი. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, აქ არ იგულისხმება „საფლავის ძეგლის ან მისი სხვაგვარი მიწისზედა მორთულობის დანგრევა“, არც „საფლავში ჩატანებული ან საფლავზე არსებული საგნების გატაცება“. საფლავის შეზღვევამ მაშინ შეიძლება მოგვცეს 254-ე მუხლის პირველ ნაწილში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობაც, თუ დადგინდება, რომ შეზღვეული საფლავი კულტურის ან რომელიმე ისტორიული ძეგლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს ან, მართალია, ორგანულად მათ არ განეკუთვნება, მაგრამ მასში რომელიმე გამოჩენილი ისტორიული პიროვნების ნეშტი ასვენია (რეგოლუციონერის, მეფის, მხედართმთავრის და სხვ.). ასეთ შემთხვევაში გვექნება დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა, რომლის დროს ქმედობა დაკვალიფიცირდება 237-ე და 254-ე მუხლებით.

„**თვითნებური გამოყენება**“ ნიშნავს ძეგლის გამოყენებას სამეურნეო ან სხვა მიზნით, თუ საამისოდ არ არსებობდა მთავრობის საგანგებო ნებართვა.



ასეთი ნებართვა შეიძლება გაიცეს სსრ კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში და ნაკარნახევი უნდა იყოს ძეგლის უკეთ შენახვის მოსაზრებებით. ძეგლთა გამოყენება პირუტყვის სადგომად (მაგ., საქათმედ, ბოსლად, თავლად და სხვ.), საწყობად, წისქვილად და სხვ., რაოდენ სერიოზული სამეურნეო მოსაზრებით არ უნდა იყოს იგი მოტივირებული, ყოვლად დაუშვებელია, რადგან ასეთი რამ ძირეულად ეწინააღმდეგება ისტორიისა და კულტურის ძეგლების **პატივისცემის ფუნქციონირებულ პრინციპს** (მუხ. მუხ. 2 და 4 ჰააგის კონვენციისა).

სუბიექტური მხრივ ძეგლებისა და ობიექტების შებილწვა ან მათი თვითნებური გამოყენება პირდაპირი განზრახვით გამოიხატება. მარტო იმის შეგნება და სურვილი კი არ არის აუცილებელი, რომ ესა თუ ის შენობა ან მღვიმე იქნეს შებილწული ან შეუფერებელი მიზნით გამოყენებული, არამედ საჭიროა აგრეთვე იმის შეგნება, რომ ხელყოფის საგანი ნამდვილად კულტურის ძეგლი ან სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტია.

საკომენტარო მუხლის მეორე ნაწილით დადგენილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კულტურის ძეგლების ან სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების გაუფრთხილებელი განადგურების, დანგრევის ან დაზიანების გამო.

**„განადგურება“** ნიშნავს ძეგლის მოსპობას, იავარყოფას ან მის ისეთ სახეცვლილებას, როდესაც იგი სრულიად უფარგისი ხდება და სამუდამოდ ჰკარგავს თავის ისტორიულ, მეცნიერულ თუ ესთეტიკურ ღირებულებას.

**„დანგრევა“** გულისხმობს ძეგლის მთლიან ან ნაწილობრივ დაშლას, რომლის შემდეგ მისი აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვანი სარესტავრაციო სამუშაოების მეშვეობით.

**„დაზიანება“** წარმოადგენს ძეგლის ამა თუ იმ ნაწილის ისეთ დამახინჯებას, რომელიც აკნინებს მის ისტორიულ, მეცნიერულ თუ მხატვრულ ღირებულებას (მაგ., კედლის დალაქავება, ან დაჯღაბნა, მცირედი ნაწილის ჩამოტეხვა და სხვ.), მაგრამ არ მოითხოვს კონსტრუქციული ხასიათის აღდგენით სამუშაოებს.

**„ფეთქებადი ნივთიერების“** ცნება მოიცავს ყველა იმ ნივთიერებას, რომლებსაც აფეთქების უნარი აქვთ. მათ მიეკუთვნება სხვადასხვა ქიმიური და რადიოაქტიური შენაერთები: დნთი, პიროქსილინი, ნიტროგლიცერინი და სხვ., დიოაქტიური შენაერთები: დნერთი, პიროქსილინი, ნიტროგლიცერინი და სხვ. რომლებიც აფეთქების შედეგად დამანაგრეველ ზემოქმედებას ახდენენ გარესამყაროს ობიექტებზე.

**„მომეტებული საფრთხის წყაროს“** ცნება უნდა განიმარტოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის კომენტარის შესაბამისად. ძეგლებთან დაკავშირებით მომეტებული საფრთხის წყაროს გაუფრთხილებელი გამოყენება უწინარეს ყოვლისა გულისხმობს ამწეების, ტრაქტორების, ბულდოზერების, სატვირთო მანქანების და სხვა მძლავრი ტექნიკური საშუალებების წინდაუხედევად ექსპლოატაციას.

**2. ფეთქებადი ნივთიერების და მომეტებული საფრთხის წყაროს ცნებათა განმარტებას ადარ შევუდგებით, ვინაიდან მათი შინაარსი ზემოთ გვაქვს. გადმოცემული.**

254-ე მუხლის მეორე ნაწილით ძეგლთა დანგრევა-დაზიანებისათვის პასუხისმგებლობა დადგენილია როგორც იმ შემთხვევაში, როცა ეს მოხდა ფეთ-

ქებადი ნივთიერების ან მომეტებული საფრთხის წყაროს გაუფრთხილებელი გამოყენებით, ისე უამისოდ, ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობის შედეგად. ამასთან დაკავშირებით შესაძლოა არცთუ უსაფუძვლოდ წარმოიშვას კითხვა: თუ კანონით ყოველგვარი გაუფრთხილებლობა დასჯადია, მაშინ რა განსაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს „ფეთქებადი ნივთიერების ან მომეტებული საფრთხის წყაროს გაუფრთხილებელ გამოყენებას?“

ფეთქებადი ნივთიერების ან მომეტებული საფრთხის წყაროს გაუფრთხილებელ გამოყენებას შეუძლია მნიშვნელოვანი და გამოუსწორებელი ზიანი მიიყენოს ძეგლებს (მაგ., კარიერების აფეთქებისას, სამშენებლო სამუშაოთა წარმოებისას და სხვ.), მაშინ როდესაც ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობა არ წარმოადგენს მათთვის რამდენადმე მნიშვნელოვან საშიშროებას. თანაც ასეთი შემთხვევები გამონაკლისია და პრაქტიკულად თითქმის არ გვხვდება. ამიტომ პასუხისმგებლობა უპირატესად პირველი ჯგუფის შემთხვევებით უნდა შემოიფარგლოს. მეორე ჯგუფის შემთხვევებში კი ქმედობის მცირე მნიშვნელობა ხშირად შეიძლება მოგვევლინოს დანაშაულის გამომრიცხველ გარემოებად და მაშინ სუბიექტი გათავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან საქართველოს სსრ სსკ მე-8 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობა, როგორც წესი, უფრო მსუბუქ სასჯელს იმსახურებს.

ძეგლებისა და ობიექტების გაუფრთხილებელი დანგრევა-დაზიანება შეიძლება მოხდეს როგორც თვითიმედოვნებით, ისე დაუდევრობით. მაგ., ძეგლია მიმდებარე უბანზე სუბიექტი ახდენს აფეთქებას და დარწმუნებულია, რომ ძეგლი არ დაზიანდება, რადგან ზედმიწევნით ზუსტად აქვს გამოანგარიშებული ჰაერის ტალღის დარტყმის ძალა. მიუხედავად ამისა, ვარაუდი არ მართლდება და ძეგლი ინგრევა (თვითიმედოვნება). ან კიდევ: ძეგლია აღდგენითი სამუშაოების ჩატარების პროცესში მემამულე არასიმედოდ ამაგრება კაუჭზე უნიკალური წარწერით ან ჩუქურთმებით შემკულ ქვის ფილასს; ამასთან არც კი უფიქრდება, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას. ქვის ფილა მაღლიდან ძირს ვარდება და იფშვნება (დაუდევრობა).

254-ე მუხლის მესამე ნაწილით დაწესებულია პასუხისმგებლობა ძეგლებზე და ობიექტებზე განზრახ განადგურების, დანგრევის ან დაზიანებისათვის. განზრახვა აქ შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე ეგენტუალური. ორთავე შემთხვევაში სუბიექტს აუცილებელია აქტუალურად ჰქონდეს შეგნებული, რომ ის, რასაც ბოროტმოქმედი ხელყოფს, ნამდვილად კულტურის ძეგლი ან სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტია. ისტორიისა და კულტურის ძეგლების დანგრევა, გადაადგილება ან გადაკეთება დანაშაულად არ ჩაითვლება მხოლოდ ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ეს ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგანგებო ნებართვით (იხ. საქვეშირო კანონი, მუხ. 23; საქართველოს კანონი, მუხ. 37).

საკომენტარო მუხლის მეოთხე ნაწილში აღწერილია ძეგლებისა და ობიექტების განზრახ განადგურების, დანგრევის ან დაზიანების კვალიფიციური შემადგენლობა. მაკვალიფიციური გარემოებანია: 1. ხელყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლებისა თუ ობიექტებისა; 2. დანაშაულის ჩასადენად ფეთქებადი ნივთიერების ან მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენება.

### 1. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლები თუ ობიექტები.

საკავშირო კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, „ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღრიცხვისა და დაცვის ორგანიზაციის მიზნით ძეგლები იყოფა საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლებად“. ძეგლთა ამ კლასიფიკაციას გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმ საკითხის გადასაწყვეტად, არის თუ არა დანაშაულებრივი ხელყოფით დაზიანებული ძეგლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაცია ყოველთვის ვერ გამოდგება საფუძვლად „განსაკუთრებით მნიშვნელოვან ძეგლად“ ცნობისათვის. შესაძლოა, გარკვეული მიზეზების გამო, ესა თუ ის ძეგლი საერთო-საკავშირო ძეგლთა კატეგორიის კი არ განეკუთვნებოდეს, არამედ მხოლოდ ადგილობრივს, მაგრამ ეს სრულებითაც არ გამორიცხავს, რომ იგი მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყოს. მაგალითად, ჰამამლოს სახელგანთქმული ქვაჯვარი, რომელიც დმანისის რაიონში ააფეთქეს ბოროტმოქმედებმა და უფსკრულში გადაისროლეს, ფორმალურად არ განეკუთვნებოდა საერთო-საკავშირო ძეგლთა კატეგორიას. მიუხედავად ამისა მას ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან მასზე ამოტვიფრული იყო თამარ მეფის დროინდელი უნიკალური ქართული წარწერა.

ახალ-ახალმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა ისტორიის, არქეოლოგიის თუ პალეონტოლოგიის დარგში შეიძლება უშუალო მოპვინოს, ერთი შეხედვით, რიგითი ძეგლის ისეთ მხარეს, რომლის წარმოჩენით მისი მნიშვნელობა განუზომლად იზრდება. თუ მისი დაზიანების მომენტამდე არ მოესწრო ან ვერ მოხერხდა, რომ ასეთი ძეგლი საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში მოხვედრილიყო, ეს როდი ნიშნავს, რომ იგი პრინციპულად ვერ განიხილება განსაკუთრებით მნიშვნელოვან ძეგლად. „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი“ შეფასებითი ცნებაა, რომლის შინაარსი ყოველ ცალკეულ კონკრეტულ საქმეზე უნდა დადგინდეს მეცნიერული, ესთეტიკური თუ სხვა კრიტერიუმების გამოყენებით. საამისოდ საჭიროა სპეციალური მეცნიერული ცოდნის მომარჯვება, რაც იუსტიციის ორგანოებმა უნდა განახორციელონ ექსპერტიზის მეშვეობით. მოცემული სისხლის სამართლის საქმის შინაარსისა და მხედვით სპეციალისტებად და ექსპერტებად შეიძლება მოიწვიონ ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, ლინგვისტები, ხელოვნებათმცოდნეები, არქიტექტორები, გეოლოგები, სპელეოლოგები, ზოოლოგები, ბოტანიკოსები და სხვა.

ისევე, როგორც ძირითადი შემადგენლობის განხორციელებისას, მაკვალიფიცირებელ გარემოებათა არსებობისას დამნაშავეს განზრახვა ორთავე შესაძლო სახით ვლინდება — პირდაპირი და ევენტუალური განზრახვით. აუცილებელია მხოლოდ, რომ სუბიექტს გაცნობიერებული ჰქონდეს მაკვალიფიცირებელ გარემოებათა ფაქტობრივი და შეფასებითი ნიშან-თვისებები.

განსახილველი დანაშაულის ჩადენა მრავალნაირი მოტივით შეიძლება (ანგარება, შურისძიება, ყალბად გაგებული სამსახურებრივი ინტერესები და სხვ.). მაგრამ მათს შინაარსს მნიშვნელობა არა აქვს 254-ე მუხლის გამოყენება-არგამოყენებისათვის. იგი მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნის დროს.

სხვა საკითხია, რომ ზოგიერთი მოტივის არსებობამ შესაძლოა სსკ-ის სხვა დამატებითი მუხლების გამოყენებაც მოითხოვოს. მაგალითად, ძეგლის ან ობიექტის ხელყოფა, რაც ხულოგნური ქვენაგრძნობით იყო ნაკარნახევი, გარკვე-

ული წანამძღვრების არსებობისას უნდა დაკვალიფიცირდეს 228-ე და 254-ე მუხლების ერთობლიობით<sup>5</sup>.

თუ დამნაშვის მიზანი გასცდა განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის ფარგლებს, შესაძლოა სხვა რომელიმე შემადგენლობა განხორციელდეს. მაგალითად, ისტორიისა და კულტურის ძეგლის აფეთქება ანტისაბჭოური მიზნით გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დივერსიისათვის (მუხ. 69).

ჩვენს ქვეყანაში კულტურის ძეგლები სოციალისტურ საკუთრებას შეადგენს; მაგრამ ამავე დროს მათ თავისთავადი სოციალურ-კულტურული და მორალური ღირებულება გააჩნიათ. ამით ისინი განსხვავდებიან სოციალისტური საკუთრების სხვა ობიექტებისაგან. ამიტომ ხელყოფის ობიექტის მიხედვით 254-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ადვილი გასამიჯნია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანებისაგან (მუხ. 100), აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გაუფრთხილებელი განადგურების ან დაზიანებისაგან (მუხ 101). მაგრამ თუ დამნაშავემ ისეთ დამამძიმებელ გარემოებებში ჩაიდინა 254-ე მუხლში აღწერილი ესა თუ ის ქმედობა, რომლებსაც მართალია, არ მოიცავს ამ მუხლია დისპოზიცია, თუმცა გათვალისწინებულია მე-100 ან 101-ე მუხლებით, შესაძლოა საჭირო გახდეს ერთ-ერთი მათგანის დამატებით გამოყენება 254-ე მუხლთან ერთობლიობაში.

დანაშაულთა ერთობლიობის წესით კვალიფიკაცია მაშინაც საჭიროა, როდესაც ისტორიისა და კულტურის ძეგლის დაზიანება მის საზღვარგარეთ უკანონო გატანასთან იყო დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში ბოროტმოქმედი პასუხს აგებს 254-ე და 79 (კონტრაბანდა) მუხლებით.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც 16 წელი შეუსრულდა.

<sup>5</sup> მცდარად მიგვაჩნია ყაზახეთის სსკ-ის კომენტატორთა შეხედულება, რომ ასეთ შემთხვევაში დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მართო ხულიგნობის მუხლიც საკმარისია (იხ კომენტარი к Уголовному кодексу Казахской ССР. Издание второе, дополненное и переработанное. Под редакцией профессора Г. Ф. Поленова и профессора В. Н. Маркелова. Алма-Ата, «Казахстан», 1980. с. 105).

## **მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის საქმეთა შესახებ**

თ. გერსამია,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო სისტემატურად სწავლობს მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის საქმეთა სასამართლო პრაქტიკას.

განვითარების მასალებს განიხილავენ საწარმოო თათბირებზე, სემინარებზე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე, პლენუმებზე. სახალხო სასამართლოებს ეძლევათ სახელმძღვანელო მითითებანი, ეგზავნებათ საინსტრუქციო წერილები, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია ამ კატეგორიების საქმეთა განხილვის დროს დაშვებულ შეცდომებსა და დარღვევებზე.

საინტერესო მონაცემებია მიღებული შარშანდელი პრაქტიკის განვითარების შედეგად. ჩვენ გავაანალიზეთ სტატისტიკური მაჩვენებლები, სასამართლო-საკასაციო, საზედამხედველო პრაქტიკის მასალები ქურდობის (საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლი), ძარცვის (საქართველოს სსრ სსკ 151-ე მუხლი) და ყაჩაღობის (საქართველოს სსრ სსკ 152-ე მუხლი) საქმეებზე. გარდა ამისა შევისწავლეთ რესპუბლიკის სასამართლოების მიერ 1980 წელს განხილული 80 ათასის სამართლის საქმე 105 პირის მიმართ.

ცნობლია, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 21 მაისის ბრძანებულებამ გააძლიერა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობებისათვის. სააჯელის ზომის საგრძნობლად გაზრდამ და, რაც მთავარია, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ განხორციელებულმა მრავალმა ღონისძიებამ უზრუნველყო ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის ერთგვარად შემცირება. ბოლო ხანს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს მათ წინააღმდეგ ბრძოლა, აამაღლეს ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის ხარისხი.

უფრო ქმედითი გახდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონტროლი და დახმარება სასამართლო ორგანოებისადმი. მიზანსწრაფული და კონკრეტულია ღონისძიებანი, რომლებიც ისახება ამ დანაშაულობათა წინააღმდეგ სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციისათვის.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბრძანებულების მიღების შემდეგ დანაშაულები პირებს ძირითადად სწორად უფარდებენ სასჯელებს. წინა წლებისაგან განსხვავებით ახლა ძალიან იშვიათად ვხვდებით ლმობიერ განაჩენებს.

სტატისტიკური მონაცემებით, თანდათანობით მატულობს ქურდობის ჩამდენი პირებისათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდება ხუთ წელზე მეტი ვადით (ათი წლის ჩათვლით), რასაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 21 მაისის ბრძანებულება „სოციალისტური საკუთრების და მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

სასამართლო პრაქტიკის ახლანდელი განზოგადება ჯერ კიდევ არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გამოვცინათ საბოლოო დასკვნები და ამოძიებული პასუხი გავცეთ იმაზე, თუ რა ეფექტი მოჰყვა სისხლისსამართლებრივი სანქციების გაძლიერებას. ამ საკითხის შესწავლა კვლავაც უნდა გაგრძელდეს, თანაც კომპლექსურად შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ორგანოებთან ერთად. შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებებმა და შესაბამისმა სამსახურებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საცხოვრებელ სადგომებში შედრწევით ჩადენილ ქურდობებს, ცალკე აღრიცხონ ეს დანაშაული და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ქურდობის არც ერთი ფაქტის მიჩქმალვა.

ეს გაფრთხილება საფუძველს რომ არ არის მოკლებული იქიდანაც ჩანს, რომ წლეულს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ქ. თბილისის ორჯონიკიძის და 26 კომისრის რაიონში, აგრეთვე ლანჩხუთის რაიონში ჩატარებული შემოწმებით გამოვლინებულ იქნა აღურიცხავი ქურდობის რამდენიმე შემთხვევა, რას გამოც დამნაშავე პირები მკაცრად დაიპაჯნენ.

განზოგადებაში სერიოზული ყურადღება დაეთმო ამ დანაშაულობათა ჩამდენი პირების კონტინგენტის საკითხის გარკვევას.

ქურდობისათვის მსჯავრდადებულთა შორის 4,6 პროცენტი ქალია, ჯგუფურად ჩაიდინა დანაშაული 54,4 პროცენტმა, მთვრალი იყო 25,2 პროცენტი. დამნაშავეთა ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის შრომისუნარიან პირებზე, რომლებიც არც მუშაობენ და არც სწავლობენ (34,7 პროცენტი), აგრეთვე ნასამართლობია მქონე პირებზე (23,5 პროცენტი).

ძარცვისა და ყაჩაღობისათვის მსჯავრდადებული ქალებია რაოდენობა უმნიშვნელოა. სამაგიეროდ პროცენტულად დიდია მსჯავრდადებულთა რიცხვი, რომლებმაც ეს დანაშაული ჩაიდინეს ჯგუფურად და სიმთვრალეში.

დამნაშავეთა საგრძნობ რაოდენობას შეადგენენ მოზარდები და ახალგაზრდები, რაც შეფოთებას იწვევს. საჭიროა წინასწარი გამოძიების სტადიიდანვე და სამაჯავრო გამოძიების დროსაც მეტი ყურადღება მიექცეს იმას, რომ მთლიანად იქნენ გამოვლენილი დანაშაულის ორგანიზატორები, მოზარდების წამქეზებელნი, გამოცდილი ბორტმოქმედნი, რომლებიც სოციალურად გაცილებით საშიში პირები არიან.

ააყურადღებოა, რომ განზოგადების მონაცემით, ამ კატეგორიის დამნაშავეთა შორის მეტად იშვიათად ვხვდებით კოლმეურნიებს.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ოპერატიულობას, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დაწესებული ვადების დაცვას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის საქმეთა განხილვის ვადების უხეშად დარღვევის ფაქტები, ეს განსაკუთრებით შეეხება ძარცვისა და ყაჩაღობის საქმეებს.

მარტო შარშან, მესამე კვარტალში სასამართლო განხილვის საპროცესო ვადების დარღვევამ შეადგინა: ძარცვის საქმეებზე — 15,4 პროცენტი, ყაჩაღობის საქმეებზე — 22 პროცენტი. ამავე დროს ქურდობის საქმეთა განხილვის ვადების დარღვევა ერთგვარად შემცირდა (7 პროცენტი).

სახალხო სასამართლოებს უფრო ხშირად გამოაქვთ კერძო განჩინებები დაწაშაულის პროფილაქტიკის, საქმეთა უხარისხო გამოძიებისა და უსაფუძვლო გაჭიანურების, აგრეთვე სხვა საკითხებზე. უკანასკნელ ხანს გაიზარდა ამ კატეგორიის საქმეთა საჩვენებელი პროცენტებით განხილვის რაოდენობა, სამაგიეროდ მეტად უმნიშვნელოა ამ საქმეთა გარჩევა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რაც სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

სასამართლოები ყოველთვის არ ახდენენ საჭირო რეაგირებას ცალკეულ პროცესუალურ დარღვევებზე. მაგალითად, ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ც. სოფრომაძე) თავისი განჩინებით დამნაშავედ ცნო გ. ცხადაძე, ცოლშვილიანი, რომელიც არსად არ მუშაობდა, წარსულში გასამართლებული იყო ქურდობისა და ხულიგნობისათვის. მთვრალმა გ. ცხადაძემ მოქალაქის ბინის სამზარეულოდან გაიტაცა რადიომიმღები. ქურდი მაშინვე დააკავეს და წარადგინეს მილიციის განყოფილებაში.

საქმე აღიძრა საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის პირველი ნაწილით და იგი წარმოებაში მიიღო რაიგანყოფილების საგამოძიებო ჯგუფის უფროსმა ს. ქებულაძემ, რომელმაც ოთხ დღეში მთლიანად დაამთავრა გამოძიება, მოახდინა შემთხვევით ადგილის დათვალიერება, დაკითხა სამართალში მიცემული, დაზარალებული, მოწმეები, მიიღო სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა რადიომიმღების ღრებულების შესახებ, სანქცია გ. ცხადაძის დაპატიმრებაზე, წარუდგინა ბრალი გ. ცხადაძეს, დაკითხა იგი ბრალდებულის სახით. საქმეზე, სადაც მხოლოდ ექვსი მოწმეა და ერთი დაზარალებული, უკვე შესაძლო იყო შეედგინათ საბრალდებო დასკვნა და იგი განსახილველად გადაეგზავნათ სასამართლოში. გაურკვეველი მიზეზებით გამოძიება გაჭიანურდა და პროკურორს საბრალდებო დასკვნა დასამტკიცებლად წარედგინა მხოლოდ ორი თვის შემდეგ. სასამართლომ არ მოახდინა სათანადო რეაგირება საქმის გამოძიების ხელოვნური და უმიზეზო გაჭიანურების ფაქტის გამო.

ამავე სასამართლომ თ. ვაშაკიძეს, ცოლშვილიანს, ქუთაისის № 2 ბეტონის ქარხნის მუშას, რომელმაც მთვრალმა სადგურიდან მოიპარა ხელჩანთა 118 მანეთის ღირებულების ნივთებით, საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის მეორე ნაწილით მიუსაჯა ოთხი წლის თავისუფლების აღკვეთა. ყოველმხრივ გამართლებული იყო ამ საქმის საჩვენებელი პროცესით განხილვა საზოგადოებრიობის წარმომადგენლის მონაწილეობით. მით უმეტეს, რომ მსჯავრდადებულს ქარხნის ღირექცია დადებითად ახასიათებდა.

ქალაქ სოხუმის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე რ. არაქელიანი) ჯ. რეხვიაშვილს, ცოლშვილიანს, სოხუმის ავტობაზა „ტურისტის“ ელექტრომექანიკოსს, საქართველოს სსრ სსკ 91-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 150-ე მუხლის მეორე ნაწილით მიუსაჯა 2 წლის და ექვსი თვის თავისუფლების აღკვეთა იმისათვის, რომ ავტობაზიდან მოიპარა 108 მანეთად ღირებული მანქანის ნაწილები. გარდა ამისა, მოქალაქის კუთვნილი მანქანიდან მოიპარა 55 მანეთად ღირებული აკუმულატორი. სასამართლომ არ განიხილა ეს საქმე მსჯავრდადებულის სამუშაო ადგილას და საზოგადოებრიობის წარმომადგენლის მონაწილეობით. საქმეში ამ პირის სამსახურებრივი დახასიათებაც კი არ აღმოჩნდა.

ასეთივე დარღვევებია ქ. გაგრის სახალხო სასამართლოშიც. აქაც არ ეწყობა საჩვენებელი პროცესები, საქმეთა განხილვაში არ მონაწილეობენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, გამოძიების უსაფუძვლო გაჭიანურების ფაქტების გამო სასამართლოს არ გამოაქვს განჩინებები.

ქ. გაგრის სახალხო სასამართლოს განაჩენით (მოსამართლე ა. აგრა), ლ. კაკულია, გაგრის საბჭოთა მეურნეობა „სიხარულის“ მუშა, დამნაშავედ ცნეს საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლია მეორე ნაწილით და მიუსაჯეს 3 წლის თავისუფლების აღკვეთა იმის გამო, რომ მან ფარულად გაიტაცა მოქალაქის მსუბუქი ავტომანქანის 234 მანეთად ღირებული სამი საბურავი. ქურდობის ფაქტი იმავე დღეს დადგინდა და ლ. კაკულიამ მაშინვე დააბრუნა ნაქურდალი. საქმეში სულ ერთი მოწმე და ერთი დაზარალებულია, ფაბულა — უმარტივესი. გამოძიება ფაქტობრივად 1980 წლის 12 ივნისს დამთავრდა, საბრალდებო დასკვნა კი დამტკიცდა მხოლოდ 12 აგვისტოს.

როგორც ითქვა, ლ. კაკულია მუშაობდა გაგრის საბჭოთა მეურნეობაში. სასამართლოს ჰქონდა ყველა საფუძველი, რომ საქმე განეხილა მის სამუშაო ადგილას, საზოგადოებრიობის წარმომადგენლის მონაწილეობით გამოეტანა კერძო განჩინება გამოძიების ხელოვნური გაჭიანურების ფაქტის გამო, მაგრამ მას ეს არ გაუყეობია.

ქ. გაგრის სახალხო სასამართლომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ დანაშაულობათა პროფილაქტიკას.

ქ. ტყიბულის სახალხო სასამართლოს განაჩენით (მოსამართლე შ. ლებანიძე) ზ. ბოჭორიშვილი, რომელიც არსად არ მუშაობდა, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 150-ე მუხლის მეორე ნაწილით იმის გამო, რომ იგი, აკრძალული ჰქონდა რა ავტომანქანის მართვის უფლება, კვლავ დააკავეს, რადგან მთვრალი მართავდა მანქანას. გარდა ამისა, მთვრალმა ტყეჩიკური საშუალების გამოყენებით მოქალაქის გარაჟიდან მოიპარა ავტომანქანა „უიგულის“ 730 მანეთად ღირებული ნაწილები.

სასამართლომ დამნაშავეს საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის მეორე ნაწილით შეუფარდა 4 წლის და 6 თვის თავისუფლების აღკვეთა, ხოლო საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის პირველი ნაწილით — ერთი წლის თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით — ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა 4 წლით. საქართველოს სსრ სსკ მე-40 მუხლის საფუძველზე (მუხლი განაჩენში მითითებული არ არის) სასამართლომ მსჯავრდადებულს საბოლოოდ მოსახდელად დაუტოვა ოთხი წლის და 6 თვის თავისუფლების აღკვეთა (რაც სავსებით სწორი და მართებულია). მაგრამ გამორჩა შეეფარდებინა დამატებითი სასჯელი — ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა 4 წლით.

ამ საქმია წინასწარი გამოძიება ხელოვნურად არის გაჭიანურებული. რაზეც სასამართლომ არ მოახდინა რეაგირება კერძო განჩინებით. როგორც საქმიდან ჩანს, მასალები ზ. ბოჭორიშვილის მიერ საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით ტყიბულის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების გამოძიებელს ვ. კოლუაშვილს უმოძრაოდ ჰქონდა ორი თვის განმავლობაში და მის მიმართ სსრ სსრ-ის სასამართლის საქმე აღძრა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შუალედში ზ. ბო-

კორიშვილმა მოასწრო მეორე დანაშაულის (ქურდობის). ჩადენაც. მხოლოდ ამან აიძულა გამოძიებელი მიეცა საქმისათვის მსვლელობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ საქმის საკასაციო განხილვის დროს ამ ფაქტის გამო მართებულად გამოიტანა კერძო განჩინება.

ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით (მოსამართლე ო. კუჭავა) ნ. გოგოლი, სამართალში ნამყოფი ქურდობისათვის, სასჯელის მოხდის შემდეგ კი არსად არ მუშაობდა, მჯავრდადებულ იქნა იმის გამო, რომ ქ. ცხაკაიაში გაქურდა მოქალაქის ბინა, საიდანაც ფარულად გაიტაცა 3.000 მანეთად ღირებული სხვადასხვა ფასეულობანი. სასამართლომ ბოროტმოქმედს განუსაზღვრა ხუთი წლის თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ კერძო განჩინებით არ მიექცია შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ყურადღება იმ ფაქტს, რომ ნ. გოგოლი არ ეწეოდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და მის მიმართ უბნის რწმუნებული ზომებს არ იღებდა.

კერძო განჩინება ამ თვალთახედვით გამოიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ საქმის საკასაციო წესით განხილვის დროს.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მასალები მოწმობს, რომ ამ კატეგორიის დანაშაულობათა პროფილაქტიკა გაუმჯობესდა ქ. ბათუმის, ქ. თბილისის ლენინისა და 26 კომისრის რაიონების, ქ. ქუთაისის ლენინისა და ავტოქარხნის რაიონების, აგრეთვე ხაშურის, მახარაძის, ბორჯომის, გურჯაანის, მარნეულის რაიონების სახალხო სასამართლოებში.

საკითხის შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმეების განხილვის სასამართლო პრაქტიკას, წინასწარი და სამსჯავრო გამოძიების ხარისხს, წამქეზებელთა გამოვლინების მდგომარეობას.

რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები სწორად ახორციელებენ დასჯით პრაქტიკას არასრულწლოვანთა მიმართაც. ცალკეულ შეცდომებს ასწორებენ საკასაციო ინსტანციები, რაც გავლენას არ ახდენს საერთო სურათზე.

საკიროა სახალხო სასამართლოებმა კიდევ უფრო გააძლიერონ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა გამსვლელ სესიებზე, მეტი ყურადღება მიაქციონ ამ მუშაობას, არ დატოვონ არც ერთი ფაქტი ისე, რომ ღრმად და საფუძვლიანად არ შეისწავლონ დანაშაულის წარმომშობი მიზეზები, მოახდინონ მათზე რეაგირება ისე, როგორც ამას კანონი მოითხოვს. სასამართლოებმა მჭიდრო კონტაქტი უნდა იქონიონ ადგილობრივ ადმინისტრაციულ და სხვა ორგანოებთან ერთობლივი ღონისძიებების შესამუშავებლად და განსახორციელებლად. ამაზე არაერთგზის გაამახვილა სასამართლოების ყურადღება საქართველოა სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა. ამის თაობაზე ბოლო ხანს სახალხო სასამართლოებს ეძლევათ დამატებითი მითითებები, ეწევათ აგრეთვე პრაქტიკული დახმარება ადგილებზე ჩასვლით და სხვა არაპროცესუალური მეოდეებით.

ამ კატეგორიის საქმეებზე საკასაციო წესით ვასაჩივრებულ განაჩენთა აბსოლუტურ უმრავლესობას, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია არ ცვლის და არ აუქმებს (აქაც ერ-

თელი ფაქტები მდგომარეობას არ ცვლის), რაც მოწმობს, რომ სახალხო სასამართლოებია მუშაობა გაუმჯობესდა.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მასალებში იშვიათად ვხვდებით ამ დანაშაულობათა კვალიფიკაციის მცდარად გადაწყვეტას. უპირატესად სახალხო სასამართლოების შეცდომები იმით გამოიხატება, რომ წარმოებაში ღებულობენ (ან სრულიად ურეაგირებოდ ტოვებენ) ისეთ საქმეებს, რომლებშიც წინასწარი გამოძიების სტადიიდან განსასჯელს არასრულყოფილად აქვს წაყენებული ბრალდება. ბრალდების წარდგენის დადგენილებაში (და აქედან გამომდინარე საბრალდებო დასკვნაშიც) არ არის მითითებული დანაშაულის მკვალიფიცირებელი ყველა ის ნიშანი, რომლებსაც ბრალდებულისადმი ინკრიმინირებული დანაშაულებრივი მოქმედებები შეიცავს (განსაკუთრებით ქურდობის საქმეებზე). ამან კი პირის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში შესაძლოა გავლენა მოახდინოს სასჯელის ზომის დანიშვნაზე.

ქალაქ სოხუმის სახალხო სასამართლოს განაჩენით (მოსამართლე გოლუბევა), ს. შემელიოვს, წარსულში ნასამართლევს, მსჯავრი დაედო საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის მეორე ნაწილით და ოთხი წლის თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა იმის გამო, რომ მან ტექნიკური საშუალების (ცულის) გამოყენებით გატეხა და გაქურდა მოქალაქის ბინა, საიდანაც მოიპარა 705 მანეთად ღირებული საოჯახო ნივთები. ს. შემელიოვის მიმართ ბრალდების წარდგენის დადგენილებაში არ არის მითითებული, რომ მან დანაშაულით მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულს.

ქალაქ ჭიათურის სახალხო სასამართლომ განიხილა ა. მოდებაძის სისხლის სამართლის საქმე. მთვრალი ა. მოდებაძე, რომელმაც შეამჩნია, რომ ქ. ჭიათურაში, მოსკოვის ქუჩაზე ერთ-ერთი ბინის კარი ღია იყო, შევიდა შიგ და ფარულად გაიტაცა 200 მანეთი. ა. მოდებაძე ცოლშვილიანია (ჰყავს ერთი არასრულწლოვანი შვილი), სამართალში არ ყოფილა. დანაშაულის ჩადენის პერიოდში არ მუშაობდა. სასამართლომ მას საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის მესამე ნაწილით 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენი საკასაციო წესით არ გასაჩივრებულა. მსჯავრდადებულმა ჩათვალა, რომ მან დამსახურა სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელი.

ქურდობა ჩადენილია ბრძანებულების შემდეგ, დაზარალებულის საცხოვრებელ სადგომში შეღწევით. ამიტომ ა. მოდებაძის მიმართ ბრალდების წარდგენის დადგენილებაში და აქედან გამომდინარე განაჩენშიც ეს გარემოება მითითებული უნდა იყოს, როგორც დანაშაულის მკვალიფიცირებელი ნიშანი, რაც სწორი იქნებოდა. ა. მოდებაძის მიმართ წარდგენილი ბრალდება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სრულყოფილად იმის გამოც, რომ დადგენილებაში მითითებული არ არის, მიაყენა თუ არა დანაშაულმა მნიშვნელოვანი ზარალი დაზარალებულს.

როდესაც პიროვნებას ბრალად ედება ქურდობა საცხოვრებელ სადგომში შეღწევით და ამავე დროს სახეზეა დანაშაულის ჩადენა. ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, აგრეთვე დაზარალებულს დანაშაულით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა, ბრალდების წარდგენის დადგენილებაში ეს ნიშნებიც უნდა იყოს მითითებული მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის მესამე ნაწილით დანაშაულის მკვალიფიცირებისათვის ქურდობის მიზნით მარტოდენ საცხოვრებელ სადგომში შეღწევაც კი საკმარისია.



ეს იმისათვისაც არის საჭირო, რომ, თუ აუცილებელი გახდა პირის დანაშაულის გადაკვალიფიცირება საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამავე მუხლის მეორე ნაწილზე, სასამართლო ორგანოებს მიეცეთ ამის კანონიერი შესაძლებლობა საქმის დამატებით გამოძიებისათვის დაუბრუნებლად.

ამ შემთხვევაში ა. მოდებაძის დანაშაული სწორად არის დაკვალიფიცირებული საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სავსებით დასტურდება საქმის მასალებით (ეს არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ მსჯელობას ბრალის სრულყოფილად წარდგენის აუცილებლობის შესახებ).

პრაქტიკაში არ არის ერთნაირი აზრი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის დაკვალიფიცირების დროს მოქალაქის „საცხოვრებელი სადგომი“. არის იმის ტენდენცია, რომ მას მიეცეს განვრცობილი განმარტება.

საჭიროა რაც შეიძლება მოკლე ვადაში შემუშავდეს საერთო აზრი ამასთან დაკავშირებით და რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებს ამ საკითხზე მიეცეთ სახელმძღვანელო მითითებები.

ჩვენი აზრით, კანონის აზრიდან არ გამომდინარეობს, რომ „საცხოვრებელ სადგომს“ მიეცეს განვრცობის ხასიათი. არ შეიძლება ასეთად მივიჩნიოთ ისეთი ობიექტი, რომელიც თავისი დანიშნულებით აშკარად შემთხვევით და დროებითს ხასიათს ატარებს (მაგალითად: ავტომანქანები, თუნდაც ტურისტული მოგზაურობის დროს, ან კურორტზე დაზარლებული შიგ ღამეს ათევედეს და ამდენად წარმოადგენდეს მის საცხოვრებელ სადგომს; კარავები, ზღვის სანაპიროებზე აგებული დროებით თავშეაფრები, ძირითადი საცხოვრებელი სახლების სარდაფები, „გარაყები“, „კუბეები“ სარკინიგზო, საზღვაო მოგზაურობის დროს და სხვა ანალოგიური ობიექტები), საცხოვრებელ სადგომად მიჩნეულ უნდა იქნეს მოქალაქეთა ყველა სახის საცხოვრებელი ბინა, ბინასთან ორგანულად დაკავშირებული ყველა დამხმარე სათავაი, მუდმივი აგარაკები.

არ შეიძლება საცხოვრებელ სადგომში შედღწევით ჩადენილ ქურდობად ჩაითვალოს ისეთი ქურდობა, რომელიც საცხოვრებელ სადგომშია ჩადენილი, მაგრამ ქურდობა პირმა განიზრახა ბინაში შესვლის შემდეგ (მაგალითად, ბინაში მყოფი სტუმარი, ბინაში დაზარლებულის ნებართვით და მისი სურვილით შესული პირი, შინამოსამსახურე და ა. შ.).

თუ საგამოძიებო ან სასამართლო ორგანოები ამა „საცხოვრებელ სადგომში შედღწევით“ ჩადენილ ქურდობად მიიჩნევენ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საგამოძიებო-სასამართლო ორგანოები ვალდებული არიან დაასაბუთონ, რომ პირს, რომელიც სტუმრად შევიდა ბინაში ან შეიყვანა ამხანაგმა, თავიდანვე ჰქონდა განზრახვა, რომ დაზარალებულის საცხოვრებელ სადგომში ასეთი გზით შესულს ჩაედინა დაზარალებულის ბინაში ქურდობა.

ამის საინტერესო მაგალითს შევხვდით გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს პრაქტიკის შეაწავლის დროს. ვ. ტკაჩენკო. 1953 წელს დაბადებული, ბელგოროდის ოლქში მცხოვრები, არ მუშაობდა, ამ რაიონის სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი იმის გამო, რომ მოიპოვა გარდაბანში მცხოვრები ზ. ბაფხოშვილის ნდობა, რომელიც ხარკოვში გაიცნო, ჩამოვიდა მასთან

სტუმრად, იცხოვრა რამდენიმე დღეს, შემდეგ გაქურდა მასპინძელი და მიიმა-  
ლა. გაიტაცა 757 მანეთად ღირებული ფული და ნივთები.

გამოირკვა, რომ ვ. ტკაჩენკოს მანამდე ქ. ხარკოვში ჩადენილი ჰქონია ანალოგიური დანაშაული იმავე მეთოდით. სტუმრად მყოფმა მოიპარა მასპინ-  
ძლის 273 მანეთად ღირებული ქონება, რისთვისაც ქ. ხარკოვის მოსკოვის რა-  
იონის სახალხო სასამართლოს 1980 წლის 31 იანვრის განაჩენით მისჯილი ჰქონ-  
და უკრაინის სსრ სსკ 140-ე მუხლის მეორე ნაწილით 2 წლის და 6 თვის თავი-  
სუფლების აღკვეთა. წინასწარმა გამოძიებამ ვ. ტკაჩენკოს დანაშაული საქართვე-  
ლოს სსრ სსკ 150-ე მუხლის მეორე ნაწილით დააკვალიფიცირა მხოლოდ იმ  
ნიშნით, რომ მას ზ. ბაფხოშვილის ბინის გაქურდვა ჩადენილი ჰქონდა განმეო-  
რებით, ამავე დროს არაფერი თქვა იმის შესახებ, რომ ვ. ტკაჩენკომ ზ. ბაფხო-  
შვილა მიაყენა მნიშვნელოვანი ზარალი. (საქმეს იძიებდა გარდაბნის რაიონის  
შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების გამომძიებელი კორკოტაძე).

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე დაშთამიროვი)  
საქმე მიიღო წარმოებაში, საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის მეორე ნაწი-  
ლით ტკაჩენკოს მიუსაჯა ოთხი წლის თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟი-  
მის კოლონიაში მოხდით. ამასთან განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში არა-  
ფერი თქვა, თუ რა ბედი უნდა ეწიოს ვ. ტკაჩენკოს მიმართ აღრინდელი ვა-  
ნაჩენით განსაზღვრულ სასჯელს.

არ შეიძლება აგრეთვე საცხოვრებელ სადგომში შეღწევით ჩადენილ ქურ-  
დობად ჩაითვალოს შემთხვევა, როცა პირი ფასეულობას იპარავს ბინია ღია  
ფანჯრიდან, აიენიდან სადგომში შეუღწევლად.

აუცილებელია ამ და სხვა ანალოგიურ საკითხებზე, სასამართლო პრაქ-  
ტიკის განზოგადების და სხვა მასალების საფუძველზე, სამეცნიერო დაწესე-  
ბულებებთან ერთად უმოკლეს ვადაში შემუშავდეს საერთო აზრი, დამკვიდ-  
რდეს ერთიანი პრაქტიკა, ვინაიდან საცხოვრებელ სადგომში შეღწევით ქურ-  
დობის ჩადენა თავისი მნიშვნელობით გაუთანაბრდა განსაკუთრებით საშიში  
რეციდივიატის მიერ ჩადენილ ამ სახის დანაშაულს, აქედან გამომდინარე შე-  
დეგებით. ეს მოითხოვს საგანგებო ყურადღებას, განსაკუთრებით არასრულწლო-  
ვანთა მიმართ სასჯელის განსაზღვრის დროს.

უმაღლესი სასამართლო კვლავაც განახორციელება ღონისძიებებს ქურ-  
დობა, ძარცვისა და ყაჩაღობის პროფილაქტიკის და ამ დანაშაულობათა წინა-  
აღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისათვის.

# აკავალლოთ სასამართლოების როლი შრომის კანონმდებლობის დასაცავსა და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში

## ა. ლუღუნიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს 1980 წლის იანვრის დადგენილება „სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების შესახებ“ სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უსახავს ამოცანას — განამტკიცონ სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, განუხრელად დაიცვან შრომის კანონმდებლობა.

ამ დადგენილების რეალიზაციისათვის დიდ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის სასამართლოები, რომლებიც იყენებენ ზემოქმედების ყველა საშუალებას იმისათვის, რომ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა დაიცვან შრომის კანონმდებლობა, განამტკიცონ დისციპლინა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ამ მიზნით სწავლობს, თუ როგორ იცავენ უწყებებისა და მათი ქვედანაყოფების ხელმძღვანელები საბჭოთა შრომის კანონმდებლობის ნორმებს, რა კეთდება იმისათვის, რომ ამ ნორმების გამოყენებამ უზრუნველყოს შრომის დისციპლინის განმტკიცება. ამასვე ემსახურება ადმინისტრაციის ინიციატივით განთავისუფლებულ მუშაკთა სამუშაოზე აღდგენის საქმეთა სასამართლო პრაქტიკის განზოგადება. შესწავლილი საქმეების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბოლო ხანს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსა და რესპუბლიკის სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ამ პირთა რიცხვი, რომელთა სარჩელები სამუშაოზე აღდგენის შესახებ დაკმაყოფილდა.

მაგრამ სასამართლოები ჯერ კიდევ არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რომ ჩაუნერგონ ყველას შრომის კანონმდებლობის ნორმების პატივისცემა, მთლიანად არ იყენებენ კანონით გათვალისწინებულ სანქციებს. იმ ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევენ შრომის კანონმდებლობის ნორმებს, აბუჩად იგდებენ მშრომელთა კანონით გარანტირებულ უფლებებს, მატერიალურ ზიანს აყენებენ საწარმოსა და დაწესებულებას. შრომის კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილების ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის დროს კანონის დარღვევის განოვლენა, მისი გამომწვევი მიზეზებისა და პირობების დადგენა, შემდეგ კი კერძო განჩინების გამოტანა იმ თანამდებობის პირის მიმართ, რომელიც უგულებელყოფს, არ იცავს შრომის კანონს.

მაგალითად, სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლომ შარშან თავისი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ც. კოჭლამაზაშვილის სარჩელი და აღად-

გინა იგი სიღნაღის დამხმარე სკოლა-ინტერნატის საქმეთა მმართველ-მოანგარიშედ. ც. კოჭლამაზაშვილი გაათავისუფლეს სამუშაოდან პირადი თხოვნით. როგორც გამოირკვა, ც. კოჭლამაზაშვილმა განცხადება დაწერა იმის გამო, რომ დაკარგა ადმინისტრაციული შტამპი და მას სამუშაოდან მოხსნით ემუქრებოდნენ შრომის კანონთა კოდექსის 32-ე მუხლის მიხედვით. ასეთ ვითარებაში დაწერილი განცხადება კი არ შეიძლება გახდეს მუშაკის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი. ამავე დროს გამოირკვა, რომ ც. კოჭლამაზაშვილი ადმინისტრაციას სთხოვდა გაეთავისუფლებიათ 1980 წლის 16 თებერვლიდან, ადმინისტრაციამ კი იგი გაათავისუფლა 1 თებერვლიდან. რაც აგრეთვე კანონის დარღვევაა.

სასამართლოში გამოირკვა, რომ ც. კოჭლამაზაშვილმა მუშაობა უხდებოდა ისეთ პირობებში, რომ შეუძლებელი იყო დაკისრებული მოვალეობის სრულყოფილი შესრულება. მას არ ჰქონდა სეიფი, რომელშიც შეიძლებოდა შტამპის და სხვა დასაცავი ნივთების შენახვა. დაწესებულებაში არ იყო მოწყობილი შრომის პირობები, სახალხო სასამართლომ, დააკმაყოფილა რა სარჩელი, არ გამოიტანა კერძო განჩინება ადმინისტრაციის მიმართ, რათა ამ ფაქტს მიქცეოდა ყურადღება და შემდეგში აღკვეთილიყო მუშაკის სამუშაოდან უკანონო დათხოვნა.

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ე. დაშტამიროვი) დააკმაყოფილა ტ. ბიკოვას სარჩელი და აღადგინა იგი „საქსახსოფლტექნიკა“ გარდაბნის გაერთიანებაში ბუღალტრად. ადმინისტრაციის მიმართ სასამართლომ არ გამოიტანა კერძო განჩინება, თუმცა ამისი საფუძველი იყო. ტ. ბიკოვა გაათავისუფლეს თანამდებობიდან მისი განცხადების საფუძველზე, თუმცა მას განცხადება არ დაუწერია. ადმინისტრაციის განმარტებით მათ დაეკარგათ ტ. ბიკოვას განცხადება. სასამართლომ არ შეასრულა სამოქალაქო სასამართლო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მოთხოვნა და არ გამოიტანა კერძო განჩინება დარღვევის ფაქტის გამო.

ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — რ. ფუტკარაძე) დააკმაყოფილა ე. ცხადაძის სარჩელი და აღადგინა იგი „ენერგოგასაღების“ ზესტაფონის სარაიონთაშორისო განყოფილებაში კონტროლიორ-მონტიორის თანამდებობაზე, აუნაზღაურა იძულებით განაცდური დროის შრომის ხელფასი — 285 მანეთი. სასამართლომ საქმეში მესამე პირად არ ჩააბა დაწესებულების ხელმძღვანელი, არ იმსჯელა დაეკისრებინა მისთვის მატერიალური პასუხისმგებლობა. ამავე დროს არ გამოიტანა კერძო განჩინება იმის გამო, რომ ააწარმოს ხელმძღვანელობას მიეღო ზომები, რათა მომავალში აღეკვეთათ გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები და ამ მოტივით მუშაკის სამუშაოდან გაათავისუფლება.

ასეთი ფაქტი ბევრია. შესწავლილი 50 საქმიდან სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა 40 საქმეზე, კერძო განჩინება კი გამოიტანა 7 საქმეზე (14 პროცენტი).

სახარბიელო სურათი არც საკასაციო ინსტანციის სასამართლოშია. შესწავლილი საქმეებიდან 15 საქმე საკასაციო საჩივრით განიხილა კოლეგიამ და კერძო განჩინება გამოიტანა მხოლოდ სამ საქმეზე (20 პროცენტი). ეს იმაზე მეტყველებს, რომ არც საკასაციო კოლეგია ასრულებს ჯეროვნად კანონის მოთხოვნებს.

შრომი დისციპლინის განმტკიცების და შრომის კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვას შრომით კოლექტივებში გამსვლელ სესიაზე.

შესწავლილი 50 საქმიდან სასამართლომ არც ერთი არ განუხილავს გამსვლელ სესიაზე, თუმცა ასეთი პროცესის მოწყობა საჭირო იყო.

მოვიყვანო მაგალითებს. ო. გზირიშვილი მუშაობდა საგურამოს სასაბურთალოს რაიონის მეურნეობის მცველად. ადმინისტრაციის ბრძანებით იგი გაათავისუფლეს სამუშაოდან მეურნეობის ტერიტორიიდან არასამუშაო დროს ავტომანქანის თვითნებურად გაშვებისათვის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და მეურნეობის სამეურნეო დანიშნულების მიწის მითვისების მცდელობისათვის. ამავე ბრძანებით დისციპლინური სასჯელი დაედო მძღოლს ნ. მაღლაშვილს და ინჟინერ-მექანიკოსს პ. ბიჩინვაურს. ო. გზირიშვილია სარჩელი მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — მ. ჭაფიძე) არ დააკმაყოფილა.

საქმის მასალებით ჩანს, რომ მისი განხილვა გამსვლელ სესიაზე შრომით კოლექტივებთან სარგებლობას მოუტანდა ამ მეურნეობაში შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ვარდა ამისა, სასამართლომ არც კერძო განჩინება გამოიტანა იმის გამო, რომ აქ შრომის დისციპლინა არ იდგა სათანადო სიმართლზე, მეურნეობის ხელმძღვანელობა საჭირო კონტროლს არ უწყევდა თანამშრომლების მიერ შრომის დისციპლინის დაცვას, უფრო მეტიც, აძლევდა მათ მისი დარღვევის საშუალებას, რაც შემდგომ მუშაკია სამუშაოდან განთავისუფლების საფუძველი ხდებოდა.

ვ. ბექაური მუშაობდა მუშად მცხეთის სასურსათო კომბინატში. ადმინისტრაციის ბრძანებით იგი გაათავისუფლეს შრომის შინაგანაწესით დაკისრებული მოვალეობის სისტემატური შეუსრულებლობისა და სამუშაოს გაცდენისათვის შრომის კანონთა კოდექსის მესამე და მეოთხე პუნქტის საფუძველზე. ვ. ბექაური დიდიხოვეს იმიტომ, რომ რამდენჯერმე იყო შემჩნეული წვრილმან ქურდობაში, რისთვისაც დაედო ადმინისტრაციული სასჯელი. ბოლოს მან არასაპატიო მიზეზით გააცდინა სამუშაო. ვ. ბექაურის სარჩელი მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ არ დააკმაყოფილა. საქმის განხილვა შრომით კოლექტივში სასარგებლო იყო, რადგან ხელს შეუწყობდა კოლექტივში შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

სასამართლოთა დიდ ნაწილს საერთოდ ამ კატეგორიის არც ერთი საქმე არ განუხილავს გამსვლელ სესიაზე. მათ შორის არის მარნეულის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, ყაზბეგის, ტყიბულის რაიონების, თბილისის კალინინის, კიროვის, 26 კომისიის რაიონების და სხვა სასამართლოები.

ზოგიერთი სასამართლო არ აარულებს საქართველომ სსრ შრომის კანონთა კოდექსის 209-ე მუხლის მოთხოვნას, საქმეში მესამე პირად არ აბამს იმ ხელმძღვანელებს, რომლებმაც გაათავისუფლეს მუშაკი სამუშაოდან, არ წყვეტს საკითხს უკანონო ბრძანების გამო მუშა-მოსამსახურეებისათვის იძულებითი განაცდური დროის შრომის ხელფასის ანაზღაურებით გამოწვეული მატერიალური ზარალის თანამდებობის პირისათვის დაკისრების შესახებ. შესწავლილი საქმეებიდან 40-ზე სარჩელი დაკმაყოფილდა, მესამე პირი კი ჩაბმულია მხოლოდ ერთ საქმეზე (ანუ 2 პროცენტი). საქმეთა შესწავლა კი გვიჩვენებს, რომ სასამართლოებს ჰქონდათ საფუძველი ჩაებათ საქმეში მესამე პირი.

მაგალითად, როგორც ზემოთ ითქვა, გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა ტ. ბიკოვას სარჩელი, აღადგინა იგი სამუშაოზე და დააკისრა გაერთიანებას იძულებითი განაცდური დროის შრომის ხელფასის 90 მანეთის გადახდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ტ. ბიკოვა კანონის უხეშო დარღვევით იქნა განთავისუფლებული სამუშაოდან, მაგრამ არ შეასრულა შრომის კანონთა კოდექსის 209-ე მუხლის მოთხოვნა, არ ჩააბა საქმეში წარმოების ხელმძღვანელი გ. ჭაჭია, არ იმსჯელა მისთვის მატერიალური ზარალის დაკისრების შესახებ.

სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა ვ. მაისურაძის სარჩელი და აღადგინა იგი სიღნაღის საატუმრო „ამირანში“ დურგლად და ავალა ადმინისტრაციას იძულებითი განაცდური დროის შრომის ხელფასის 70 მანეთის ანაზღაურება. სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ ვ. მაისურაძემ სამუშაო გააცდინა. ვ. მაისურაძე პროფკავშირის ადგილკომის სხდომას მისი საკითხის განხილვის დროს არ ესწრებოდა. საქმის სასამართლოში განხილვის დროს გამოიჩინა, რომ დადგენილი არ იყო, თუ როდის გააცდინა სამუშაო ვ. მაისურაძემ. ადმინისტრაციის მიერ მას წარსულში სასჯელი არ ჰქონია დადებული.

სახალხო სასამართლომ, დააკმაყოფილა რა სარჩელი, საქმეში არ ჩააბა მესამე პირად სასტუმროს დირექტორი ი. ბაგაშვილი და არ იმსჯელა მისთვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, არ გამოიტანა კერძო განჩინება ადმინისტრაციის მიმართ იმის გამო, რომ უხეშად დაარღვია შრომის კანონი.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა ნ. აბურჯანიას სარჩელი და აღადგინა იგი სასოფლო-სამეურნეო წყალმომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი ქიმიკოსის თანამდებობაზე. ნ. აბურჯანია სამუშაოზე აღადგინეს, რადგან მისი გათავისუფლება წინასწარ არ იყო შეთანხმებული პროფკავშირის ადგილკომთან, რითაც დაირღვა შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნა. სახალხო სასამართლომ არ ჩააბა საქმეში მესამე პირად სამმართველოს უფროსი ს. აბაშიძე და არ იმსჯელა მისთვის მატერიალური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

სასამართლო ზოგჯერ საბოლოოდ არ წყვეტს ამ დავას, კმაყოფილდება იმით, რომ საწარმოს და დაწესებულებას უფლებას უტოვებს შემდგომში გამოიძიოს თანამდებობის პირისაგან იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მოჰყვა მის უკანონო ბრძანებას.

მაგალითად, ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ბ. ცხელაშვილი), დააკმაყოფილა რა ზ. ჭარბაძის სარჩელი, აღადგინა იგი ქუთაისის სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს სისტემაში მაღაზიის გამყიდველად ორი თვის იძულებითი განაცდური დროის შრომის ხელფასის ანაზღაურებით. ორგანიზაციას უფლება დაეტოვა შემდგომში გამოიძიოს ზ. ჭარბაძისათვის ვასაცემი თანხის დაკისრება დაწესებულების ხელმძღვანელისათვის.



საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ეფექტიანობას უკარგავს კანონის მოქმედებას, ხშირად იგი შეუსრულებელი რჩება. ამის გამო კვლავ დიდია ზარალი, რომელიც საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ადგება მათი ხელმძღვანელების მიერ შრომის კანონმდებლობის დარღვევით.

შესწავლილი 50 საქმიდან მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლოდ იძულებითი განაცდური დროის ასანაზღაურებელმა ხელფასმა შეადგინა 5.970 მანეთი. აქედან თანამდებობის პირებს დაეკისრათ მხოლოდ 320 მანეთის გადახდა (6 პროცენტი). ეს გაცილებით ნაკლებია წარსული წლების იმავე მაჩვენებლებთან შედარებით. 1980 წლის პირველ ნახევარში იგი შეადგენდა 14,3 პროცენტს.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოებს არა აქვთ დაწესებული კონტროლი გადაწყვეტილების ამ ნაწილის აღსრულებისადმი.

მაგალითად, ახმეტის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით ლ. უძილაურის სამუშაოზე აღდგენის საქმის გამო საგზაო უბნის უფროსს დ. ქოქრიშვილს საგზაო უბნის სასარგებლოდ დაეკისრა 193 მანეთის გადახდა. იმავე სასამართლოს გადაწყვეტილებით ლ. სამუჯაშვილის სამუშაოზე აღდგენასთან დაკავშირებით სატყეო მეურნეობის დირექტორს ზ. არაბულს დაეკისრა 60 მანეთის გადახდა სატყეო მეურნეობის სასარგებლოდ. მიუხედავად მრავალი წერილობითი და სიტყვიერი გაფრთხილებისა, ჩვენ ვერ მივიღეთ ცნობა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულებულია. უნდა კი ვიფიქროთ, რომ გადაწყვეტილება ამ ნაწილში შეუსრულებელია.

სასამართლოს როლის ამიღლებას, მისი ზემოქმედების ძალას, ისიც ასუსტებს, რომ პირველი ინსტანციის ბევრი გადაწყვეტილება უქმდება და ხცვლება მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ, დიდია გასაჩივრების პროცენტი.

მაგალითად, შარშან რესპუბლიკის ყველა სახალხო სასამართლოს მიერ წლის პირველ ნახევარში გასაჩივრდა და გაპროტესტდა განხილულ საქმეთა 40,1 პროცენტი, გადაწყვეტალება გაუქმდა და შეიცვალა რამდენიმე საქმეზე, რაც გასაჩივრებულ საქმეთა 19,2 პროცენტს, ხოლო განხილულ საქმეთა 7,9 პროცენტს შეადგენს.

როგორი სურათია ამ მხრივ რესპუბლიკაში შარშანდელი მონაცემების მიხედვით? წლის პირველ ნახევარში განხილული საქმეებიდან სარჩელი დაკმაყოფილდა 50 პროცენტზე, გასაჩივრდა 47,1 პროცენტი, გაუქმდა გასაჩივრებულ საქმეთა გადაწყვეტილების 84,7 პროცენტი, ხოლო განხილულის 6,9 პროცენტი.

სასამართლოები ზოგჯერ სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელს იღებენ დავის წინასწარ, სასამართლოს გარეშე გადაწყვეტის წესის შეუსრულებლად, რაც საბოლოოდ ეფექტიანობას უკარგავს სასამართლოს ზემოქმედებას.

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს სამუშაოზე აღდგენის საქმეთა განხილვის ორგანიზაცია, გაძლიერდეს სასამართლოს ზემოქმედება შრომის კანონმდებლობის დაცვასა და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, აუცილებელია: სასამართლო კოლეგიებმა სისტემატურად გააანალიზონ სამუშაოზე აღდგენის საქ-

მეებზე გადაწყვეტილებათა გაუქმების და შეცვლის მიზეზები; კოლეგიის წევრებმა მეტი ყურადღება მიაქციონ სახალხო სასამართლოებისადმი დახმარებას მათ მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორების მიზნით; საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ უფრო ხშირად განიხილოს პირველი ინსტანციით ამ კატეგორიის შედარებით რთული საქმეები; სახალხო სასამართლოებმა არ დატოვონ ურეაგირებოდ კანონის დარღვევის არც ერთი გამოვლენილი ფაქტი, ფართოდ გამოიყენონ კერძო განჩინებათა გამოტანის პრაქტიკა საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებია მიმართ, უმაღლეს სასამართლოს კოლეგიებმა კი — სახალხო მოსამართლეთა მიმართ, რომლებიც არადაშეწყაფილებლად ასრულებენ კანონით დაკისრებულ მოვალეობას; სასამართლოებმა გაითვალისწინონ, რომ კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილებას ხელს უწყობს ამ დავის დაწესებულ ვადაში განხილვა გამავლელ სესიაზე; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საქმეში მესამე პირად იმ საწარმოს, დაწესებულების ხელმძღვანელების ჩაბმას, რომელთა ბრძანებითაც მუშაკი სამუშაოდან გაათავისუფლეს კანონის უხეში დარღვევით, დაეკისროთ მათ იმ თანხის გადახდა, რომელიც სამუშაოზე აღდგენილ პირს უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური დროის ხელფასის სახით; მცდარად იქნეს მიჩნეული პრაქტიკა, როცა სასამართლოები მასობრივად იყენებენ მესამე პირებისადმი სარჩელის ღიად დატოვებას უფლებას; შესწავლილ იქნეს შრომის კანონმდებლობის დარღვევა იმ უწყებებში, სადაც შედარებით მეტია ასეთი ფაქტები, სათანადო წარდგინების მოსამზადებლად.

ღონისძიებათა ამ კომპლექსის განხორციელება საგრძნობლად აამაღლებს სასამართლოების როლს შრომის კანონმდებლობის დაცვის და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

# საქართველოს კონსტიტუციის მოსახლეობას

## პენსიების დანიშვნის, გამოანგარიშებისა და გაცემის წესი

პენსიის დანიშვნის საკითხს წყვეტს სახალხო დემოკრატიული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომთან შექმნილი პენსიის დანიშვნელი კომისია. მის შემადგენლობაში შედიან: სოცურუნველყოფის განყოფილების გამგე (თავმჯდომარე), საფინანსო განყოფილების გამგე და პროფკავშირის ორგანიზაციის წარმომადგენელი (წევრები). თუ პენსია ენიშნება სამხედრო მოსამსახურეს ან მის ოჯახს, კომისიის მუშაობაში მონაწილეობს აგრეთვე რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისარი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 9 აპრილის № 263 დადგენილებით უკვე აღარაა და დაწესებულებაში აუცილებელია გამოიყოს პასუხისმგებელი პირი (ადმინისტრაციის წარმომადგენელი) პენსიაზე გამსულელთა საბუთების მოსამზადებლად.

მუშას. მოსამსახურეს და მათი ოჯახის წევრებს (მარჩენლის გარდაცვალების გამო) განცხადება პენსიის დანიშვნის შესახებ შეაქვს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის სახელზე უკანასკნელ ხაზუშაო ადგილას.

ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან ერთად. განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში. აფორმებს საჭირო დოკუმენტებს და განცხადებას წარდგინებასთან ერთად უგზავნის სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებას განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ ადმინისტრაცია და პროფკავშირის კომიტეტი მიიჩნევენ, რომ პენსიის მთხოვნელს არა აქვს პენსიის მიღების უფლება, ამას წერილობით აცნობებენ განმცხადებელს, ამასთან მიუთითებენ უარის თქმის მიზეზებს.

თუ პენსიის მთხოვნელი არ ეთანხმება ადმინისტრაციისა და პროფკავშირის ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადებით უშუალოდ მიმართოს სსრკ-ის უსაუბრეს სოციალურ (საქალაქო) განყოფილებას.

წარდგინებას ან განცხადებას პენსიების დანიშვნის კომისია იხილავს ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების, მათ შორის დამატე-

ბითი დოკუმენტის წარდგენიდან ათი დღის ვადაში.

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება მოვალეა გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის ადმინისტრაციას აცნობოს, რომ მათ თანამშრომელს უარი ეთქვა პენსიის დანიშვნაზე, აღნიშნოს ამის მიზეზი, მის მიერ მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი და უკან დაუბრუნოს მათ წარდგენილი დოკუმენტები. კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო დემოკრატიული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომში. საპენსიო საკითხებზე საჩივრების განხილვა არ ექვემდებარება სასამართლოებს.

მოქმედი კანონმდებლობით პენსია ინიშნება განცხადების ან წარდგინების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში შეტანის დღიდან, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში იგი შეიძლება უფრო ადრეც დაინიშნოს. მაგალითად:

1. ინვალიდობის პენსია ინიშნება საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის მიერ ინვალიდობის დადგენის დღიდან, თუ ინვალიდობა დადგენილია ბიულეტენზე ყოფნის პერიოდში და პენსიის დასანიშნავად მიმართვა რეგისტრირებულია არა უგვიანეს 3 თვისა ინვალიდობის დადგენის დღიდან.
2. მარჩენლის გარდაცვალების გამო ოჯახს პენსია ენიშნება მისი გარდაცვალების დღიდან, თუ პენსია ითხოვს არა უგვიანეს 3 თვისა მარჩენლის გარდაცვალების შემდეგ.
3. სამხედრო მოსამსახურეს პენსია ენიშნება პოსტილიდან გამოწერის ან სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღიდან, თუ საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიის მიერ ინვალიდობის დადგენისა და პენსიის დასანიშნავად მიმართვიდან 3 თვეზე მეტი არ გავიდა.
4. სამხედრო მოსამსახურის ოჯახს პენსია ენიშნება სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების დღიდან, მაგრამ არა უმეტეს 12 თვისა პენსიის დასანიშნავად მიმართვამდე.

პენსიის დანიშვნის შემდეგ განცხადება პენსიის დანიშვნის შესახებ, ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი, აგრეთვე ამონაწერი კომისიის სხდომის ოქმიდან და გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნის თაობაზე ინახება სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში. ზონის ინსპექტორთან, პენსიონერის საპენსიო საქმეში.

პენსიის დანიშვნის შემდეგ პენსიონერს ეძლევა „საპენსიო მოწმობა“.

უცხოელ მოქალაქეს და მის ოჯახს პენსიებს უნიშნავენ მოკავშირე რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროები.

მოსუცებულობის პენსია საერთო წესით ენიშნებათ: ქალებს 55 წლის ასაკში, თუ მათ აქვთ არანაკლებ 20 წლის შრომის სტაჟი. მამაკაცებს 60 წლის მიღწევის შემდეგ, თუ მათი შრომის სტაჟი შეადგენს 25 წელს.

ქალს, რომელმაც შობა 5 ან მეტი შვილი და აღზარდა ისინი 8 წლის ასაკამდე, უფლება აქვს პენსია მიიღოს შეღავათიანი პირობებით, 50 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, — თუ აქვს 15 წლის შრომის სტაჟი.

კანონი ითვალისწინებს აგრეთვე შეღავათებს მოსუცებულობის პენსიის დანიშვნისას იმ პირობისათვის, რომლებსაც მუშაობა უწყვეტ შრომის მავნე და მძიმე პირობებში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულია ასეთ პროფესიათა ჩამონათვალის სია № 1 და № 2. № 1 სით ამ პროფესიებზე მომუშავე ქალს პენსია ენიშნება 45 წლის ასაკში, თუ აქვს არანაკლებ 15 წლის შრომის სტაჟი, ხოლო მამაკაცს 50 წლის ასაკში, თუ აქვს 20 წლის შრომის სტაჟი. № 2 სიის მიხედვით ქალს პენსია ენიშნება 50 წლის ასაკში, თუ აქვს 20 წლის შრომის სტაჟი, ხოლო მამაკაცს 55 წლის ასაკში, თუ აქვს 25 წლის შრომის სტაჟი.

შეღავათიანი პირობებით პენსიის დანიშვნისათვის აუცილებელია შრომის სტაჟის ნახევარი ნამუშევარი იყოს ისეთ სამუშაოზე, რომელიც იძლევა შეღავათიანი პირობებით პენსიის მიღების უფლებას.

მოსუცებულობის პენსიის მიღების უფლება შეღავათიანი პირობებით აქვს აგრეთვე: უსინათლო მუშა-მოსამსახურეს, ლილიპუტს და სხვა.

მოსუცებულობის პენსიის მინიმალური ოდენობაა თვეში 45 მანეთი, მაქსიმალური — 120 მანეთი.

საერთო დაავადებით ინვალიდობის პენსიის დასანიშნავად აუცილებელია ასაკის შესაბამისი შრომის სტაჟი და საექიმო-შრომითი

საექსპერტო კომისიის მიერ განსაზღვრული ინვალიდობის ჯგუფი — I, II ან III.

პენსიის მინიმალურ ოდენობად საერთო დაავადების შემთხვევაში დადგენილია I ჯგუფის ინვალიდისათვის — 70 მანეთი, II ჯგუფისათვის — 45 მანეთი, ხოლო III ჯგუფისათვის — 21 მანეთი. მაქსიმალურ ოდენობად I და II ჯგუფის ინვალიდისათვის — 120 მანეთი ხოლო, III ჯგუფისათვის — 60 მანეთი.


სამამულო ომის ინვალიდს და სხვა ინვალიდს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, ასევე მუშას და მოსამსახურეს, რომელთა ინვალიდობაც გამოწვეულია შრომითი დასახიჩრებით ან პროფესიული დაავადებით, ინვალიდობის პენსიები ენიშნებათ მუშაობის სტაჟის მიუხედავად.

შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების გამო ინვალიდობის პენსიის დანიშვნისას პენსიის მინიმალური ოდენობა შეადგენს: I ჯგუფის ინვალიდებისათვის 70 მანეთს თვეში, II ჯგუფისათვის — 45 მანეთს, III ჯგუფისათვის — 25 მანეთს. პენსიის მაქსიმალური ოდენობაა: I და II ჯგუფის ინვალიდისათვის თვეში 120 მანეთი, ხოლო მესამე ჯგუფისათვის — 60 მანეთი.

სამამულო ომის ინვალიდისათვის, რომელიც დაინვალიდდა სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურში სხვა მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუსიის ან დასახიჩრების შედეგად, ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების გამო, პენსიის მინიმალურ ოდენობად დაწესებულია: I ჯგუფის ინვალიდისათვის — 99 მანეთი, II ჯგუფისათვის — 77 მანეთი, III ჯგუფისათვის — 40 მანეთი. მაქსიმალური ოდენობაა I და II ჯგუფის ინვალიდისათვის თვეში 120 მანეთი, III ჯგუფისათვის — 60 მანეთი.

მარჩენლის საერთო დაავადების შედეგად გარდაცვალების გამო პენსია ინიშნება მაშინ, თუ მარჩენალს გარდაცვალების დროისათვის ჰქონდა ასაკის შესაბამისი სტაჟი. პენსია ენიშნებათ გარდაცვლილის ოჯახის შრომისუნარმოკლებულ წევრებს, რომელთა შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა გარდაცვლილი მარჩენლის ხელფასი ან პენსია.

პენსია გამოიანგარიშება მარჩენლის გამო-მუშავეებიდან — პროცენტობით. ოჯახის წევრთა რაოდენობასთან შედარებით. ამ პენსიის მინიმალური ოდენობა ოჯახის 3 ან მეტ შრომისუნარო წევრზე შეადგენს თვეში 70 მანეთს, ორ წევრზე — 45 მანეთს, ერთ წევრზე — 28 მანეთს. მაქსიმალური ოდენო-



ბ. ოჯახის ორ ან მეტ წევრზე შეადგენს თვეში 120 მანეთს, ოჯახის ერთ წევრზე — 60 მანეთს.

შრომითი დასახიჩრებისა და პროფესიული დაავადების შედეგად გარდაცვლილი მუშის, მოსამსახურის, სამხედრო მოსამსახურის, აგრეთვე გარდაცვლილი პენსიონერის ოჯახს პენსია ენიშნება მუშაობის სტაჟის მიუხედავად. ასეთ შემთხვევაში მარჩენლის გარდაცვალების გამო დანიშნული პენსიის მინიმალური ოდენობაა: ოჯახის სამ ან მეტ შრომისუუნარო წევრზე — თვეში 70 მანეთი, ოჯახის ორ წევრზე — 45 მანეთი, 1 წევრზე — 28 მანეთი. მაქსიმალური: ოჯახის ორ ან მეტ წევრზე — თვეში 120 მანეთი, ოჯახის ერთ წევრზე — 60 მანეთი.

მუშასა და მოსამსახურეს, რომელსაც არა აქვს პენსიის მისაღებად საჭირო სტაჟი, პენსია ენიშნება არასრული სტაჟით. ასეთი პენსია ინიშნება როგორც მოხუცებულობის და ინვალიდობის, ასევე მარჩენლის დაკარგვის გამო, თუ არსებობს შედეგი პირობები:

ა) მუშამ ან მოსამსახურემ მუშაობის პერიოდში მიადწია პენსიის დასანიშნავად საჭირო ასაკს და არა აქვს სრული პენსიის მისაღებად საჭირო სტაჟი, მაგრამ იმუშავა სულ ცოტა 5 წელი, აქედან სულ ცოტა 3 წელი — უშუალოდ პენსიის დასანიშნავად მიმართვამდე, ამასთან, პენსიის დასანიშნავად მიმართა მუშაობის პერიოდში ან არა უგვიანეს ერთი თვისა მუშაობის შეწყვეტის დღიდან. სამწლიან პერიოდში დაიშვება წევრბლები მუშაობაში, რომელიც საერთო ჯამით არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

ბ) მუშას და მოსამსახურეს, რომელიც მუშაობის პერიოდში გახდა I ან II ჯგუფის ინვალიდა;

გ) შრომისუუნარო პირს, რომელსაც მარჩენალი გარდაეცვალა მუშაობის პერიოდში და არ ჰქონდა სრული პენსიის მისაღებად საჭირო შრომის სტაჟი.

პენსიონერს, რომელიც მუდმივად ცხოვრობს სოფლად, სოფლის მეურნეობასთან არის დაკავშირებული და სარგებლობს კანონით გათვალისწინებული ნორმაზე მეტი საკარმიდამო მიწის, ნაკვეთით, წენსია (მოხუცებულობის, ინვალიდობის და მარჩენლის დაკარგვის გამო) ენიშნება დაწესებული ნორმის 85 პროცენტის ოდენობით.

მუშაობის სტაჟში, რომელიც იძლევა სახელმწიფო პენსიის მიღების უფლებას, ითვლება უკმეტღვარი მუშაობა, რომლისთვისაც მუშაკე უტყვევდება სახელმწიფო სოციალური დაწესებულება, მუშაობა კოლმეურნეობის

თავმჯდომარედ ან მის მოადგილედ, თუ ეს პირი ეკუთვნოდა მუშა-მოსამსახურის კატეგორიას და კოლმეურნეობაში გაიგზავნა საბჭოთა ან პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებით, მუშაობა მანქანა-ტრაქტორთა სადგურში, სამხედრო სამსახურში, სწავლა უმაღლესსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და სხვა.

პირს, თუ არა აქვს დოკუმენტები მუშაობის ფაქტიური სტაჟის შესახებ და შეუძლებელია მათი მიღება დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის სრული დოკიდაციის ან საარქივო მონაცემების უქონლობის გამო, კანონმდებლობით გათვალისწინებულია პენსიების დამნიშვნელი კომისიის მიერ პენსიის დასანიშნავად საჭირო შრომის სტაჟის შევსება მოწმეთა ჩვენებით.

ამ წესით სტაჟის დადგენის აუცილებელი პირობაა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ იმ პერიოდის საარქივო მასალები, რომელთა დადგენასაც განმცხადებელი მოითხოვს, დაცული არ არის და ორი მოწმე, რომელთაგანაც ერთ-ერთს მაინც აქვს იმ პიროვნებასთან ერთ დაწესებულებაში ან სისტემაში მუშაობის დამადასტურებელი საბუთი, რომელსაც შრომის სტაჟს უმოწმებს.

კანონით მოწმეთა ჩვენებით შეიძლება იმდენივე სტაჟის დადგენა, რამდენიც განმცხადებელს აქვს ოფიციალური საბუთებით, მაგრამ არა უმეტეს პენსიის დასანიშნავად საჭირო შრომის სტაჟის ნახევრისა.

გამონაკლისი დაშვებულია, როცა სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები არ შენახულა დიდი ხანმართო ომის პერიოდში სსრ კავშირის შესაბამისი ტერიტორიის მტრის მიერ დროებითი ოკუპაციის, ევაკუაციის ან სტიქიური უბედურების გამო (ხანძარი, წყალდიდობა და სხვა). მოკავშირე რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებს უფლება აქვთ ნება დაართონ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს მოწმეთა ჩვენებით დაადგინონ პენსიის დასანიშნავად საჭირო შრომის სტაჟის ნახევარზე მეტი, აგრეთვე სტაჟი, როცა მოწმეს არა აქვს განმცხადებელთან ერთობლივი მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პენსიები გამოიანგარიშება პენსიის დასანიშნავად მიმართვამდე უკანასკნელი 12 თვის ან უკანასკნელი 10 წლიდან ზედიზედ ნებისმიერი 5 წლის საშუალო თვიური ფაქტიური გამომუშავების მიხედვით.

გამომუშავებაში, რომლითაც იანგარიშება პენსია, შედის უკველგვარი ზელფასი, რომელსაც მოქმედი წესით ერიცხება სადაზღვე-

ვო შესატანი, გარდა ხელფასისა საზეგანაკვეთო მუშაობისათვის, შეთავსებისათვის და ყველა ერთდროული გადახდისა.

პენსია გადაიანგარიშება, თუ პენსიონერი პენსიის დანიშვნის შემდეგ 2 წლის განმავლობაში იმუშავეს უფრო მაღალ გამომუშავებაზე, ვიდრე პენსიის დანიშვნის დროს ჰქონდა.

სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები პენსიას გასცემენ ყოველთვიურად, მათ მიერ დადგენილ ვადებში, მაგრამ არა უგვიანეს იმ თვის მომდევნო თვის 5 რიცხვისა, რომლის პენსიების გაცემაც ხდება.

მომუშავე პენსიონერს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების დავალებით პენსიებს აძლევენ პროფკავშირული ორგანიზაციები სამუშაო ადგილზე ხელფასის მხედველობაში მიღებით, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მეშვეობით. სოციალური დაზღვევის შენატანების ხარჯზე.

პენსიის დარიცხული თანხა, რომელიც პენ-

სიონერმა თავის დროზე არ მოითხოვა, გაიცემა გასული დროისათვის არა უმეტეს სამი წლისა პენსიის მისაღებად მიმართვამდე.

პენსიის ის თანხა, რომელიც პენსიონერს თავის დროზე არ მიუღია პენსიის დაპენსიონირების ან გამცემი ორგანოს მიწვევით, გაიცემა გასული დროისათვის, ვადის შეუსრულებად.

შემოდანიშნულ შემთხვევებში პენსიის კუთვნილი თანხა, არა უმეტეს 12 თვისა, გაიცემა ერთდროულად, დანარჩენი კი ყოველთვიურად თანაბარ ნაწილებად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 თვის პენსიას.

პენსიის თანხები, რომელიც პენსიონერს ეკუთვნოდა და მიუღებელი დარჩა გარდაცვალების გამო, არ შევა მემკვიდრეობის შემადგენლობაში და მიეცემა მხოლოდ ოჯახის იმ წევრს, რომელიც განეკუთვნება მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიით უზრუნველსაყოფ ოჯახის წევრს. მაგრამ მშობლებსა და მეუღლეს უფლება აქვთ მიიღონ ეს თანხები იმის მიუხედავად, არიან თუ არა შრომის უნარმოკლებულნი და იმყოფებოდნენ თუ არა გარდაცვლილის კმაყოფაზე.

## ზოგიერთი სიახლე საქონის კანონმდებლობაში

ოჯახის განმტკიცება, ბავშვებისა და დედების ინტერესების დაცვა საბჭოთა სახელმწიფოს დაუცხრომელი ზრუნვის საგანია. სახელმწიფო დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს იმისათვის, რომ ქალს, დედას ჰქონდეს ბავშვების აღზრდისა და ბედნიერი დედობის ხელსაყრელი პირობები, უწყევს მატერიალურ დახმარებას ორსულ ქალებს. მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს.

1974 წლის 1 ოქტომბრიდან შემოღებულია ფულადი დახმარება ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისათვის, ხოლო 1980 წლის 1 იანვრიდან დაწესდა ყოველთვიური დახმარება ინვალიდი ბავშვებისათვის 16 წლის შესრულებამდე (აქამდე ყოველთვიური დახმარება ბავშვობიდან I და II ჯგუფის ინვალიდებს ეძლეოდათ 16 წლის ასაკის შემდეგ).

დედათა და ბავშვთა მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხებს საგანგებო ყურადღება დაუთმო სკკ XXVI ყრილობამ. დედებისათვის ზრუნვის ახალი გამოხატულებაა სკკ ცენტრალური კომიტეტისა

და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1931 წლის 21 იანვრის დადგენილება „ბავშვიანი ოჯახებისადმი სახელმწიფო დახმარების გააღვივების ღონისძიებათა შესახებ“. იგი ითვალისწინებს დამატებით ღონისძიებებს ოჯახების ცხოვრების დონის ასამაღლებლად, ბავშვთა საზოგადოებრივი და საოჯახო აღზრდის რაციონალური შეხამების უზრუნველსაყოფად. მომუშავე დედების მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ახალგაზრდა ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

დადგენილებით შემოღებულია შემდეგი სიახლენი:

სულ ცოტა ერთი წლის საერთო სტაჟის მქონე მომუშავე დედებს, აგრეთვე ქალებს, რომლებიც სწავლობენ წარმოებას მოწყვეტით, ნაწილობრივ უნაწლავურდებო შევბულება ბავშვის მოსავლელად. სანამ იგი ერთი წლისა გახდება. შევბულება მათ ეძლევათ 50 მანეთის ოდენობით ციმბირის, შორეულ აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ რაიონებში



და თვეში მანეთის ოდენობით დაწარჩენ რაიონებში.

ეს ღონისძიება 1981 წლიდან განხორციელდება ეტაპობრივად. პირველ რიგში შორეული აღმოსავლეთის, ციმბირის და ჩრდილოეთის რაიონებში, ხოლო შემდეგ — ქვეყნის დაწარჩენ რეგიონებში.

ჩვენს რესპუბლიკაში მისი განხორციელება გათვალისწინებულია დაიწყოს 1988 წლის 1 ნოემბრიდან.

მომუშავე ქალებს ერთდროულად ენიჭებათ უფლება მიიღონ დამატებითი უხელფასო შვებულება ბავშვის მოსაყვლელად. სანამ იგი წლინახევრისა, შემდეგ კი ორი წლისა გახდება. ამასთან ქალებს ენაზეათ უწყვეტი შრომისა და სპეციალობით მუშაობის სტაჟი.

მეთორმეტე ხუთწლიელში კვლავ განხორციელდება ღონისძიებები ახალშობილი და მცირეწლოვანი ბავშვების მოვლის მიზნით შვებულების ხანგრძლიობის გადიდებისა და მისი ანაზღაურების ღონის ასამაღლებლად.

მეთორმეტე და მეთორმეტე ხუთწლიელდებში კიდევ უფრო გაფართოვდება საბავშვო ბაღებისა და ბაგების, გახანგრძლივებული დღას სკოლებისა და ჩგუფების, პიონერთა ბანაკებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ქსელი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალით გაითვალისწინონ მუდმივ და სეზონურ სკოლამდელ დაწესებულებებზე არსებული მოთხოვნილების უკეთაზე სრული დაკმაყოფილება. ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ უახლოესი წლების მანძილზე უნდა აღმოიფხვრას მათი უკმარობა რაიონებში, სადაც მაღალია სასოგადოებრივ წარმოებაში ქალთა დასაქმების დონე.

დადგენილებით გათვალისწინებულია საჭიროების მიხედვით შეიქმნას სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი ან ჩგუფები. სადაც ბავშვები იქნებიან მთელი დღე-ღამის განმავლობაში, მათ შორის კვირაობით და უქმედღებში, უფრო ფართოდ დაინერგება ადგილების გაცვლა რაიონულ და საუწყებო საბავშვო ბაღებსა და ბაგებში.

საბავშვო ბაგების, ბაგა-ბაღების, ბაგის ჩგუფებისა და ბავშვთა სახლების კვალიფიციური კადრებით უზრუნველსაყოფად გაიწყდა, მეთორმეტე ხუთწლიელში გავრცელდეს ამ დაწესებულებაში მომუშავე მედიკურულ საბავშვო ბაღების აღმზრდელებისათვის დაწესებული 6 საათიანი სამუშაო დღისა და 38-ღიანი შვებულების ხანგრძლივობა.

მეთორმეტე ხუთწლიელში გათვალისწინებულია გაიზარდოს სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ხარჯის ნორმები საშუალოდ 10-15 პროცენტით. აგრეთვე გათავისუფლდნენ ბაგებში, ბაღებსა და სკოლა-ინტერნატებში ბავშვთა ყოლის გადასახადისაგან ოჯახები, რომელთა საშუალო ერთობლივი შემოსავალი ოჯახის წევრზე გაანგარიშებით თვეში 60 მანეთს არ აღემატება.

მეთორმეტე ხუთწლიელში გაიზარდება სკოლა-ინტერნატებში, სკოლებთან არსებულ ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში კვების ხარჯების ნორმები, აგრეთვე გათავისუფლდებიან ბავშვების სკოლა-ინტერნატებში შენახვის ხარჯების გადახდისაგან ის ოჯახები, რომელთა საშუალო ერთობლივი შემოსავალი ერთ წევრზე გაანგარიშებით თვეში 60 მანეთს არ აღემატება.

მეტი უურადლება დაეთმობა პიონერთა სახლებებისა და პიონერთა სახლების, სპორტული სკოლების, სამეცნიერო ტექნიკური სადგურებისა და სხვა სპეციალიზებული საბავშვო დაწესებულებების საქმიანობას, განსაკუთრებით ბავშვთა საცხოვრებელი და სწავლების ადგილის მიხედვით.

იმ მიზნით, რომ ქალებს შეექმნათ ისეთი პირობები, რაც მათ დაეხმარება შეუხამონ სასოგადოებრივ წარმოებაში შრომა შვილების აღზრდას მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და განხორციელონ ღონისძიებანი, რათა ფართოდ გავრცელდეს არასრული სამუშაო დღის ან არასრული სამუშაო კვირის ცვალებადი (მოქნილი) გრაფიკით ქალთა მუშაობის, აგრეთვე შინ მუშაობის პრაქტიკა.

1981 წლიდან ქალებს, რომლებსაც 12 წლამდე ასაკის ორი ან მეტი შვილი ჰყავთ, მიეცემათ დამატებითი 3 დღის ანაზღაურებული შვებულება (იმ პირობით, რომ შვებულებას საერთო ხანგრძლივობა არ აღემატებოდეს 28 კალენდარულ დღეს). მიენიჭებათ ზაფხულში ან მათთვის მოსახერხებელ სხვა დროს ყოველწლიური შვებულების მიღების უპირატესი უფლება და აღმინისტრაციასთან შეთანხმებით ბავშვის მოვლის დამატებითი უხელფასო შვებულების უფლება ორ კვირამდე ხანგრძლივობით იმ პერიოდში, როცა საწარმოო პირობები იძლევა ამის შესაძლებლობას.

მეთორმეტე ხუთწლიელში გათვალისწინებულია 14 დღემდე გადიდდეს ავადმყოფი ბავშვის მოვლის ანაზღაურებული პერიოდის ხანგრძლივობა, ამასთან ანაზღაურდეს მოქმედ კონონდებლობასთან შედარებით დამატებითი

ქვემოთაა  
საქართველო

დღეები ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით.  
მეთერთმეტე ხუთწლიელში განხორციელდება ბავშვიანი ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფის ამოღების მთელი რიგი ღონისძიებანი, სახელდობრ:

მომუშავე ან წარმოებას მოწყვეტილ მოსწავლე დედებს მიეცემათ დახმარება 50 მანეთის ოდენობით პირველი შვილის გაჩენისას და 100 მანეთი მეორე და მესამე შვილის გაჩენისას, ამასთან უცვლელი დარჩება დახმარების მოქმედი ოდენობა მეოთხე და მომდევნო შვილების გაჩენისას;

თუ 1981 წლამდე მარტოხელა დედებს სახელმწიფო დახმარება თვეში ერთ შვილზე ეძლეოდათ 5 მანეთის ოდენობით, 1981 წლის 1 დეკემბრიდან ამ დახმარების ოდენობა გაიზარდება თვეში 20 მანეთამდე თითოეულ შვილზე და მიეცემათ იგი, სანამ ბავშვი 14 წლის ასაკს (მოსწავლე, რომელიც სტიპენდიას არ იღებს, 18 წლის ასაკს) მიაღწევს. (დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით დახმარება ბავშვთა მხოლოდ ბავშვის 12 წლის შესრულებამდე და ინიშნება ერთ ბავშვზე 5 მანეთის ოდენობით, 2 ბავშვზე — 7 მანეთი და 50 კაპიკი, ხოლო 3 და მეტ ბავშვზე — 10 მანეთის ოდენობით თვეში);

1981 წლის 1 ნოემბრიდან არასრული სტაჟით ასაკის პენსიის დანიშვნის დროს დამატებითი შედგავალები ექნებათ ქალებს, რომლებმაც აღზარდეს 5 ან მეტი შვილი ან ბავშვობიდან ინვალიდი ბავშვები 8 წლის ასაკამდე. ამ პირებს არასრული სტაჟით პენსია დაინიშნებათ ყველა შემთხვევაში, თუ აქვთ არანაკლებ 5 წლის საერთო შრომის სტაჟი, მიუხედავად იმისა, როდის მიაღწიეს პენსიის დასანიშნავად საჭირო ასაკს — მუშაობის პერიოდში თუ მისი შეწყვეტის შემდეგ და პენსიის დასანიშნავად მიმართვის წინ აქვთ თუ არა 3 წლის განუწყვეტელი შრომის სტაჟი.

მეთერთმეტე ხუთწლიელში გათვალისწინებულია ღონისძიებანი, რათა ბავშვიან ოჯახებს და 80 წლამდე ასაკში ახალ დაქორწინებულებს მიეცათ მეტი უპირატესობა სახელმწიფო სავსოვრებელი ფართობის მიღების დროს, აგრეთვე ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობისას. გადაწყვეტილია მეთერთმეტე ხუთწლიელში აღარ გადახდებინონ ახალდაქორწინებულებს მცირეოჯახიან მოქალქეთა გადასახადი მათი ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში;

მეთერთმეტე ხუთწლიელში მეუღლეთა სახელმწიფო დახმარება და მეთუღლეთა სახელმწიფო დახმარება

შაობის არანაკლებ ორი წლის შრომის წესი და სამუშაო ადგილზე ხასიათდება კარგად. საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით უფლება აქვს ისარგებლოს 1500 მანეთამდე უპროცენტო სესხით 8 წლის ვადით. თუ ახალ დაქორწინებულ მეუღლეებს შეეძინებათ მეორე ბავშვი, ვალის დასაფარავად ჩათვლებათ 200 მანეთი, ხოლო მესამე ბავშვის დაბადების შემთხვევაში — 300 მანეთი;

1981 წლიდან დაწყებული სტიპენდია მიეცემა უმაღლესი, საშუალო სპეციალური სასწავლებლისა და პროფტექნიკური სასწავლო დაწესებულების ყველა სტუდენტსა და მოსწავლეს, რომელთაც ჰყავთ შვილი და სასწავლო დისციპლინებში აქვთ დადებითი შეფასება;

მიზანშეწონილად არის მიჩნეული კვლევა-განხორციელებად საბავშვო ასოტიმენტის საქონლის შეღავათიანი სახელმწიფო საცალო ფასების პოლიტიკა. ამოღდეს საბავშვო საქონლის გამოშვები სამინისტროებისა და საწარმოების პასუხისმგებლობა ამ საქონელზე ოჯახების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, არ დაუშვან იმ იაფი საბავშვო საქონლის წარმოების შემცირება, რომელზეც არის მოსახლეობის მოთხოვნილება.

დადგენილებით დასახულია ამოცანა: სერიოზულად გაუმჯობესდეს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობა საოჯახო შრომის შემსუბუქებისა და საოჯახო მუხრენობის გაძლიერებისათვის მოსახმარი დროის შემცირების მიზნით.

განხორციელდეს ღონისძიებანი ორსული ქალებისა და ბავშვთა ჩანმრთელობის დაცვა-განმტკიცებისათვის. გათვალისწინებულია მეთერთმეტე ხუთწლიელში შემოღებულ იქნეს პიონერთა ბანაკების საფურცების ანაზღაურების დამატებითი შეღავათები, გაფართოვდეს პანსიონატებისა და საოჯახო დასვენების სხვა

გამაჩანსადებელ დაწესებულებათა ქსელი: მეტი ყურადღება დაეთმოს ნაირნაირი ასოტიმენტის ნახევარფაბრიკატებისა და სხვა კულინარული ნაწარმის ხარისხის ამაღლებას. ფართოდ დაინერგება შეკვეთების საფუძველზე საქონლის (მათ შორის საბავშვო ასოტიმენტის საქონლის) ბინაზე და სამუშაო ადგილზე მიტანა, გაუმჯობესდეს კომუნალურ საყოფაცხოვრებო მომსახურება. რეკომენდებულია დაარსდეს სპეციალიზებული მაღაზიები სახელწოდებით: „დედათა და ბავშვთა საჭიროება“, „ბავშვთა სამყარო“.



მხოლოდ საბავშვო ასორტიმენტის მაღალხარისხიანი საქონელი;

ორსული ქალებისა და ბავშვთა ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებანი ქალთა კონსულტაციების, საბავშვო პოლიკლინიკებისა და გინეკოლოგიური დაწესებულებების მუშაობის გასაუმჯობესებლად;

მეთორმეტე ხუთწლიელში 70 დღემდე გადიდეს მომუშავე ქალთა მშობიარობამდე შევარდების ხანგრძლივობის ანაზღაურება;

ამაღლდეს ბავშვთა საკვები პროდუქტების ხარისხი და გაფართოვდეს ასორტიმენტი. მათი გამოშვება შეუფარდდება სხვადასხვა ასაკის ბავშვთა მოთხოვნილებებს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რძის ნაწარმისა და მაღალხარისხიანი ხილბოსტნეულის წვენებისა და კონსერვების გამოშვებას;

ბავშვთა უფრო სრულყოფილი დასვენების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით არდაღეგების პერიოდში შესაფერისი პირობების შექმნის მიზნით მეთერთმეტე ხუთწლიელში წესდება პიონერთა ბანაკების საგზურების ღირებულების გადახდის დროს დამატებითი შეღავათები. კერძოდ, ამ საგზურების ღირებულების ნახევარს მშობლები საერთოდ არ გადაიხდიან, ხოლო ღირებულების დანარჩენ ნაწილს გადაიხდიან მხოლოდ 20 პროცენტის ოდენობით;

ოჯახებს, რომელთაც ორი და მეტი ბავშვი ჰყავთ, მიენიჭებათ უპირატესობა, პანსიონატებსა და გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში დასასვენებლად საოჯახო საგზურების შეძენის დროს. ასეთ ოჯახებს შეღავათები ექნებათ აგრეთვე მებაღეობა-მეხობის ამხანაგობაში შესვლის დროს.

შესაბამის ორგანიზაციებს დაევალოს მეთლიტერატურა გამოსცენ დემოგრაფიის, ოჯახის, ბავშვთა აღზრდის, მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცების, სრულფასოვანი დასვენებისა და თავისუფალი დროის ორგანიზაციის საკითხებზე ოჯახის, როგორც სოციალისტურა საზოგადოების ერთ-ერთი უმაღლესი მორალური ღირებულების განმტკიცების მიზნით აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების საკითხებზე.

დადგენილებით გათვალისწინებულია სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და სსრ კავშირის პროტექტორი განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაონ სასწავლო პროგრამები ზოგადსაგანმანათლებ-

ლო საშუალო სკოლების, აგრეთვე საშუალო სპეციალური და პროტექტორი სასწავლებლების უფროს კლასებში საოჯახო ცხოვრების ფსიქოლოგიისა და ეთიკის, ქალ-ვაჟთა ჰიგიენისა და აღზრდის, აგრეთვე სხვა აუცილებელი საკითხების შესახებ.

დადგენილებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ საკავშირო ალკ კენტრალურმა კომიტეტმა გააუმჯობესოს ახალგაზრდობაში ცხოვრების სოციალისტური წესის პროპაგანდა, გააძლიეროს და აამაღლოს ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის, ვაგონების, ქალების, დედების და, საერთოდ, უფროსებისადმი პატივისცემის გრძნობა.

1981 წლის იანვარში სკკ კენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს კიდევ ერთი დადგენილება „მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ღრმა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა და იხვეწება სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს მოხუცებულობაში, ავადმყოფობის, შრომისუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის შემთხვევაში საბჭოთა მოქალაქეების მატერიალური უზრუნველყოფის უფლების რეალიზაციას.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულია 1981 წლის 1 ნოემბრიდან გაუდიდდეთ ასაკის გამო პენსიების მინიმალური ოდენობა მუშებსა და მოსამსახურეებს თვეში 50 მანეთამდე, აგრეთვე გაიზარდოს ინვალიდობისა და მარჩენლის დაკარგვის გამო პენსიების მინიმალური ოდენობა. მიღებულია კოლმეურნეობათა და საკავშირო საბჭოს წინადადება, რომ მეთერთმეტე ხუთწლიელში გაუდიდდეთ ასაკის გამო პენსიის მინიმალური ოდენობა, კოლმეურნეობის წევრებს თვეში 40 მანეთამდე და ამავე დროს გაიზარდოს ინვალიდობის და მარჩენლის დაკარგვის გამო დანიშნული პენსიების მინიმალური ოდენობა.

მიმდინარე ხუთწლიელში გაუდიდდება წინათ დანიშნული პენსიების ოდენობა პენსიონერ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ 10 წლის და უფრო მეტი ხნის წინათ, ამასთან გათვალისწინებულია მიუახლოვდეს მათი პენსიები ანალოგიური კვალიფიკაციის მუშაკებისათვის ამაჟამად დანიშნული პენსიების დონეს. უწინარეს ყოვლისა, ეს ღონისძიება განხორციელდება პენსიონერებისათვის, რომლებიც თვეში 60 მანეთზე ნაკ-

ლებ პენსიას იღებენ. ამ ღონისძიებათა განხორციელება გაგრძელდება მეთორმეტე ხუთწლეულში.

მიმდინარე ხუთწლეულში დასახულია განხორციელდეს ღონისძიებანი დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს მიეცათ მითითება უზრუნველყონ ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების ქსელის არსებითი გაფართოება, მათი კეთილმოწყობისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ღონის ამაღლება. გათვალისწინებულია მეთერთმეტე ხუთწლეულში საშუალოდ 20-25 პროცენტით გაიზარდოს ღრმა მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში კვების, მედიკამენტებისა და სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილი ხარჯის ნორმები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და

განახორციელონ ღონისძიებანი სასარგებლო საზოგადოებრივ შრომაში პენსიონერთა ფართოდ ჩაბმისათვის.

დადგენილება ავალებს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკონებს მეტი ყურადღება დაუთმონ ომისა და შრომის ვეტერანთა, შრომისუუნარო მოქალაქეთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, მკაცრი კონტროლი განახორციელონ იმისათვის, რომ ისინი განუხრეველად სარგებლობდნენ კანონმდებლობით დადგენილი შეღავათებითა და უპირატესობებით.

ირინე ლლონძი,

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პენსიებისა და დახმარებების სამმართველოს უფროსის მოადგილე. სახელმწიფო პენსიების განყოფილების უფროსი.

# პირველსამყრელი<sup>1</sup>

## სურათი შარსულიდან

ეს ამბავი კარგა ხნის წინ მოხდა.

ღელისვაკეში ვიყავი ასული მეზობლური დავის მოსაგვარებლად. ჩა-  
პოსვლისას გუდანში მიმავალი მანქანა შემხვდა... განახსენდა: გადუას  
იქტვა — „თუ მნახავს კარგი იქნებოდა, საენე მაცვსო“.

გადუა თავისი ოჯახობით მთავრობის მიერ აშენებულ ორსართულიან  
სახლში გადმობარგდა. მისი ბანიანი სახლის ადგილას ახალი გომურის  
საძირკველი იყო გაჭრილი.

მიუხედავად ზაფხულის მზიანი დღისა, გადუა ხევსურული, უხეში  
ტილოს პერანგით იჯდა სახლის წინ და გუდანის გაღმა სოფელს, ჭიკა  
გაჰყურებდა.

ხმელი, მაღალი კაცია გადუა ჭინჭარაული. სიბერეს ოდნავ ბეჭებში  
მოუხრია, მაგრამ სიმხნევე ისევ მოსდევს. უღვაშები მოკლედა აქვს შეკ-  
რეჭილი და ზევით აპრეხილი; კეხიანი ცხვირი და მოუსვენარი, ხუმრობის  
მოსმენის დროს მუდამ მომღიმარე თვალები აქვს. საერთოდ კეთილი ბუ-  
ნებისაა ეს ოთხმოც წელს გადაცილებული ხევსურეთის ბრძენი ხევისბერი.

ფიქრობდი, რა უნდა გასჭირვებოდა ყოველგვარი საქმის სხვის დაუხ-  
მარებლად მომგვარებელ გადუას.

— გამარჯვება, გადუა ბიძა! — მივესალმე და ხელი ჩამოვართვი.

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, მაგვიხვე მშვიდობით! — წამოდგა გა-  
დუა. — აბა, როგორ ხართ, რა ამბავი ბარისახოს!

ერთმანეთი მოვიკითხეთ და გადუამ ხელი მომიკიდა, სახლში შემიყვანა.

გადუას რძალმა, ბაჭყურას მეუღლემ, პური, ყველი, ერბო და ლუდი  
დაგვიდგა მაგიდაზე.

ვატყობდი, სანამ ლუდი ლაპარაკის გუნებას არ გაუხსნიდა, გადუა არ  
ჩქარობდა და ისევ მე დავიწყე.

— გადუა ბიძა, მე შენთან ვაპირებდი საკითხავად მოსვლას, და შენ  
ბე რაღაცაში დაგჭირვებია რა ისე ეტყობა.

გადუას ჩაეღიმა — „რა აქიმი დასწეულდესო“... ხო გაგიგონავ, ეგრეა  
ეხლა ჩემი საქმე, მაგრამ მილიციას რაღა გაგიჭირდათ საჩემო.

— გადუა ბიძა, სხვაგან არსად, მაგრამ აი მთაში კი გვჭირდება ხოლ-  
მე თქვენი დახმარება. ხომ ხედავ, ხალხი საძოვრებისა და სათიბების გუ-  
ლისთვის რა დღეშია, დღეს ღელისვაკეში ვიყავი, იქაც უჩხუბიათ სათიბე-  
ბის გამო. თქვენ უფრო კარგად იცით, მოხუცებმა, მამულები ვის სად რა  
ჰქონდა ადრე, ან ეხლა ვის რა ეკუთვნის. ერთხელ დავუძახოთ, შევარცხვი-  
ნოთ, დავაფიცოთ, თორემ ყველაფერს ქაღალდზე ხომ არ დავწერთ. მეც  
მეუხერხულემა ჩემი ხალხისათვის ამ საქმეზე ხელწერილების ჩამორთმე-  
ვა, სხვები რას იტყვიან — აღარც ჯვარი სწამთ, აღარც ღმერთი და აღარც  
ჭკვიანური სიტყვის მთქმელი კაცი ჰყავთო.

<sup>1</sup> ხევსურული წესით მკვლელობის გაბათილება სისხლის აულებლად.

მის სატკივარს რომ შევეხე, გადუას გული ჩასწყდა, შემომხედა.

— წინათ რო ვცხოვრობდით, იმის მეოცედი აღარ ცხოვრობს ეხლა ხევსურეთში. მამულები ადრეც ამდენი გვეკონდა, მაგრამ ხალხი ამას არ აკეთებდა, ეხლა რომ აკეთებს. მთლად ცხვარ-მეცხვარესაც ვერ დააბრალებ მაგ ამბავს. არ ვიცი, რა მოხდა, რა შეიცვალა, ალბათ ყველგან ასეა. მე მოხუცი ვარ და აღარ შემიძლია ყველაფერში გავერკვე. ეხლა თქვენ უნდა მოავგაროთ ეს საქმე, თქვენ უნდა მოაქციოთ ხალხი, — შემომხედა და ეშმაკურად გაიცინა, — ლელისვაკელები კი ჩამომიყვანე, ორ-სამ კაცი ისე მოვერევი ამ სიბერეში.

ოთახში შემოსულ შვილიშვილს გადუამ ხელადა მიაწოდა, ლუდი შემოიტანეო და მომიბრუნდა.

— ამ ოცდაათი წლის წინათ ჩემს შვილს თოფი გაუვარდა და თავისი დეიდაშვილი დაჭრა შემთხვევით. დაჭრილი გამორჩა, მაგრამ ამ თხუთმეტეოდე წლის წინათ გარდაიცვალა. ასე ამბობენ, იმ ჭრილობისაგან მოკვდაო. მაშინ ჩემი შვილიც და იმისი დეიდაშვილიც ბალები იყვნენ, მაგრამ შენ კარგად იცი ხევსურული წესი: ბალებისა და პირუტყვის გულის-თვის კაცი რომ აგებს პასუხს. ჰოდა, იმის შემდეგ თხუთმეტი წელი გავიდა. ამ დროს ჩემი შვილებიც დაიზარდნენ და ყოველ წუთს შიშის ქვეშა ვართ ნათესავთან, მოკეთესთან თუ მეზობელთან ჭირში თუ ლხინში ვერ მივდივართ, თუ წინასწარ კაცი არ გავაგზავნეთ და არ გავიგეთ, იმათი ოჯახის წევრებიდან ხომ არავინ არის იქ. გზაზე რომ ჩვენებს-იმათგანი ვინმე შეგვხვდეს, გზიდან უნდა გადავუხვიოთ და სადმე შორიდან მოვუაროთ. თუ შემთხვევით და უცაბედად ლხინში ან ჭირში ერთად მოვხვდით, საპატიო ჭიქა უნდა გავუგზავნოთ და მუხლზე დავუდგეთ, იმასაც შიშით უნდა მოველოდეთ, — მიიღებს თუ არა ჩვენს პატივისცემას. დავიღალე, აღარ შემიძლია! თან მეშინია, ჩემმა შვილებმა სიმთვრალის დროს რაიმე არ გადააჭარბონ და დანაშაული უფრო არ დაიმძიმონ. რამდენჯერმე კაცი მივუგზავნე შერიგებაზე და აი, ბოლოს, როგორც იქნა, დაგვთანხმდნენ, ოღონდ ეგ არის, უთქვამთ: „სახლში მოვიდნენ და აქ შევირიგებთ“. სახლში მისვლა კი რაღაც არ მომწონს — წესით ჯვარში უნდა ხდებოდეს შერიგება. ხომ იცი, ჯვარში არც ჩხუბი შეიძლება და არც იარაღის ამოღება. თანაც ერთ-ერთს უთქვამს „აქ მოსულს ერთს მაინც მოვკლავო“. ჯანდაბას, რაც არის არის, მივალთ სახლში, მაგრამ თუ სულმოკლეობა გამოიჩინეს და აღარაფერი სწამთ, იქნებ მთავრობის წარმომადგენელს მაინც მოეხათრონ და პატივი სცენ. თან ერთ რამესაც გთხოვ, თვითონ იმათთან მიდი და უთხარი, რომ გაინტერესებს პირშესამყრელოსათვის დასწრება, როგორც შუაკაცს და არა მილიციის წარმომადგენელს, მე კი არ გამამჟღავნო, — ჩაიღიმა უღვაშებში. — აეგ სათხოვარი მქონდა და იქნებ წამოხვიდე მეორე შაბთს, მითხრა გადუამ და ლუდიან ხელადას მისწვდა.

გზაზე მომავალი ვფიქრობდი, მეთქვა თუ არა განყოფილებაში, სად და რატომ მივდიოდი შაბათს, მაგრამ გადავიფიქრე, ვაითუ წინააღმდეგობა გაენიათ ან თანამშრომელი გამოეყოლებინათ. ამას კი შეიძლება ძლივს შემდგარი პირშესამყრელოს ჩაშლა და მოსისხლეთა გაბოროტება გამოენჯია.

შაბათს მე და ჩემი მეგობარი, ბარისაბოს საბჭოს თავმჯდომარე, ფილოლოგი მიხეილ არაბული მოტოციკლზე დავჯექით და გუდანში ავედით.

გზაზე ეჭვი გამოვთქვი, წყალს ხომ არ ვასხამთო ძველი ხევსურული ტრადიციების წისქვილზე, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარყავით, რადგან ასეთი რიტუალები ბოლო აკორდად ჟღერდა კანონმდებლობასთან, როგორც ისტორიის კუთვნილი და, ამდენად, საინტერესოც იყო.

თავშუაკაცი ბისოელი ნადირა იყო.

მზე რომ დასავლეთისაკენ გადაიხარა, გზას გავუდექით. თვითონ მომკვდარი არ წამოუყვანიათ, არ იყო საჭირო საბოლოო შერიგებამდე.

გადუას, მის ორ შვილსა და ორ ბიძაშვილს ორი კურატი და ოთხი ცხვარი მოჰყავდათ, მოჰქონდათ აგრეთვე ორი თუ სამი სპილენძის თუნგი, რომლებიც ზოგი საკლავის წილში გადიოდა, ზოგი კი წესით გადასახდევინებელს წარმოადგენდა.

მე არავინ არ გამიფრთხილებია იარაღის თაობაზე, რადგან ვიცოდი: ჩვეულებისამებრ, ყველა უიარალოდ იქნებოდა წამოსული, თანაც იარაღი ხევსურეთში მხოლოდ კედლის სამკაულს და ოჯახურ რელიკვიასღა თუ წარმოადგენს.

გუდანის დაბლა, წისქვილებს შორის გადებულ ბოგირზე გადავიარეთ და უხმოდ ავუყევით სოფლისკენ ამაველ ბილიკს. ზოგჯერ უკან მომავალი გადუა თუ ამოიხრებდა ხმამალლა, თვითონვე კრთებოდა, ჩუმად ამოგვხედავდა, შეგვათვალეირებდა და სინამდვილეს დაბრუნებული უხერხულობის დასაფარავად გამოვიღივ გზას გახედავდა, ოფლს მოინწინებდა და გზას განაგრძობდა.

ბილიკზე სულ ბოლოს მომავალ გადუას ზურგით მოჰქონდა წარსულის ოთხმოცი წელი და ხერხემალთან გაჩერებული ქისტის მიერ ოდესღაც ნასროლი შაშხანის ტყვია. მოდიოდა ხევსურეთის მოხუცი ხევისბერი და მისი გონება ჩხრეკდა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მის მიერ გარჩეულ რჯულებსა და პირშესამყრელოებს. არც ერთი მხარე მომდურავი არა ჰყოლია, იმასაც ხედავდა, არც ერთი საქმე ერთმანეთის მსგავსი რომ არ ყოფილა, მაგრამ არც ერთის მოგვარება არ გასჭირვებია... დღეს კი, დღეს მას, არავინ არაფერს ჰკითხავს, ჰკითხავს კი არა, თვალეში ვერ შეხედავს ვერავის... ჰაი, დედასა!

სოფელს რომ მივუახლოვდით, გადუა შეჩერდა.

— თქვენ წადით! — მოგვმართა, — ჩვენ აქ გავჩერდებით. თუ მოსვლის ნება დაგვრთეს, რომელიმე წამოხვალთ და გავგაგებინებთ.

მე, მიხეილმა, ნადირამ, თეთრწყლებელმა კაკო არაბულმა და ზენუბნელმა გიორგიმ გზა განვაგრძეთ.

სოფელი გამოგვეგება. ერთმანეთი მოვიკითხეთ.

— ამდენი ხალხი შეუწუხებიხართ და თვითონ რაღას გაჩერდნენ ქვევით, — გვითხრა ლულელმა ძაღლიკამ და პატარა ბიჭს მიუბრუნდა: — ჩაირბინე, უთხარი ამოვიდნენ!

ნადირამ ბავშვი გააჩერა და თვითონ ჩავიდა ამოსაყვანად.

ცოტა ხნის შემდეგ ყველანი იმ ეზოს მოადგნენ, სადაც სოფლელები და შუაკაცები ვიყავით შეკრებილი.

მე, მიხეილი, კაკო და გიორგი მივეგებეთ მოსულებს. ნადირა გადუას ჰყავდა გვერდში ამომდგარი და ჩვენც, შეძლებისდაგვარად, დავფარეთ გადუას ჯალაბობა მოსისხლეებისაგან.

იდგა გადუა და მისი დიდი ოჯახის ოთხი ვაჟკაცი თავჩალუნული და მხრებჩამოყრილი. თითქოს ვერაფერს ხედავდნენ და არც არაფერს ამჟღავნებდნენ. მხოლოდ ჩვენ და შუაკაცები ვიყავით ფხიზლად და თვალს არ ვაცილებდით სოფლელების არც ერთ შერხევას, რომლებიც აგერ, რამდენი ხანია, პირველად ხედავდნენ თავიანთ მოსისხლეებს ასე ახლოს და თვალებით ჭამდნენ.

მოკლულის მამა ცოცხალი აღარ იყო, ხოლო გამახელა, მოკლულის ბიძა, სახლიდან არ გამოსულა, სანამ მეორედ არ შეუგზავნეს კაცი.

გამოვიდა, ისიც მოხუცი და წელში მოხრილი. გადუაზე ცოტათი უმცროსი. საშინელი თვალეები ჰქონდა — განრისხებული.

— რაო, რალა უნდათ! — მიმართა ნადირას, — ხომ მოვიდნენ.

— გამახელავ! — მიმართა ნადირამ, — მოვიდნენ, მაგრამ წესს დაყენება უნდა, საკლავს დაკვლა. ორი კურატი მოიყვანეს, ერთი სულის სახსენებელია, შენც კარგად იცი, მეორე ჯვარისად დაიკვლის, ხვთიშობლისად აე, ჭედელაი დასაკლავი, რასაც გვეტყვი და, როგორც წესია, ისე გავაკეთოთ.

— არ ვიცი, როგორც წესია, ისე გააკეთეთ! — კბილების კრაჭუნით თქვა გამახელამ და სახლში შევიდა.

მოკლულის ძმები და ბიძაშვილები დავაწყნარეთ და ერთ კურატს და ჭედილას ყელი გამოვჭერით. დანარჩენებს რა ვუყოთ — და თუნდა დახოცეთ და თუნდა გაუშვით, გვიპასუხეს. ჩვენც თოკები შევხსენით და ეზოში შევყარეთ პირუტყვი.

მერე მასპინძლები სახლში შევიდნენ და ჩვენც შეგვიპატიჟეს.

გრძელი მაგიდა გაეშალათ დარბაზში. ზედ ლუდით სავსე ვედროები იდგა. გვერდზე ფიპიტაურით სავსე ხელადები და მძივებით მორთული ჭრელი ბოთლები ედგა. მაგიდის სიღრმეში სოფლელები გადავუშვით, ჩვენ აქეთ მხრიდან დავუსხედით. მერე ლელელი ძალღიკა გავიდა და გადუა და მის შვილ-ბიძაშვილები შემოიყვანა. შემოვიდნენ და იქვე დაიჩოქეს. მარჯვენა მუხლები მინის იატაკზე დაანაბრეს, მარცხენა მუხლებს მარცხენა ხელის იდაყვებით დაეხრნენ და გაშლილი ხელისგულები შუბლებზე შემოიწყვეს. გადუას დაბალი სკამი მოუტანეს, მაგრამ არ ჩამომჯდარა, სკამის გვერდზე გაჭირვებით მოიყარა მუხლი, მარჯვენა ხელით ზედ დაეყრდნო სკამს და თავი ჩაჰკიდა.

ნადირა დაჩოქილების მაგიერ ლაპარაკობდა, ამბობდა, რომ მოვიდნენ და პატიებას თხოულობენ, რომ აღარ შეუძლიათ ასე დამცირებულად სიარული და ნადირივით სიფრთხილით ყოფნა... უცებ ნადირას მოკლულის ძმამ, ბაბუამ გააწყვეტინა სიტყვა:

— მაგათ უთხარი, რომ ეს შერიგება მაგათთვის ბევრს არაფერს ნიშნავს და, ამის შემდეგაც თავჩალუნულნი უნდა იყვნენ და თავიანთ დანაშაულს ყოველთვის გრძნობდნენ. ეს პირშესამყრელო მაგათ ხელებს არასოდეს გაუხსნის იმისათვის, რომ ჩვენ წინაშე ყოფნისას დაავინყდეთ, ჩვენ ვინა ვართ და ეგენი ვინ არიან.

ნადირა დაჩოქილებს მიუბრუნდა და ნათქვამი გაიმეორა. ხმა არავის ამოუღია, მხოლოდ გადუამ ამოიოხრა ოდნავ გასაგონად.

გული ჩამწყდა. მიხეილს გადავხედე — ყბის კუნთები უცახცახებდა;

კაკოს თვალები ჰქონდა სველი. საოცრად დაძაბული და მძიმე სურათი იყო.

ნადირა სოფლელებს მიუტრიალდა და თქვა: ესენი ამბობენ, ყველაფერი გაიგონეს და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ბაბუა ამბობსო.

ნადირამ დალია მოკლულის შესანდობარი. ყველამ დავლიეთ.

— მაგათაც დააღვივინეთ! — თქვა გამახელამ.

ძალეკამ ვედროდან თასებით ლუდი ამოიღო და დაჩოქილებს მიაწოდა. თასები გამოართვეს, წამოდგნენ, ცოტა ხანს ასე იდგნენ, მერე უხმოდ მოიყუდეს თასები. ზოგმა ოდნავ დააკარა ბაგე, ზოგმა თითო-ოროლა ყლუპი მოსვა. დაჩოქილებს შორის გადუას ბიძაშვილი, მამიდაჩემის მეუღლე ბერდიაც იყო, ოდნავ მიადო ტუჩი თასს. შემეცოდა, ვიცოდი, როგორ უყვარდა ლუდი.

თასები მოიშორეს, დაიჩოქეს და ისევ ჩაჰკიდეს თავები.

ცოტათი განვიმუხტით. ერთმანეთს მიუტრიალდით და ლაპარაკი ვავაბით ჩვენ და სოფლელებმა. ხან არაყს ვსვამდით, ხან ლუდს.

კიდევ ორჯერ მიაწოდეს ყიპიტაურით სავსე ჭიქები დაჩოქილებს, კიდევ ორჯერ გაიშალნენ მუხლში, მდუმარედ დალიეს ჭიქები და კვლავ წელში მოიხარნენ გადანელები. ქეიფი ეშხში შედიოდა.

— თავისუფლებია! — თქვა გამახელამ და დაჩოქილებისაკენ აიქნია თავი.

ნელა წამოვიშალეთ ადგილებიდან. ნელ-ნელა გასწორდნენ წელში დაჩოქილებიც. თავები არ აუწევიათ, ისე გავიდნენ უკან-უკან კარებში. გარეთ გავყვივით.

— ოჰ, — ამოიოხრა გადუამ, — ესეთი ამბავი ღმერთმა არავის მოგარგინოთ. ეს რა ყოფილა — ეს მუხლზე ჯდომა და ხმის ამოუღებლობა, ასეთი დაჩაგვრა და დამცირება კაცისა! ალბათ, ამ გრძნობის შიშით იყო ხევსურეთში მკვლევლობები რომ არა ხდებოდა, თუმცა ყოველდღე იარაღით ჩხუბობდნენ.

გამახსენდა: ერთი თვის წინათ გუდანის ჯვარში პირშესამყრელოზე ვიყავი. მოხუცი კაცი იჯდა მუხლზე ორი ახალგაზრდის გვერდზე. მოხუც კაცს ერთი ფეხი პროთეზისა ჰქონდა და გვერდზე გაეჭიმა. მოსისხლეებში ახალგაზრდა ნასვამი ბიჭი ერია, რომელმაც რამდენჯერმე აშკარად დაცინვით მიმართა შუაკაცს: „რას გაუჭიმიან ის ფეხი, რატომ წესიერად არ დაჯდებაო“. მოხუცმა თავი კიდევ უფრო ღრმად ჩალუნა, რომ ცრემლი არავის შეენიშნა თვალებში.

ის სურათიც თვალწინ წარმომიდგა და მივხვდი, რა გრძნობების ტყვეობაში იქნებოდა გადუა ყოველგვარი შეურაცხყოფის მოლოდინში, როცა თვითონ ხმის ამოღება არ შეეძლო.

გადუა დავამშვიდეთ და იგი სიბნელეში ჯოხის ბჯენით ჩაჰყვა თავის შვილ-ბიძაშვილების ჩავლილ ბილიკს.

მასპინძლებმა შუაკაცები არ გამოგვიშვეს, შეგვატრიალეს და შუაღამემდე ყიპიტაურისა და ლუდიან ყანნებს ვუცვლიდით ერთმანეთს: ვსვამდით შერიგებისა და ნათესაობის განახლების სადღეგრძელოებს.



### მ. ჯავახიშვილის უხელო წერილი



გამოჩენილი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ჟურნალისტურ მუშაობასაც ეწეოდა. მისთვის უცხო არ იყო იურიდიული აფეროც. სამართლის საკითხებს მწერალი ეხებოდა არა მარტო თავის მხატვრულ ქმნილებებში (ცნობილია მისი მოთხრობა „სასამართლო“, „მართალი აბდულაჰ“ და სხვ.), არამედ პუბლიცისტურ და ბიბლიოგრაფიულ წერილებშიც.

ერთ ასეთ წერილ-ბიბლიოგრაფიას ჩვენ მივაკვლით ილია ქავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე (1902 წ. № 274). იგი უცნობია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის და შეტანილი არ არის მწერლის ემპეტომულშიც, რომელიც 1958-1980 წლებში გამოქვეყნდა.

ცნობილია, რომ მიხეილ ჯავახიშვილი რევოლუციამდელ ქართულ და რუსულ პრესაში სხვადასხვა ფსევდონიმით გამოდიოდა. ქართულ პრესაში იგი უმთავრეაად წერილებს ბეჭდავდა ფსევდონიმით „ადამაშვილი“, რაც ისე ფართოდ იყო გავრცელებული, რომ ერთხანს მკითხველებსა და ზოგიერთ მკვლევარსაც „ადამაშვილი“ გვარი ეგონათ.

უცნობი წერილ-ბიბლიოგრაფია მწერალს

დაუბეჭდავს ფსევდონიმის ინიციალებით „მ. ად-ლი“ (მიხ. ადამაშვილი).

წერილი მეტად საინტერესოა, რადგან საქართველოს სინამდვილეში არსებითად აქ პირველად არის საუბარი ადვოკატურის კორპორაციისა და თვით ადვოკატის მოღვაწეობის მიზანსა და დანიშნულებაზე.


ქართველმა ჟურნალისტმა და მოღვაწემ მალაქია ბოლქვაძემ, რომელიც ერთხანს კიევიში მოღვაწეობდა, 1902 წელს რუსულ ენაზე გამოსცა წიგნი „ადვოკატის აღსარება“.

სწორედ ეს წიგნი გაუხდია განხილვისა და მსჯელობის საგნად ჩვენს სასიქადულო მწერალს. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმ დროს არსებული, ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებებისა, რომლებიც გამეფებული იყო რუსეთის მთელ იმპერიაში ადვოკატთა კოორპორაციისა და ადვოკატის დანიშნულებაზე, მიხ. ჯავახიშვილმა ერთობ სწორი აზრი გამოთქვა.

იმ დროს არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიც (საფრანგეთი და სხვ.) ჩვეულებრივ ბევრი ასე მსჯელობდა: არიან პიროვნებანი, რომელთა დანაშაული ეჭვს არ იწვევს, ამიტომ ადვოკატი ამგვარ საქმეს უნდა განერიდოს, ასეთ პირს არ უნდა იცავდესო.

საფრანგეთის ისეთმა სახელგანთქმულმა ადვოკატმა, როგორიც ლაბორია, რომელმაც დრეიფუსისა და ემილ ზოლას საქმის ქეშმარიტების მტკიცებისათვის თავი გადადო და სიმართლესაც მიაღწია, იმავე დროს ემბერების, ამ „მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი ქურდების“ დაცვა როგორ იკისრაო.

ასეთ ვითარებაში ბევრი მოაზროვნე და, წარმოიდგინეთ, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენიც თითქოს „გადაულახავ წინააღმდეგობა“ წააწყდნენ, თუმცა აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობდა. მათ ავინწყებოდათ დიდი ფრანგი იურისტი-ადვოკატის რობესპიერისა საქვეყნოდ ცნობილი სიტყვები: „მხოლოდ ადვოკატურის პროფესიაში იყვნენ ვაჟაკები, რომელნიც აინდისთა და სისხლით ექებდნენ ქეშმარიტებას. მხოლოდ აქ იყო შესაძლებელი მოქალაქეობრივი კეთილშობილების დაცვა. აქ პოულობდა ნიჭი საშუალებაა ხალხის ინტერესების დასაცავად. პარიზში, ნაპოლეონ ბონაპარტეს გადადგომისთანავე ბურბონები დაერივნენ ბონაპარტისტებს; მეფემ მაინც ვერ შეძლო პარიზში დარჩენა და ვერსალის სამეფო სასახლეში გაიხიზნა. ამ დროს შეიპყრეს ბონა-



პარტიის გენერალი ჟან თრაკოც. მისი საქმე ტრიბუნალს გადაეცა. სასამართლო 1816 წლის მარტში ქალაქ რენეში გაიმართა.

გენერალ თრაკოს მეუღლემ საფრანგეთის გამოჩენილ ადვოკატ ლუი ბერნარს სთხოვა დახმარება. ადვოკატი დათანხმდა. გაეცნო საქმის ვითარებას. კარგად გაითვალისწინა იმ დროს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და გადაწყვიტა ყოველმხრივ დახმარებოდა სამართალში მიცემულს, მისი კანონიერი უფლებების დაცვამდე.

გენერალ ჟან თრაკოს სახელმწიფო ლაბატში ედებოდა ბრალი. გამორიცხული არ იყო, რომ მას სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდნენ. ამას კარგად ითვალისწინებდა არა მარტო ჟან თრაკო, არამედ მისი ადვოკატი ლუი ბერნარც.

სასამართლო პროცესზე გენერალ თრაკოს დასაცავად ადვოკატმა დროის მოუნაცვლებლად ას ოც საათს ილაპარაკა. მან ყოველმხრივ გააბათილა წაყენებული ბრალდებები, მაგრამ ტრიბუნალმა, რომელიც მონარქიის ნება-აურვილს ასრულებდა, სამართალში მიცემულს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. განაჩენი საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

ის-ის იყო, განაჩენი სისრულეში უნდა მოეყვანათ, რომ ადვოკატმა ბერნარმა ისეთ პროცესუალურ ნორმებს მიმართა, რომლებსაც მაშინ საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებდა და იგი ფრიად მოხერხებულად გამოიყენა. ადვოკატმა ტრიბუნალს შუამდგომლობით მიმართა და მოითხოვა: მსჯავრდადებულის სიკვდილით დასჯა შეეჩერებინა, სანამ მეფე შეწყალების შესახებ თხოვნას განიხილავდა, ტრიბუნალმა ასეთი შუამდგომლობა ხელალებით უარყო. ადვოკატი არ შედრკა. მან ახალი შუამდგომლობით მიმართა ტრიბუნალს, და ითხოვა ნება მიეცათ მისთვის წარმოეთქვა სიტყვა თავისი ამ შუამდგომლობის დასასაბუთებლად. რადგან კანონი ამას ითვალისწინებდა, ტრიბუნალს არ შეეძლო გვერდი აეარა მისთვის და ადვოკატს საამისო ნება დართო.

აქ კი ლუი ბერნარმა, მართლაც რომ, ნამდვილად საარაკო გმირობა ჩაიდინა. გადაწყვიტა განახლებულ სასამართლო პროცესზე იმდენ ხანს ელაპარაკა, რამდენიც დაახლოებით დასჭირდებოდა მსჯავრდადებულის მეუბლით, რომ ქალაქ ვერსალში ჩასულიყო და მისი ქმრის შეწყალების საქმე მოეგვარებინა...

მართლაც, ადვოკატმა სასამართლო პროცესზე არული ხუთი დღე და ხუთი საათი ილაპარაკა. ეს დრო კი საკმარისი აღმოჩნდა

იმისათვის, რომ ჟან თრაკოს მეუღლეს ვერსალში მეფისაგან შეწყალების ქალღმადონი მიეღო და სასამართლო ხელისუფალთათვის წარედინა.

ეს იყო ადვოკატის ტაქტიკის საუცხოო მაგალითი.

ადვოკატ ლაბორის მოღვაწეობას სავესტით ამართლებდნენ ცნობილი რუსი ადვოკატები კონი და კაზარინოვი.

კონი: „არ არის ისეთი დაცემული და ისეთი ბოროტმოქმედი ადამიანი, რომელსაც მთლიანად შეკონდეს დაკარგული ადამიანია სახე და რომლის შესახებაც შეუძლებელი იყოს შეღავათზე სიტყვის თქმა“.

კაზარინოვი: „ბრალდებული ჩაეფლო დანაშაულის მორევში, ყოველგვარი კეთილშობილება მას ჩამოშორდა. მოსამართლეთა გული სავაეა სიბრაზით და გამამტყუნებელი განაჩენი უკვე მზად არის, ასეთი საქმე, ცხადია, სიმპათიური არ არის, მაგრამ იმის ფიქრი, რომ ასეთი საქმის მიღება შეუძლებელია, ადვოკატის როლსა და მოვალეობის სრული შეუგნებლობა იქნებოდა... სწორედ ამ საქმეშია საჭირო ძლიერი დაცვა, რომელმაც უნდა აღადგინოს ბრალდებულსა და ააზოგადოებას შორის განწყვეტილი ურთიერთობა, კავშირი, მან უნდა აჩვენოს ყველას, რომ ბრალდებული ადამიანია, მას აქვს თავისი სახე, რომ იგი უბედური შემთხვევის მსხვერპლია, გაუღვიძოს მას გრძობა მონანიებისა, რწმენა და სიყვარული ადამიანისადმი, შეუმსუბუქოს ხვედრი“.

სწორედ ასეთ თვალსაზრისს იცავს თავის ნერილში მისი ჯავახიშვილი.

ქვემოთ მოგვყავს ეს ნერილი მცირეოდენი შემოკლებით.

„მე იმას ვწერ, რაც მინახავს, რაც მიგვრძენია, რააც შევხვედრივარ, რააც დავსწრებოვარ და ფაქტებსაც ცხოვრებიდან ვიღებო“ — ამბობს ავტორი თავიან წიგნის წინასიტყვაობაში. ბატონი ბოლქვაძე, როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, იურიცტება კარგად იცნობს; უცხოვრია ვეკილთა შორის, დაჰკვირვებია მათ ზნეჩეულებას, გაუცვნია მათი ეთიკა, და რადგან, დარწმუნებულა, რომ ვეკილთა მაღალი და კეთილშობილური დანიშნულება გარედან ლამაზი, მაგრამ შიგნით მხოლოდ ფუჭი კაკალია, სიკაროელისა და სიცრუის გამოიმუღავნება მოუსურვებია. „ადვოკატის დანიშნულება კანონს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, სასამართლო შეცდომაში არ უნდა შეჰყავდეთა და არც ზნეობის კანონებს უნდა არღვევდეთ. ვეკილმა ისეთი საქმე არ უნდა იკისროს, რომელიც მის რწმენას არ ეთანხმება, რომელიც მარ-

თალი არ არის და მის დაცვას ვექილის სინდისი არ მოითხოვს". ბ-ნ ბოლქვაძეს მოჰყავს ზემოხსენებული სიტყვები პროფესორის დუსხოვსკისა და შემდეგ ჰკითხულობს: „იინი კი (ვექილები) რას შერებიან? ახსოვთ პროფესორის სიტყვები? ახსოვთ კანონები? ამ კითხვებთან ერთად, — ამბობს ბ-ნი ბოლქვაძე, — ვექილთა ცხოვრებიდან მთელი რიგი სურათებიცაა მაგონდება.

ავტორი ამ უკანასკნელი სიტყვებით საცვებით ახასიათებს თავის ნიგნს, რომელიც, მართლაცადა, მხოლოდ სურათები და მაგალითები იმ კორპორაციის ცხოვრებიდან, რომელთა კეთილშობილურ დანიშნულებას არა ერთი და ორი ახალგაზრდის გული აუტოკებია. ავტორი თავის თვალთვინ ნახული მაგალითებით ამტკიცებს, რომ ყველაზე უფრო იმ მოიპოვებს ხოლმე დახელოვნებულისა, მარჯვესა და განთქმული ვექილის სახელს, ვინც უფრო მარჯვედ იცრუება, სასამართლოს მოატყუებს, საქმეს გახლართავს და დასასრულად ყველა ამას სიმართლისა და ჭეშმარიტებისა ძიების სახელით მოჰნათლავს. ვექილია დანიშნულება — ბრალდებულის დაცვა და გამართლება. უბედურებაც სწორედ იმაშია, რომ ვექილი თავის გამართლებას ცდილობს. ირგვლივ ყველაფრის ტალახში ამოსვრა და თავის კლიენტის გამართლება და გასაბეჭავება — ეს არის ვექილთა შორის მათი კლიენტების დაცვის დროს ყველაზე გავრცელებული ააშუალება“.

„რით ხელმძღვანელობენ ვექილები, როცა დასაცავად ამათუიმ საქმეს კისრულობენ? ჰკითხულობს ავტორი და მთელ ქვეყანაში სახელგანთქმული მაგალითი მოჰყავს: „რით ხელმძღვანელობდა ლაბორი, როცა დრეიფუსის დაცვას კისრულობდა? რით ხელმძღვანელობდა იგივე ლაბორი. როცა ემბერების დაცვას კისრულობდა? ლაბორი დრეიფუსს იცავდა, ლაბორზე მთელი ქვეყანა ლაპარაკობდა, ლაბორი საფრანგეთის ნაციონალისტებსა და უკიდურეს შოვინისტებს არ შეუშინდა და ტყუილად და უსამართლოდ დასჯილ დრეიფუსსა პატიოსნების აღსადგენად ამხედრდა. ეს ამხედრება ნაციონალისტების წინააღმდეგ ამხედრება იყო. მთელმა ქვეყანამ ლაბორი შეურაცხყოფილი ჭეშმარიტების მცველად და სიმართლისათვის მებრძოლად დასახა, მაგრამ მოხდა ის, რაც უმეტეს შემთხვევაში ჰხდება ხოლმე: განთქმული ლაბორი, ჭეშმარიტების მცველი და სიმართლისათვის მებრძოლი ვექილი თურმე მხოლოდ ვექილი ყოფილა! ჯერ კიდევ დრეიფუსის საქმის გამო ლაბორისგანვე ატეხი-

ლი ყვირილი არ მიჩუმებულიყო, რომ იმავე ჭეშმარიტების მცველმა. განთქმულმა ლაბორიმ განთქმულ ქურდ-ბაცაცების ემბერების დაცვა იკისრა! ლაბორს უნდოდა გემართლებინა ემბერები, ვალდევ რუსოს სიტყვით — „მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი ქურდები!“ ამ საქმეში რით ხელმძღვანელობდა ლაბორი? აქ ლაბორმა ჭეშმარიტებას ზურგი შეაქცია და მამონას მოუხარა კისერი. ეს მაგალითი საზოგადოდ ვექილების დაახასიათებლად საკმარისია, მაგრამ ვექილთა ეთიკის დაახასიათებლად ბ-ნ ბოლქვაძეს ზემოხსენებულ მაგალითის გარდა ბევრი თავის თვალთვინ ნახული მაგალითიც მოჰყავს. მიაი ნიგნი გაცილებით უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ ბატონი ავტორი თავის თვალთვინ ნახული მაგალითებით არ დაეკმაყოფილებულიყო და ვექილების გულშიაც ჩაეხედნა. საზოგადოდ ამა თუ იმ კლასის და კორპორაციის დახასიათება მაშინ იქნება უფრო საინტერესო და ყოველმხრივი, როცა ეს დახასიათება უფრო არაჩვეულებრივ და იშვიათი მაგალითების მოყვანით ხდება. ბ-ნ ბოლქვაძეს დახასიათებელი ჰყავს მხოლოდ ის პირები, რომელნიც თვითონ უნახავა და რომელთა ზნე-ჩვეულებას იცნობს. ამიტომაც ვექილთა დახასიათება სრული არ არის და ბ-ნ ბოლქვაძის ნიგნს აკლია ის ელემენტი, რომელიც თავის სიდიდითა, მეტის უსამართლობით და თავხედობით მკითხველს აოცებს, აღელვებს და ვექილთა კორპორაციის წინააღმდეგ ამხედრება.

მაგრამ ამ ნაკლს ბ-ნ ბოლქვაძე ვერ უსაყვედურებთ, რადგან მან თავის შრომას ჩარჩო გაუკეთა და შიგ მხოლოდ ის მოათავსა, რაც უნახავს და უგრძენია“. იმის გამოყენება კი, რაც ავტორს უნახავა და უგრძენია, მხოლოდ საქებადია, რადგან ამგვარი ნახულისა და ნანახის გამომზევება ვექილთა კორპორაციას (უეჭველადი ჭეშმარიტების დაცვითა) კუდზე ჰკებნს და ნიხლება ასროლინებს ხოლმე. ნიხლი კი მხოლოდ მათ ზნე-ჩვეულების გამომზევებელს მოხვედება. ამ მხრივ ბ-ნი ბოლქვაძე მადლობის ღირსია და, იმედი დაპირისპირებისამებრ თავის დაკვირებასა, ნახულსა და გაგონილს კიდევ გამოამყლავნებს და ეცდება რამდენადაც შესაძლებელია, ეს კორპორაცია აწორედ ისე გაანათოს, დაგვიხატოს და წარმოგვიდგინოს, როგორც ნამდვილად არის, და არა იგი, როგორც იგი ბევრს ჩვენთაგანს აქვს წარმოდგენილი“.

## დანაშაული და სსსჯელი მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში

მიხედვით ჯავახიშვილის ბევრ ნაწარმოებში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი საკითხს დანაშაულისა და სსსჯელის შესახებ. მწერალი შესანიშნავად ასურათებს ცხოვრების სინამდვილეს, გვახსენებს ხალხის წიაღში ოდითგანვე დამკვიდრებულ ჩვევებს დამნაშავეს დასჯის თაობაზე, გადმოგვცემს სინდისის ქენჯნით შეწუხებული ადამიანების თვითდასჯის შემთხვევებს, ზოგიერთი სინდისშელახული მოსამართლის უკანონობას და სხვ. მწერალი ყველგან გვევლინება უბრალო ადამიანების ინტერესების დამცველად, გაბედულად ამხელს ყველას, ვინც ფეხქვეშ თელავს კაცური კაცის ღირსებასა და პატიოსნებას.

წარსული დროის დამკვიდრებულ ჩვევას მ. ჯავახიშვილი გადმოგვცემს მოთხრობა „ემშაკის ქვაში“:

...ახალგაზრდა განათლებული ქალიშვილი სოფიო უბრუნდება სოფელს. კეთილი ქცევითა და დაუზარელი შრომით ხალხმა მას ანგელოზი შეარქვა.

სამწუხაროდ, იმხანად სოფელს თავს დაატყდა ორი უბედურება: სახადი და ქურდობა.

ორმა ქურდმა დაარღვია სოფლის მყუდროება. სოფელმა სოფიოს თაოსნობითა და გამჭრიახობით ადვილად მოიშორა სახადი, ქურდების მოშორება კი გაძნელდა, რაც ყველას აწუხებდა, განსაკუთრებით კი სოფიოს.

ბედად, ორივე ქურდი სოლო და თედო სათემო სამსჯავროზე მოიყვანეს. რამდენიმე კაცმა ქურდების მიერ აჩეხილი ქვრივის გვამი გამოიტანა და დამნაშავეთა წინ დაასვენა. თემის ყოველი წევრი დამნაშავეთა ჩაქოლვას მოითხოვდა.

ხალხის სურვილი იყო, ქურდებს საჯაროდ ელიარებინათ დანაშაული, რათა პატიების საშუალება მისცემოდათ. სოლო მიხვდა ხალხის წადილს და შეწყალება სთხოვა სოფელს. სოფელმაც მაშინვე პირობა ჩამოართვა და გაათავისუფლა. თედო კერპივით იდგა. მან შებრალება არ ითხოვა. ამან

კი ყველა უფრო მეტად ააღელვა, ქვას დაავლეს ხელი. თედო კი მაინც ჯიუტობდა, არავის არაფრად აგდებდა. მოთმინება დაკარგულმა ხალხმა დამნაშავე ჩაქოლა... ეს შემზარავი სურათი ავტორმა ასე გადმოგვცა: „ყველაფერი გათავდა, ხალხი ჯერ შედგა, მერე გაიფანტა, სმას არავინ იღებდა, ყველა ქურდით მიიპარებოდა... ერთმანეთს თვალს არიდებდნენ, რადგან ერთმანეთისა სცხვენოდათ“<sup>1</sup>.

ეს ფსიქოლოგიური მომენტი ძალზე დამაფიქრებელია. ხალხმა თავის მოვალეობა აღასრულა, დამნაშავე თავიდან მოიცილა, მაგრამ მაინც მოუსვენრობა ეტყობოდათ. სოფიო მწარედ დაფიქრდა იმაზე, რომ მასაც ჰქონდა მონაწილეობა მიღებული კაცის მკვლელობაში, რომ მანაც ესროლა ქვა დამნაშავეს.

მოთხრობა ნათელს ჰფენს სოფელში დამკვიდრებულ ძველ ტრადიციას, მიგვიჩივთებს ადამიანის ხასიათზე, მის ბუნებაზე.

თემის სსსჯელი სამოქალაქო კანონთან შედარებით მკაცრია და ულმობელი. თემი ანგარიშს არ უწევს თუ რა ვითარებაში მოხდა დანაშაული. მისი თვალსაზრისით სსსჯელი დანაშაულს უნდა შეესაბამებოდეს. თემი კოლექტიურად სჯის დამნაშავეს და ამისათვის მისი თითოეული წევრი ერთნაირად აგებს პასუხს. სსსჯელის აღსრულების შემდეგ ყოველი მონაწილე თითქოს დამნაშავედ გრძნობს თავს, რადგან აქ კანონი კი არ სდევნის დამნაშავეს, არამედ დამკვიდრებული ჩვევა, თვით ადამიანი.

მოთხრობაში ნათლად ჩანს, რომ პიროვნების დასჯის შემდეგ, მისი აღმსრულებლის დიდ ნაწილს მოსვენება ეკარგება. მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა სოფიოც, იგი მწარედ განიცდის კაცის მკვლელობაში მონაწილეობას და მალე სიკვდილი იხსნის სულიერ ტანჯვისაგან.

ნოველა „მართალი აბდულაჰ“ მკითხველს ხიბლავს გულაღი თხრობითა და ეთიკური პრინციპით. ნაწარმოების მთავარ გმირს

— აბდულაჰს, რომელსაც ავტორი თავიდანვე მის სასარგებლოდ განაწყო, ქურდობის ბრალდება წაუყენეს და ათი წლის ციხე მიუსაჯეს. აბდულაჰმა კარგად იცოდა, თუ ვინ ჩაიდინა ქურდობა, მაგრამ შეგნებულად თავი შეიკავა, დამნაშავე არ გასცა. მას მტკიცედ სწამდა, რომ გაცემა ღალატს უდრიდა. იგი მოსამართლეს კითხვებს არ უპასუხებს, მწარედ დაფიქრებულია და მხოლოდ ოხრავს.

პატიმარმა აბდულაჰმა ათი წლის ნაცვლად ციხეში მხოლოდ სამი წელი დაჰყო. ეს წლები ძალზე დამტანჯველი და მომქანცავი იყო მისთვის. ვინ იცის, რამდენჯერ უფიქრია, რომ სიმართლე ადრე თუ გვიან თავისას გაიტანდა, ნამდვილ დამნაშავეს უთუოდ მალე დააკვებდნენ და საკადრისადაც დასჯიდნენ. ავბედითი ფიქრი გულს უღრღნის, დროდადრო ძილში თუ ცხადლივ ხედავს დანგრეულ-გაპარტახებულ ოჯახს და დამცირებულ ახლობლებს.

წინათგრძნობა გაუმართლდა. პატიმრობიდან გაათავისუფლების სიხარულს ცვლის სამწუხარო ცნობა ოჯახის შესახებ. მას საკუთარი კერა დანგრეული დახვდა, დაქვეული სახლის მხოლოდ ჩონჩხიღა იდგა. მისი საყვარელი ცოლი მოჯამაგირეს მოყატაცა და წაეყვანა, ერთადერთი ვაჟიშვილი უგზოუკნალოდ დაკარგულიყო. დედა კი დარდს გადაჰყოლოდა. როცა ყოველივე შეიტყო აბდულაჰმა, მწარედ დაფიქრდა, მერე შურისძიების გრძნობამ გაიელვა მის გულში და დამნაშავის მკვლელობა გადაწყვიტა. თუ ადრე კაცის მოკვლა დიდ ჰოროტებად მიაჩნდა, ახლა მზად არის თავისი დამღუპველი მოსპობს და ამით შეიმსუბუქოს მწუხარება. აბდულაჰმა მალე მოძებნა ნამდვილი დამნაშავე მუსტაფა და ყოველგვარი სინანულის გარეშე სიცოცხლეს გამოასალმა.

მკვლელი აბდულაჰი ერთხელ კიდევ წარდგა სასამართლოს წინაშე. იგი ელის მკაცრ სასჯელს, მაგრამ ასე არ მოხდა, იგი გაათავისუფლეს სასჯელისაგან. მართალია, ამ განთავისუფლებას მისთვის არსებითი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მაგრამ მაინც შვება იგრძნო, რადგან სასამართლო მიხვდა მისი საქციელის აზრს, გონების თვალთ აწონ-დანონა მდგომარეობა და ხელმეორე სასჯელს ააცდინა.

აბდულაჰის ტიპი ზოგადად სახეა უდანაშაულო დევნილი მართალი კაცისა. იგი მკითხველს თანაგრძნობასა და სიბრალულს იწვევს.

რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრების ფონზეა გაშლილი მოთხრობა „ორი განაჩენი“-ს. შინაარსი: გლეხის ბიჭმა ბაჩილამ მძიმე დანაშაული ჩაიდინა, მას შემთხვევით საკუთარი ძმა შემოაკვდა და ამ ამბავმა თავგზა აუბნია.

თანასოფლელების თვალში უბედურ აღამიანად ქცეული ბაჩილა სასამართლოს უდანაშაულოდ ცნო და სასჯელისაგან გაანთავისუფლა. მან სასამართლოს განაჩენი მეტად ღმობიერად ჩათვალა და თავის თავს გამოუტანა მკაცრი განაჩენი — საკუთარი სახლის ბოძზე ჩამოიხრჩო თავი.

წაწარმოები სათაურშივე განაწყო მკითხველს იმის რწმენით, რომ დამნაშავე უთუოდ პირველით თუ არა მეორე განაჩენით დაისჯება. მკითხველი თანაუგრძნობს გულალა ბაჩილას, რომელმაც თავის თავს საზედისწერო ვადანყვეტილება გამოუტანა.

მ. ჯავახიშვილი მაღალ ადამიანურ მორალით ასურათებს ხიჩჩლას პიროვნებას მოთხრობა „ცოფიანში“.

უღირსი შვილის ქცევამ გაამწარა მამა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ სთხოვა, დაფიქრებულყო, სწორ გზაზე დამდგარიყო, მაგრამ ამ შეგონებიდან არაფერი გამოვიდა, ბილოს აღშფოთებულმა შვილი სასიკვდილოდ გაიმეტა, თვითონ კი მაშინვე უფსკურულში გადაიჩეხა. ამით ხევეური ხიჩჩლა უთუოდ ფიქრობდა, რომ თავისი ამ ქცევით ჩაედინილი დანაშაული და სასჯელი ერთმანეთს გააბათილებდა.

ხიჩჩლაში მწერალი ხედავს ქართული ოჯახის ღირსების დამცველ კაცს, ჟუნცა შვილის მკვლელობა მისთვის მაინც უმძიმესი დანაშაულია.

მ. ჯავახიშვილის რომანში „გივი შადური“ მთავარი გმირი გივი დააპატიმრეს არა დანაშაულისათვის, არამედ მისი ღამაზი ცოლის ხელში ჩაგდებას მიზნით. გამომძიებელმა აფთარაძემ საქმე შეადგინა, ძიება დიდხანს გაატანა, სასურველ წადილს მიაღწია. გივი შადური ციხეში უნდა გადაესახლებინათ, მაგრამ ბედად, გამოირკვა აფთარაძის დანაშაული და იგი დააპატიმრეს. ახალმა გამომძიებელმა კი საქმე შეწყვიტა და პატიმარი გივი ციხიდან გაათავისუფლა.

რომანში გამომძიებელი აფთარაძე ტიპია იმ ზნედაცემული ადამიანისა, რომელიც შეგნებულად ამახინჯებს კანონს და მას უდანაშაულო ადამიანის დასაღუპავად იყენებს. ადამიანურ ღირსებას მოკლებულმა ნაძირალამ გივი შადურის ოჯახი დანგრია და ერთ



დროს ცხოვრებით კმაყოფილი კაცი წაკაცა-რად აქცია.

მოთხრობა „ქურდში“ ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს ორ დროს — ძველსა და ახალს. ახალმა დრომ სტეფანე ჩირაძეს ძველი ცოდვები გაუხსენა და ადრე ცხოვრებით გაღლებული, ბობოლა მოხეღე ახლა ბედის ანაბარა დარჩა. მას შემოეხარჯა ყველაფერი და შემდეგ კი წვრილმან ქურდობაში დაიჭირეს.

დადგა დრო და ჩირაძეს ასამართლებენ სწორედ იმ ოთახში, სადაც იგი წინათ განივრდა, მედიდურად იჯდა და სხვებს ასამართლებდა. გასაოცარი ის იყო, რომ მას ასამართლებდა ის კაცი, რომელიც თვითონ ჩირაძემ თხუთმეტი წლის წინათ სრულიად უდანაშაულოდ ციხბირში გადაასახლა.

დამნაშავე ლელავს „სურს აცილება მისცეს მოსამართლეს, საქმის გადადება მოითხოვოს, ვინაიდან მას პირადი ანგარიში აქვს ჩირაძესთან და სწამს, რომ სამაგიეროს მკაცრად გადაუხდის, მაგრამ ეს ვერ მოახერხა.

მოხდა მოულოდნელი, ჩირაძე გაათავისუფლეს და მას ხელის ჩამორთმევით მიულოცეს ეს, გაუცინეს და გაამხნიევს: „...ჩირაძე დარბაზიდან როცა გავიდა, მოულოდნელად შეეხეჩა თავმჯდომარეს.

— მადლობელი ვარ, მოქალაქე ჩირაძე, — ეუბნება თავმჯდომარე, — დიდი მადლობელი ვარ...

— რისა, რისთვის? — ბორძიკით ეკითხება ჩირაძე.

— იმისთვის, რომ კაცად გამხადეთ... რომ არ გადაგესახლებინეთ, ისევ ტყაპუჭა ტეტიადავრჩებოდით, ახლა კი...

— მაშ...

— მაშ არაფერი. ზოგი ჭირი მარგებელი ყოფილა, მშვიდობით იყავით“<sup>12</sup>

მოთხრობა „ქურდის“ შინაარსი მიგვაჩვენებს, რომ რევოლუციამდე სასამართლოში უკანონოა ჩვეულებრივი მოვლენა იყო, დღევანდელი სინამდვილე კი სულ სხვას მეთყველეს. წარსულში წასამართლავი „ტყაპუჭა ტეტია“ ჩვენმა დრომ განათლებულ კაცად აქცია და ის, როგორც თანამედროვეობის კეთილსინდისიერი სასამართლოს თავმჯდომარე წვრილმანი ქურდობისათვის დაკავებულ დამნაშავე ჩირაძეს ათავისუფლებს.

ცხოვრების სინამდვილის მაღალმზატვერული ოსტატობის ასახვით, გულმართალი და შრომისმოყვარე ადამიანებისადმი სიყვარულით, დამნაშავეთა სააშკარაო სამსჯავროზე გამოტანით, მიხეილ ჯავახიშვილმა ხალხის ხსოვნაში უკვდავება დაიმკვიდრა.

**შ. მარკოზაშვილი.**

ილია ქავკავაძის სახელობის საგურამოს სახლ-მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

## სრულყოფილ საპარტიო სპეკულაციას და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა სპეკ XXVI ყრილობისა და საპარტიო სპეკულაციის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ

მიმდინარე წლის II ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ის მდივნები, რომლებიც ადგილობრივ საკოორდინაციო-მეთოდოლოგიურ საბჭოებს ხელმძღვანელობენ.

მოსხენება „სსკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების შესახებ“ სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სისტემის სრულყოფის შესახებ“ გააკეთა რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რაბინსმა.

მოსხენებაში ითქვა, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის სრულყოფისათვის, შეიქმნა მოსახლეობის ყველა სოციალური ფენაში სამართალმწიფეობითი მუშაობის მწყობრი სისტემა. სამართლის საფუძვლები, როგორც აუცილებელი სასწავლო დისციპლინა, ისწავლება ყველა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში. პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში. მასობრივი ინფორმაციის ორგანოები უფრო აქტიურად, მიზანდასახულად აშუქებენ სამართლებრივ პრობლემებს. ამრომელთა სამართლებრივი კულტურის ამაღლებისათვის შექმნილია სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტებისა და ლექტორიუმების ფართო ქსელი. უკვე დაწყებული იზრდება სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე წაკითხულ ლექციათა რაოდენობა. საბჭოთა კანონმდებლობა ისწავლება პარტიული, კომპაგვირული, პოლიტიკური, აგრეთვე, ეკონომიკური განათლების ქსელში, მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა კურსებზე სამართლებრივი ცოდნის დონეს იმაღ-

ლებს სამეურნეო დარგის ათასობით ხელმძღვანელი მუშაკი.

შესამჩნევად გააქტიურდა სამართალმწიფეობითი საქმიანობა შრომით კოლექტივებში. პრაქტიკაში ინერგება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში სამართლებრივი აღზრდის საკითხების შეტანა, სისტემატურად ეწყობა სამართლის პროპაგანდის დეკადები და ერთთვიურები, კონკურს-დათვალიერებები, ვიქტორინები და სხვა მასობრივი ღონისძიებები. ფართოდება საზოგადოებრივ საწყისებზე იურიდიული კონსულტაციების ქსელი.

მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ბიბლიოთეკებს, შენობებში მდებარე კავშირებს. ზნეობრივ-სამართლებრივი თემამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა რესპუბლიკის თეატრების რეპერტუარში, ჯეროვან ყურადღებას უთმობს ამ პრობლემებს აგრეთვე კინემატოგრაფი.

ადგილებზე სამართალმწიფეობითი პროცესების წარმართვის საქმე მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს რაიონულმა და საქალაქო საკოორდინაციო-მეთოდოლოგიურმა საბჭოებმა. გეგმიანი და მიზანდასახული მუშაობით გამოირჩევიან თბილისის ლენინისა და ოქტომბრის რაიონების, რუსთავის, წყალტუბოს, ჭიათურისა და ფოთის საქალაქო საკოორდინაციო საბჭოები.

ამასთან ერთად, სხდომაზე ითქვა, რომ სამართალმწიფეობითი მუშაობის დონე ჯერ კიდევ ვერ უმახუხებს დღევანდლობის გაზრდილ მითხოვნებს, ყველა ქალაქის, რაიონისა და შრომითი კოლექტივის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების პერსპექტიულ გეგმაში სათანადო ასახვას ვერ პოულობს სამართალმწიფეობითი საკითხები. საჭირო პროფესიულობა აკლია სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების სწავლებას საშუალო სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში, შესუსტდა მუშაობა ამ საგნის პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლები-



სათვის. სამართლის ლექციურ პროპაგანდაში ჩამბულ ლექტორთა მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს ლექტორ-პროპაგანდისტისათვის აუცილებელი ჩვევები. ნაკლოვანებებია ზეპირი პროპაგანდის მიზანდასახულად წარმართვაში. ხშირად ამ საქმეს ახასიათებს ფორმალიზმი. თითქმის არაფერი კეთდება ახალგაზრდა ლექტორთა კადრების მოსამზადებლად. შესუსტდა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების ძირითადი დებულებების პროპაგანდა. მოქმედი სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტების ქსელის ერთგვარი გაფართოების მიუხედავად, მშრომელთა მასობრივი სამართლებრივი სწავლების ეს ფორმა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი განვითარებული. უაღრესად ღარიბია სახალხო უნივერსიტეტთა შატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სერიოზული ნაკლოვანებანია მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამართალმწოდებლობის მუშაობაში. სწელი ტემპით ვითარდება საზოგადოებრივ საწყისებზე იურიდიულ კონსულტაციათა ქსელი, განსაკუთრებით კი სოფლად. რაიონებისა და ქალაქების მთელი რიგი საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოები სუსტად ხელმძღვანელობენ და წარმართავენ სამართალმწოდებლობის პროცესებს ადგილებზე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულმა სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საკოორდინაციო — მეთოდოლოგიური საბჭოს გაფართოებულმა სხდომამ მიიღო რეკომენდაციები. სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს. უწყებებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ: განახორციელონ ღონისძიებანი სამართლებრივი აღზრდის სრულყოფისათვის სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად; მიადწიონ სამართლებრივ აღზრდაში მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფის ჩამბას; გააუმჯობესონ სამართალმწოდებლობითი საქმიანობის დაგეგმვა; ჩართონ მშრომელთა სამართლებრივი განათლების საკითხები შრომითი კოლექტივების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიულ გეგმებში; გააუმჯობესონ სამართლის ლექციური პროპაგანდა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის დებულებების, მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და მოვა-

ლებების განმარტებას, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების უფლებამოსილებას მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის საქმეში;

რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებს რეკომენდაცია მიეცათ განიხილონ თავიანთი თანამშრომლების მონაწილეობის გააქტიურების საკითხი სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის საქმეში; განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი იურიდიული პრაქტიკის აღმზრდელი პროფილაქტიკური როლის ასამაღლებლად; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სახალხო მოსამართლეთა და მსაჯულთა საანგარიშო მოხსენებებსა და გამსვლელ სასამართლო პროცესებს, სახალხო სასამართლოთა მიერ გამოტანილ კერძო განჩინებებს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების წარდგინებათა ხარისხიანობას, სასამართლო, პროკურატურისა და საარბიტრაჟო პრაქტიკის განვითარების ეფექტიანობას.

რესპუბლიკის პროფსაბჭოს ეთხოვა სამუშაო გეგმებში გაითვალისწინოს საკითხები შრომითს კოლექტივებში სამართლებრივი აღზრდის სისტემის შესაქმნელად. განახორციელონ ღონისძიებანი საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამართლებრივი აღზრდისა და დანაშაულის პროფილაქტიკის საბჭოების შესაქმნელად; გააუმჯობესონ პროფკავშირული აქტივის სამართლებრივი სწავლება; განვითარონ საზოგადოებრივ საწყისებზე იურიდიული კონსულტაციების ქსელი; მშრომელთა სამართლებრივი კულტურის დონის ასამაღლებლად ფართოდ გამოიყენონ მრავალტირაჟიანი გაზეთები და ადგილობრივი რადიოკვანძები.

მიღებულ რეკომენდაციებში მნიშვნელოვანი ადგილი დეთმო მოსწავლე ახალგაზრდობის სამართლებრივი სწავლების გაუმჯობესების საკითხებს. სამართალმწოდებლობით საქმიანობაში კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა როლის ამაღლებას, სამეცნიერო-პოპულარული იურიდიული ლიტერატურისა და თვალსაჩინო აგიტაციის გამოცემას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, თეატრისა და კინომატოგრაფიის მონაწილეობას მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საქმეში.

რაიონებისა და ქალაქების საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოებს წინადადება მიეცათ: გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა ადგილებზე სამართალმწოდებლობით საქმი-



ნობისადმი; ჭირადულად განაზოგადონ შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა ამ მიმართებით; სრულყოთ სამართალდამზრდელობითი მუშაობის კომპლექსური დაგეგმვა; მუშაობაში განუხრედად იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის 27 თებერვლის, 1979 წლის 26 აპრილისა და 2 ავვისტოს დადგენილებებით „ლექციური პროპაგანდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“; „იდეოლოგიური, პოლიტიკური-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და „მარტივსერივის დაცვისათვის მუშაობის

გაუმჯობესებისა და სამართალდევითა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

საკორდინაციო-მეთოდოკური საბჭოს გაფართოებული სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და ავტაციის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ბ. ჯაბახიშვილმა.

ა. გულდაუშვილი.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საკორდინაციო მეთოდოკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

## შეახილ იუსტიციის მინისტრი კარლ კუხრი საქართველოში

მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა შვეციის იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია იუსტიციის მინისტრის კარლ კუხრის მეთაურობით. დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სახელმწიფო მდივანი უკლეინდი და სამინისტროს სხვა ხელმძღვანელები, მოსკოვიდან ახლდნენ სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრ ვ. ი. ტერეხილოვი და შვეციის საელჩოს დესპანი იან სტელი.

თბილისის აეროპორტში სტუმრებს დახვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს იუსტიციის მინისტრი ა. ა. შუშანაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. გ. კარანაძე და სხვა ოფიციალური პირნი.

იმავე დღეს დელეგაციის წევრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, ეწვივნენ მხატვარ კობა გურულის სახელოსნოს, რომლის შემოქმედებამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შვედ სტუმრებზე.

საღამოს საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელით დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. გ. ახლედიანი, საქართველოს უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრული და კულტურული ურთიერთობების საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. დ. მგელაძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ზ. ი. აბაშიძე.

სტუმრებს მიესალმა ო. ე. ჩერქეზია, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში და,

კერძოდ, საქართველოში შვეციის დელეგაციის სტუმრობა ნათლად მოწობს ჩვენი ქვეყნების მეგობრულ და საქმიან ურთიერთობას. საპასუხო სიტყვაში კ. კუხრამ ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი და მრავალფეროვანი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგაციის წევრებზე საბჭოთა კავშირში გატარებულმა დღეებმა მან აგრეთვე აღნიშნა ის დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ასრულებენ საბჭოთა კავშირი და ნეიტრალური შვეცია ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში.

8 ოქტომბერს შვეციის იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია მიიღო საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი. მან სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის პარლამენტის საქმიანობა, დაწყობებით შეეხო საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის მუშაობას. სტუმრები დიდი ყურადღებით გაეცნენ აგრეთვე მონაცემებს საქართველოს ისტორიული წარსულის, მისი დღევანდელი დღისა და რესპუბლიკის პერსპექტიული განვითარების შესახებ. შეხვედრას დაესწრნენ ვ. ი. ტერეხილოვი, ო. ე. ჩერქეზია, ა. ა. შუშანაშვილი, ა. გ. კარანაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ა. კიჭინაძე.

იმავე დღეს სტუმრები ეწვივნენ საქართველოს სს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს და რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს, რომელთა მუშაობასა და ორგანიზაციულ სტრუქტურაზე მათ ესაუბრნენ ა. ა. შუშანაშვილი და ა. გ. კარანაძე. შვედმა



სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს და იუსტიციის სამინისტროს შენობები, ესაუბრნენ სამინისტროს და უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელ მუშაკებს, თანამშრომლებს. შვეციის დელეგაციის წევრთა სახელით პ. პეტრიმ მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისათვის.

ნაშუადღევს შვეციის დელეგაციის წევრებ

ეწვივნენ ქ. მცხეთას, სადაც დაათვალიერეს ჯარისა და სვეტიცხოვლის უძველესი ტაძრები. საღამოს გაიმართა სადილი, რომელმაც თბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საღამოს შვეციის იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია და მისი თანმხლები პირნი მოსკოვს გაემგზავრნენ. დელეგაციასთან ერთად მოსკოვს გაემგზავრა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი ვ. ი. ტერეზილოვი.

### თეატრული საღამო საჩხერაში

საჩხერის რაიონული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა თეატრული საღამო, რომელიც სამართლებრივი აღზრდის საკითხებს მიეძღვნა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკის დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილების გამგემ თ. ხვედელიძემ. მსმენელების წინაშე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ რაიონის კულტურის განყოფილების გამგე უ. ჩიკვილაძე, ბიბლიოთეკის თანამშრომლები ც. ჩაჩანიძე და ზ. თურმანიძე. აი მათი

გამოსვლის თემები: „კულტურის დაწესებულებათა ამოცანები ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში“, „კანონისადმი პატივისცემა თვითესული აღამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს“, „სუფთა სინდისი სასჯელის არ ეშინია“.

საღამომ, რომელმაც მოსახლეობის ფართო დაინტერესება გამოიწვია, მალალ დონეზე ჩაიარა.

ბ. კაპანაძე.  
ქ. საჩხერე.

### საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულებით იუსტიციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება მიენიჭათ: ბართიშვილს ერისტო სიმონის ძეს — ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს სასამართლო აღმასრულებელს; გაგლოვებს ხაზბი დავითის ძეს — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დებუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსს; თამაზაშვილს დავით პასანჯის ძეს — აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს; თუთბერიძეს ელისაბედ ივლიანეს ასულს — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს; კაციტაძეს ოთარ ქრისტეფორეს ძეს — ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარ რედაქტორს; ლაკობას შამილ ნიკოლოზის ძეს — აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრს; მალაკელიძეს სერგო კონსტანტინეს ძეს — ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს; ქორჩილაძეს ქსენია ელიზბარის ასულს — გეგეჭკორის რაიონის ნოტარიუსს; ჭუმბურიძეს ლილი ხავლეს ასულს — ქ. თბილისის მე-3 ნოტარიალური კანტორის ნოტარიუსს.

### განწმობა

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1981 წლის მეოთხე წომრის მეათე გვერდზე 22-ე სქოლიოს პირველ სტრიქონში სულგულაძის ნაცვლად უნდა იყოს სურგულაძე, იქვე 23-ე სქოლიოს მეორე სტრიქონიდან უნდა იკითხებოდეს „პროტექტორატის დროს ერთი სახელმწიფო პროტექტორი — ვანაგებს სხვა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, ეს უკანასკნელი კი... სპეციალური ხელშეკრულებით ექვემდებარება პროტექტორს“. შემდეგ როგორც ტექსტშია.

# ცნობები ავტორთა შესახებ

- ანზორ მინაილის ძე ბარბაქაძე** — საქართველოს სსრ პროკურორი, იუსტიციის მეორე კლასის სახელმწიფო მრჩეველი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- იაკობ ვალერინანის ძე ფუტბარაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, შრავალი შრომისა და მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- აკოლონ იაკობის ძე ფალიაშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი, 12-მეცნიერული შრომის, წიგნისა და ბროშურის ავტორი, სისტემატურად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- მინდია გურამის ძე შერაზელიძე** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 40 შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- თაიშურაჲ ვალერინანის ძე ბერსამია** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ალექსანდრე არსენის ძე ლუღუნიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, მეზუთედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ირინე არტამის ასული ლონტი** — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პენსიებისა და დახმარებების სამმართველოს უფროსის, მოადგილე, სახელმწიფო პენსიების განყოფილების უფროსი, ჟურნალისტი, მეორედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- თანგიზ ზაპარის ძე ლიკთაძე** — ჟინვალის სპეცკომუნდატურის შორევი ინსპექტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.
- ვასტანე ალექსანდრის ძე სილაგონიძე** — ადვოკატი, 10 შრომისა და 2 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.
- შალვა იროდიონის ძე შატაშვილი** — ი. ჭავჭავაძის სახელობის საკურამოს სახლ-მუზეუმის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, მეორედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

## პიტიხვალთა საუპრადღებოლ!

1982 წლის 1 იანვრიდან ჩვენი ჟურნალის ეგზემპლარი ეღირება 80 კაპეიკი. ეს გამოწვეულია საბეჭდი ქაღალდის გაძვირებით, გამოცემის პოლიგრაფიული შესრულებისა და ხელმოწერათვის მიტანის ხარჯების გაზრდით.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 5, 1981 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции СССР, Прокуратуры СССР, Верховного Суда СССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103. тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

333 60 660

5/16/6

0628160 70125

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტრო